პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 19 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 162 (1907)

დ ღ ი უ რ ი

— გუანდუნის პროვინციაში (ჩინეთში) ძლიერდება აჯანყებულთა მოძრაობა.
— ამერიკელი სენატორი ფეი ბაქოში.
— ულან-ბატორში გაიხსნა მონღოლეთის პირველი ბაზრობა.
— ფინეთის მუშათა ექსკურსია ლენინგრადში.
— თეთრგვარდიელ ჯალათ პისკუნოვის გასამართლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი სახე

ცნობილია, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია მეორე ინტერნაციონალში „მემარცხენე" ფრთას წარმოადგენს. ბაუერი ხანდახან რადიკალურ სიტყვიერების კორიანტელს აყენებს და კაპიტალის შემოტევისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ „გადაჭრილი" ბრძოლის საჭიროებაზე გაიძახის. მაგრამ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ის არაფრით არ განსხვავდება თვის მემარჯვენე კოლეგებისაგან. აქ მხოლოდ „შრომის განაწილებასთან" გვაქვს საქმე. იქ, სადაც მუშათა კლასის აშკარა გამცემლებს გასავალი არა აქვთ, ბაუერები ოსტატურად იყენებენ თავის „მემარცხენეობის" რეპუტაციას, რომ ბუნდოვანი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით მოატყუონ პროლეტარული მასები, კლასიური ბრძოლა სიტყვების რახა-რუხით შესცვალონ და არსებითად კი შეასრულონ ბურჟუაზიის აგენტის როლი, რომელიც მდგომარეობს მუშათა კლასის რევოლიუციონურ შეგნების მიძინებაში, მის რევოლიუციონურ ნებისყოფის მოდუნებაში.

მუშათა კლასის საქმის ყველაზე საშიში მტერი სწორედ ეს „მემარცხენე" ფრაზის გმირებია. თავისი მოჩვენებითი რევოლიუციონერობით მათ შეცდომაში შეყავთ მუშათა მასები, უკანასკნელთ უფრო ადვილად სჯერათ მათი, ვინემ პირისახიდან ნიღაბ ჩამოხსნილ მოღალატეების. და ეს ავსტრიის მაგალითზე თვალსაჩინოდ სჩანს. დღემდე ამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატია თითქო ყველაზე მეტი გავლენით სარგებლობდა მასებში. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მან მიიღო მილიონ ნახევარი ხმა, მაშინ როცა კომპარტიამ მხოლოდ 17 ათასი ხმა შეაგროვა.

და ამის შემდეგ ბაუერმა რიხით განაცხადა, რომ ავსტრიელ სოციალ-დემოკრატებმა თავისი თავი განამტკიცეს, როგორც მეორე ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერ პარტიამ. უეჭველია, ასეთი გამარჯვება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას წილად ხვდა უმთავრესად იმიტომ, რომ ის იქცა წვრილ-ბურჟუაზიულ, კომერციულ-ლიბერალურ პარტიად, რომელშიც ბლომად შეიჭრნენ ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები და გლეხობის შეძლებული ფენები, მაგრამ ამავე დროს ცხადია, რომ მის „„მემარცხენე"" იულიზიებში იყვენ გახვეულნი, მეორე მხრივ იმიტომ, რომ ვენის სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ავსტრიის დედა-ქალაქი უპყრია, თავის წვრილ-საქმეებს და რეფორმებს, წარმოებულს ბურჟუაზიულ წყობილების მთლიანად და სავსებით დაცვის ნიადაგზე, ბურჟუაზიულ წყობილების მთლიანად და სავსებით დაცვის ნიადაგზე, ასაღებდა სოციალიზმის საქმედ, ამგვარად მასებს პრაქტიკულად უნერგავდა ოპორტუნისტულ პსიქოლოგიას და აცდენდა მათ კლასიური ბრძოლის გზიდან.

ასეა თუ ისე, ავსტრიის სოციალ-დემოკრატია მუშათა მასების გარევოლიუციონერების უდიდესი შემფერხებელი ფაქტორი იყო როგორც თავისი „მემარცხენეობით", ისე „დადებითი" სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ „მოღვაწეობით". და აი, მის ავტორიტეტს პროლეტარიატის თვალში დღეს პირველი მძლავრი ლახვარი ჩაეცა. ესაა ვენის ამბების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგები.

ეს ავტორიტეტი შეირყა პირველ ყოვლისა თვით იმ ფაქტით, რომ ვენის მუშების აჯანყება სოციალ-დემოკრატებს თითქო მოულოდნელად დაატყდა თავზე. მოძრაობა სტიქიურად წარმოიშვა, ისე, რომ ბაუერს არავინ „შეკითხება". მილიონ ნახევარ ამომრჩეველით „ზურგამაგრებული" ვენის მფლობელი, — მეორე ინტერნაციონალის „ყველაზე უფრო ძლიერი პარტია" და ასეთი ცანდალი! როგორც ეტყობა, მიუხედავად ბაუერის პარტიის „მემარცხენეობისა", არც ისეთი მჭიდრო კავშირი არსებობს მასსა და მუშათა კლასს შორის, არც ასეთი გავლენით სარგებლობს ის პროლეტარიატში, როგორც ეს პირველ შეხედვით შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა თუ გინდ არჩევნების შედეგებიდან. მართლია, მასის საგრძნობი ნაწილი მის საარჩევნო ყუთში ყრიდა ბიულეტენებს, მაგრამ ეს უფრო ინერციით, და მთელი რიგი ავსტრიაში შექმნილ თავისებურ პირობებათა წყალობით, ვინემ ნამდვილი შეგნებით. ეტყობა, ავსტრიის მუშათა კლასის გულის სიღრმეში თანდათან ფართოვდება რევოლიუციონური ენერგია, რაც თითქო შეუმჩნეველი დარჩენილა მის „ხელმძღვანელთათვის". ჩვენ ვსთქვით, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიად იქცა და ამდენად ის არსებითად დაშორდა მასებს. ვენის ამბებმა ეს ნათელი გახადეს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. გათიშვა სოციალ-დემოკრატიის ზედა-ფენებსა და მუშათა მასებს შორის უფრო საგრძნობი შეიქნა იმ პოზიციის გამო, რომელიც პირველებს უკავიათ მუშების გამოსვლის დროს. ბაუერების „მემარცხენეობას" ნიღაბი ჩამოფხრიწა სამუდამოდ. ისინი თავის მოწოდებაში გადაჭრით ილაშქრებენ სამოქალაქო ომის, მუშების შეიარაღებული ბრძოლის წინააღმდეგ. და ეს გასაკვირი არ არის იმ ვაჟბატონებისაგან, რომელნიც, თავის „მემარცხენეობას" როგორღაც ათავსებენ „სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის" თეორიასთან.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობა ამაზე არ შეჩერებულა. ის პირდაპირ ამოუდგა გვერდში რეაქციონერ ზეიპელის მთავრობას და ბურჟუაზიას და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული შეუბრალებლად აქრობს აჯანყებას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიას არა ყავს საკმაო ძალა ამხედრებულ მუშებთან გასამკლავებლად. მთავრობის ჯარები უკვე არა სანდოდაა გამოცხადებული. სოციალ-დემოკრატია თავისი რაზმებით შველება ზეიპელს და ტყვიებს უშენს ქუჩებში გამოსულ მუშებს.

ამავე დროს ის ჩადის ყველაზე საძაგელ მუხანათობას. ერთი მხრივ ტყვიით უმასპინძლდება რა აჯანყებულთ, მეორე მხრივ მას კვლავ უჭირავს ხელში „მემარცხენე" დროშა: ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცეკა თავის მოწოდებაში გმობს პოლიციის მოქმედებას, „აცხადებს" საყოველთაო გაფიცვას ზეიპელის რეჟიმის წინააღმდეგ, და სხ. „გმობს" იმ პოლიციას, რომელიც მის, როგორც ვენის ბატონ-პატრონის, ხელქვეითია, იმ პოლიციას, რომელთან ერთად მისი შეიარაღებული რაზმები მუსრს ავლებენ მუშებს. „აცხადებს" გაფიცვას, რომელიც უკვე ტარდება მის დაუკითხავად. ყველა ამ საზიზღრობას ის სჩადის ერთად-ერთი მიზნით: ხელთ იგდოს მოძრაობის ხელმძღვანელობა, დაეუფლოს მას, რომ ჩაფუშოს ის.

მაგრამ მუშები კბილებს უსინჯავენ ბაუერებს. მასა მათ ხვდება ძახილით „ძირს". მათ განკარგულებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ არავინ ემორჩილება.

როგორადაც არ უნდა გათავდეს ვენის მუშების აჯანყება, აშკარაა შემდეგი: „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიის ჭეშმარიტი სახე სრულიად გამორკვეულია იმ მასებისათვისაც კი, რომელნიც მათ მისდევდენ, სოციალ-დემოკრატიის სახე, როგორც ბურჟუაზიის აგენტის და მოღალატის. სხვა არაფერიც რო არ მოჰყვეს ამჟამად ვენის მუშების ბრძოლას, მარტო ხსენებული შედეგიც გამოისყიდის მათ მიერ დაღვრილ სისხლს.

ვენის ამბების გამო

ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა ვენის პროლეტარიატის გრანდიოზული გამოსვლის შესახებ ფაშიზმის წინააღმდეგ. ვენის მუშები, აღშფოთებულნი სასამართლოს საზიზღარი განაჩენით, რომელიც ამართლებს ქრისტიან-ფაშისტ ყაჩაღებსა და მკვლელებს, წინააღმდეგ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცეკასა და პროფკავშირების ცეკას გადაწყვეტილებისა,— გამოვიდენ ქუჩაში. მასების აღელვება იმდენად ძლიერი იყო, რომ საპროტესტო დემონსტრაცია სტიქიურად დიდ რევოლიუციონურ გამოსვლად გადაიქცა. ვენის მუშებმა დაიწყეს რევოლიუციონერული წესით ფაშისტ ჟანდარმების განიარაღება. რევოლიუციონური პასუხი გასცეს მათ ქრისტიანულ-სოციალისტურ შემიაკინის სამსჯავროს. რევოლიუციონური საქმე იყო სასამართლოს ხელში ჩაგდება, მისთვის ცეცხლის წაკიდება და ბურჟუაზიულ-ფაშისტური იუსტიციის საზიზღარი აქტების დაწვა. ვენის მშრომელები რევოლიუციონურად გაუსწორდენ ვენის პურიშკევიჩების რედაქციებს, შავრაზმულ ფურცლებს, რეიხსპოსტს და სხვა.

წყნარი ვენის ქუჩებზე, იმ ქალაქის ქუჩებზე, რომელსაც უწოდებენ შუა ევროპის საწოლ ოთახს და რომელიც ითვლებოდა „სოციალიზმში ორგანიულად შეზრდისა" და „ფუნქციონალური დემოკრატიის" მექად,—ამ ქალაქის ქუჩებზე უეცრად თოფებმა იგრიალა. დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა. სოციალ-დემოკრატიული პოლიცია ტყვიებს ესროდა მუშებს. მასების პირდაპირ დააყენეს ტყვიის მფრქვეველები. „წესრიგის დაცვაში" მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატიული თავდაცვის კავშირის, შუცბუნდის ნაწილებმა.

ბევრია მოკლული და დაჭრილი. გამოცხადდა და დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ვენისა, მისი განპირა უბნებისა და მთელ რიგ სხვა ქალაქების საწარმოებში და რკინისგზებზე.

მომხდარ ამბების შესახებ ჯერ-ჯერობით არ არის აბსოლიუტურად სწორი და საიმედო ცნობები. ზოგიერთი ცნობები ერთი-მეორეს საწინააღმდეგოა. ერთი ცნობების მიხედვით—მდგომარეობის ბატონი ვენაში პოლიციაა, მეორე ცნობებით კი ის მდგომარეობის ბატონია, მხოლოდ ცენტრალურ მოედნებზე. არ არის გარკვეული ცნობები არც მოძრაობის ლოზუნგებზე, არც ამ მოძრაობის მამოძრავებელ ცენტრზე, არც ავსტრიის კომპარტიის მოქმედებაზე. ამიტომ მსჯელობა ვენის ამბების შესახებ ჯერ-ჯერობით შეიძლება იყოს მხოლოდ წინასწარი.

მაგრამ, ავსტრიის „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიის როლი მთავარ ხაზებში ამჟამადაც უკვე ნათელია. იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატი მუშები აწყობენ ბარიკადებს, იკავებენ ფოსტის შენობას, საპოლიციო უბნებს და ანიარაღებენ ჟანდარმებს,—„მემარცხენე" ოტტო ბაუერი ამ დროს საპარლამენტო ვაჭრობას აწარმოებს რეაქციონერ ზეიპელთან ურთიერთშორის დათმობისა, კოალიციისა და ყოველგვარი სახის დაზღვევისა და გადაზღვევის შესახებ.

„მემარცხენე" სოციალ-დემოკრატია იმის ნაცვლად, რომ მეთაურობდეს მასების რევოლიუციონურ მოძრაობას,—ის თავს ჰკვეთს მას.

სოციალ-დემოკრატიული შუცბუნდი ტყვიებს უშენს სოციალ-დემოკრატ მუშებს. სოციალ-დემოკრატების ხელით რეაქცია „აქრობს" მოძრაობას და „წესრიგს" ამყარებს. ავსტრო-მარქსისტები კლასიკური ბრწყინვალებით გვიჩვენებენ, რომ საჭირო მომენტში ისინი არ ჩამორჩებიან უკან თავიანთ გერმანელ და ინგლისელ თანამოძმეებს. სოციალ-დემოკრატიის ზედა ფენები ყოველნაირ ღონეს ხმარობენ, რომ შეასუსტონ მოძრაობა და ჩააყენონ ის წყნარ საპარლამენტო კალაპოტში, რათა ადგილი არ ექნეს რევოლიუციონურ ექსცესებს.

ძნელი გასაგები არაა, რომ ვენის ამბებს სარჩულად უდევს ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გამწვავებული კლასიური ბრძოლა. ევროპის რეაქციის გაძლიერებამ ზედმეტი სტიმული მისცა ავსტრიის ფაშიზმის ზრდას. რეაქციონური მთავრობა, ფაშისტური ბრბოები, ქრისტიანულ-ფაშისტური ფრონტველები და ალვირახსნილი სანკრეილცები ამ უკანასკნელ დროს არაჩვეულებრივად თავხედურად იქცეოდენ. კავშირი იყო გაბმული ავსტრიის ფაშისტებსა და თეთრი უნგრეთის ფაშისტებს შორის. ფაშისტებს არა ერთხელ ჰქონიათ სისხლიანი შეტაკება მუშებთან. სასტიკი შეტაკება მოხდა კიდევ ამა წლის იანვარში ბურგენლანდში, უნგრეთის საზღვარზე. 17 მაისს პოლიციამ წაართვა იარაღი ვენის არსენალის მუშებს, რასაც ლაჩრულად უყო სანქცია „ვენის მუშათა გაზეთმა". სასამართლოები ამართლებდენ ფაშისტურ მკვლელებს. 10 ივლისს ფაშისტები ჟანდარმერიებთან ერთად კვლავ დაესხნენ თავს პროლეტარიატს და მოჰკლეს ორი მუშა.

სიძულვილი ფაშიზმისადმი ავსტრიის მუშათა კლასში (აქვე უნდა აღინიშნოს, პატარა ავსტრიაში უმუშევართა რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის) განუწყვეტლივ იზრდებოდა. მუშები სულ უფრო და უფრო მარცხნივ იხრებიან. სოციალ-დემოკრატიის ზედა ფენები უნდა შეგუებოდენ ამ მემარცხენე რადიკალურ განწყობილებას. აქედან გამომდინარეობს მემარცხენე ლაყბობა ლინცის პარტეიტაგში, რევოლიუციონური მაღალფარდოვანი ფრაზები, სიტყვები პროლეტარიატის დიქტატურაზე, რევოლიუციურ მეთოდებზე და საბჭოთა კავშირის უპირობო დაცვაზე.

მაგრამ რეალური მასიური მოძრაობის ერთი დღე სჯობია ყველაზე უფრო მემარცხენე პროგრამებს. ვენის ამბების ღირებულება, სხვათა შორის, მით არის დიდი, რომ ავსტრო-მარქსიზმის „მემარცხენეობას" თვით ცხოვრება ამოწმებს ქუჩებში გამართულ ბრძოლებზე. ავსტრო-მარქსიზმის მემარცხენე შარავანდედი მეტად მკრთალად გამოიყურება, როცა სოციალ-დემოკრატიული შუცბუნდი მონაწილეობას იღებს მუშების დახვრეტაში. და თუ ვენის პროლეტარების მოძრაობას არ მიჰყავს ისინი უშუალო გამარჯვებამდე, — ამის მიზეზია უმთავრესად გასაოცარი წინააღმდეგობა მასების ნებისყოფასა და სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობის პოლიტიკას შორის, რომელიც გადამჭრელ მომენტში ბარიკადების იქეთა მხარეს აღმოჩნდა.

როგორადაც არ უნდა შებრუნდეს ახლო მომავალში ამბების მსვლელობა, ხოლო უკანასკნელი ცნობები იმას გვეუბნება, რომ სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების ბელადები „თავის ხელში" იღებენ მოძრაობის ხელმძღვანელობას, ე. ი. ჰბოჭავენ მას,—ერთი ცხადია: ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტი მუშებში საკმაოდ შელახული აღმოჩნდება. მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ციტადელში აუცილებლად თავს იჩენს ნაპრალი. ავსტრო-მარქსიზმის ილიუზიები დაჰკარგავენ წინანდელ მიმზიდველობას მასებში. ივლისის დღეების სისხლიან გაკვეთილზე, ავსტრიის მშრომელი მასები, რომელთაც ამას წინად ერთ ნახევარი მილიონი სოციალ-დემოკრატიული ბარათები ჩაჰყარეს საარჩევნო ყუთებში, ისწავლიან ბაუერისა და მისი მეგობრების ლამაზი სიტყვებისაგან მათი საქმეების გარჩევას.

ჩვენ არ ვიცით, როგორ გამოძახილს ჰპოვებს ამბები ვენის „მუშათა გაზეთში". მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ევროპის მთელი იმპერიალისტური პრესა ცოფსა ჰყრის. გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანო „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ"-მა ვენის ამბები ბრბოს ამბოხებად გამოაცხადა. სოციალ-დემოკრატიულმა „ფორვერტს"-მაც არ დააყოვნა სახელი გაეტეხა მოძრაობისათვის და განაცხადა, რომ იგი ხელს უწყობს რეაქციას. მით უფრო მეტი აღტაცებით შეეგებებიან ვენის სალი რევოლიუციონური ქარის ქროლვას მთელი ქვეყნის მოწინავე მუშები და კომუნისტური ინტერნაციონალი.

ყველაზე მთავარი ავსტრიის მუშებისათვის არის ის, რომ არ გაუშვან მომენტი და თავისი მებრძოლი მასიური მოქმედების გაშლით, მოძრაობის რევოლიუციონური ცენტრების შექმნით და საბჭოების, როგორც ნამდვილ მებრძოლ შტაბების, შექმნით,—პირდაპირ დააყენონ საკითხი ძალა-უფლების შესახებ.

ავსტრიის პროლეტარებმა რაც შეიძლება მალე უნდა შეიგნონ, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის „ხელმძღვანელობა" უაღრესად აფერხებს კლასიურ ბრძოლას. მხოლოდ ლენინური კპ-ის ხელმძღვანელობის დროს—ავსტრიის მუშათა კლასი მოიპოვებს გამარჯვებას.

„პრავდა"
17 ივლისი, 1927 წ.

ავსტრიის მუშების გმირული ბრძოლა

საყოველთაო გაფიცვა ვენაში გრძელდება.—თავდასხმები მუშებზე

ავსტრიელი მენშევიკები ვენის მებრძოლი მუშების წინააღმდეგ

მენშევიკები დემონსტრაციებისა და შეიარაღებული ბრძოლის წინააღმდეგ—ვენის მუშების აჯანყების გამოძახილი პროვინციაში.—ავსტრიის მთავრობას განზრახვა აქვს საალყო წესები გამოაცხადოს.—კომუნისტების დევნა.—უცხოეთის პრესა ვენის ამბების შესახებ

მუშათა დეპუტატების საბჭო

პრაგა, 17 ივლისი. **უკანასკნელი ცნობების თანახმად, ვენაში შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული გაფიცვის ხელმძღვანელებთან.** (ადს).

როგორ დაიწყო მოძრაობა

„ძირს სამარცხვინო განაჩენი! ძირს ფაშისტები"

ბერლინი, 17 ივლისი. ვენიდან მიღებული ცნობებით, **ვენის ამბების უშუალო მიზეზი ყოფილა სასამართლოს მიერ იმ სამი ფაშისტის გამართლება, რომლებმაც შატენდორფში მოჰკლეს ორი მუშა. მათმა გამართლებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მასაში, ჯერ კიდევ 15 ივლისს ღამით გაიმართა მრავალრიცხოვანი მუშათა მიტინგები, რომლებზედაც გამოჰქონდათ პროტესტი სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ. 15 ივლისს დილით შესწყვიტეს მუშაობა ელექტრო-წარმოებების მუშებმა, რის გამოც ძალაუნებურად უნდა შეეწყვიტათ მუშაობა იმ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, რომლებიც ელექტრო-ენერგიით სარგებლობდენ. სწორედ ასევე უნდა შეწყვეტილიყო ტრამვაის მოძრაობაც ამას ზედ მოჰყვა ქალაქის რკინის გზის მოძრაობის შეჩერება. ვენის ყოველ კუთხიდან დიძრა ცენტრისაკენ მრავალი ათასი მუშა, რომლებიც ამავე დროს იძახდენ ქუჩებში:**

„ძირს სამარცხვინო განაჩენი! ჩვენ მოვახდენთ თვითგასამართლებას! ძირს მუშების მკვლელები! ძირს ფაშისტები. (ადს).

მოძრაობა სტიქიურად დაიწყო

ბერლინი, 17 ივლისი. მოძრაობა ვენაში სტიქიურად დაიწყო. მიუხედავათ ყოველგვარი ცდისა, სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების ლიდერები ვერაფერს გახდენ. **შეტაკებამ ქუჩებში ღამემდის გასტანა.** (ადს).

რა ხდება ვენაში

შაბათ ღამეს და კვირას

პრაგა, 17 ივლისი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, შაბათ ღამეს პოლიციამ მოახერხა წესრიგის აღდგენა ვენაში. როდესაც პოლიცია შლიდა დემონსტრანტების უკანასკნელ ჯგუფებს, ფავორიტისა და გერნალის რაიონში საქმე კვლავ შეტაკებამდე მივიდა.

კვირას ვენაში სრული სიწყნარე იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო ბიულეტენს გარდა, არც ერთი სხვა გაზეთი არ გამოსულა. საინფორმაციო ბიულეტენის პირველ ადგილზე მოთავსებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას და პროფკავშირთა ცეკას მოწოდება.

ვენის ქუჩები სავსეა ცნობის მოყვარე ხალხით. სასამართლოს შენობასთან არავის არ უშვებენ. შენობას იცავს პოლიციის გაძლიერებული რაზმი. მესანგრეთა რაზმმა მოახერხა სასამართლოს შენობაში დილით გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობა. (ადს).

მოლაპარაკება მთავრობისა და სოც.-დემოკრატების შორის

ბერლინი, 17 ივლისი. ვენიდან მიღებული ცნობებით, სოციალ-დემოკრატების და მთავრობის შორის განახლდა მოლაპარაკება. მთავრობის ხანგრძლივი სხდომის შემდეგ, რომელსაც დაესწრო პოლიციის უფროსი შობერი, ზეიპელმა მოლაპარაკებას შეუდგა ვენის ქალაქის თავითან ზეიცემთან და ოტო ბაუერთან. მოლაპარაკება გრძელდება. (ადს).

ტყვიებს არ ზოგავენ

ბერლინი, 17 ივლისი. „ფოსიშე ცეიტუნგის" ვენელი კორესპონდენტის ცნობით, შაბათ საღამოს **ფავორიტენის და მარიახილფის ქუჩებში გაისმოდა ხშირი სროლა. ხმებია, რომ პოლიციამ ახალი ბრძანება მიიღო ესროლოს პატარა ჯგუფებსაც კი.** (ადს).

„არბეიტერ ცეიტუნგის" კონფისკაცია

პრაგა, 17 ივლისი. „პრავო ლიდუს" კორესპონდენტი იტყობინება, რომ ვენის გაზეთ „არბეიტერ ცეიტუნგს" კონფისკაცია უყვეს სამხედრო მინისტრის ბრძანებით. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

პრაგა, 17 ივლისი. ავსტრიის საზღვრიდან გადმოცემული ხმების თანახმად, ვენაში დაპატიმრებულია ზოგიერთი კომუნისტები. (ადს).

მთავრობას ეშინია ახალი მღელვარების

პრაგა, 17 ივლისი. უკანასკნელი ცნობებით, **ვენის ქუჩებში ბრძოლის დროს მოკლულია 150 კაცი და დაჭრილია [illegible] კაცი. მთავრობას ეშინია ახალი მღელვარების, რადგან 17 ივლისს, ღამით მუშები შეიჭრნენ არსენალში და ხელში ჩაიგდეს თოფები.** (ადს).

ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა

პრაღა, 17 ივლისი. ავსტრიის საზღვრიდან მიღებულ ცნობებით, ყოველგვარი **ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა გაფიცვა მთლიანად ტარდება. სწარმოებს მხოლოდ სასურსათო ტვირთის გადაზიდვა** და გადაჰყავთ შუცბუნდის რაზმები.

პრაღაში ჰაეროპლანით მოფრინდა ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მდგომარეობა მტკიცეა და მისი გადადგომა არაა მოსალოდნელი. წესრიგს ყველგან იცავენ პოლიცია და ჯარები. მთავრობამ გამოსცა მთელი რიგი მკაცრი განკარგულებები, რომლებიც შეეფერებიან საგანგებო მდგომარეობას. კრებები აკრძალულია.

უცხოელები პანიკურად გარბიან ავსტრიიდან (ადს).

მოძრაობა გრძელდება

პრაღა, 17 ივლისი. კვირას ვენის მუშათა რაიონში გრძელდებოდა ქუჩებში მასიური მიტინგები, დემონსტრაციები და ალაგ-ალაგ შეტაკებები; არიან მოკლულები და დაჭრილები.

რკინის გზელებმა ზიზღით უარყვეს პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის თანდათანობით ლიკვიდაციას.

გაფიცულმა რკინის გზელებმა გააჩერეს ტიროლიდან მომავალი მატარებელი სამხედრო დახმარებით.

რკინის გზის და გზატკეცილების ყველა სანაპირო პუნქტებზე ავსტრია-უნგრეთის და ავსტრია-ჩეხო-სლოვაკიის საზღვრის გასწვრივ გაფიცულებმა დააყენეს მუშათა შეიარაღებული რაზმები.

მუშათა პატრულები უსასტიკეს კონტროლს უწევენ მოძრაობას დუნაიზე რომ თავის დროზე უყონ ლიკვიდაცია შესაძლებელ პროვოკაციას უნგრეთის და ჩეხიის ფაშისტების მხრივ.

მუშებმა დაიკავეს აგრეთვე ფართოდ მაუწყებელი რადიო-სადგური, რათა ხელი შეუშალონ ყალბ და ტენდენციურ ცნობების გავრცელებას, რაც დაიწყო ავსტრიის მთავრობამ (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკებები

ბერლინი, 17 ივლისი. მიუხედავად ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადების ცდისა ჩააქრონ აჯანყება, შაბათს ვენაში კვლავ ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს მუშათა უბნებში—ხელნალსში, ოტაკრინგში და ფავორიტენში. შუცბუნდის რაზმები პოლიციასთან ერთად გამოდიოდენ დემონსტრანტების წინააღმდეგ.

არა სრული ცნობებით, ვენაში მოკლულია **65 კაცი, 470 დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში და 430 სარგებლობს საამბულატორიო ექიმობით**

ის რაიონი, სადაც პარასკევს გაიმართა ბრძოლა, ალყა შემორტყმულია პოლიციისა და შუცბუნდის რაზმების მიერ. გარდა ამისა, თადარიგში სამზრად გაგზავნილი ჯარი.

ავსტრიის კანცლერ ზეიპელსა და ვენის ბურგომისტრ, სოციალ-დემოკრატ ზეიტცის შორის დადებულ შეთანხმებით, რესპუბლიკანურ შუცბუნდის წევრებისაგან შექმნილია სათემო პოლიცია. უკვე შეგროვილია 5.000 „დარჩეული ხალხი", რომლებმაც მიიღეს პოლიციის შეიარაღება.

ამას გარდა გაძლიერებულია თვით პოლიციის შეიარაღებაც (ადს).

მენშევიკები ეხმარებიან ფაშისტებს

ვენის პროლეტარიატის მოძრაობის ჩაქრობაში

ს. დ. პ. ცეკას და პროფკავშირთა ცეკას მოწოდება

პრაღა, 17 ივლისი. ავსტრიიდან მიღებული ცნობებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ და პროფკავშირთა ცეკამ გამოაქვეყნეს ახალი მოწოდება, რომელშიც აფრთხილებენ მუშებს არ წამოეგონ კომუნისტების ანკესზე, რომლებიც აწარმოებენ აგიტაციას მუშათა კლასის დაუყოვნებლივი შეიარაღების სასარგებლოდ.

მოწოდებაში ნათქვამია:

„დღევანდელ მომენტში მუშების შეიარაღებას აუცილებლად მოჰყვება სამოქალაქო ომი და შეიარაღებული ბრძოლა მუშათა კლასსა და სამხედრო ორგანიზაციებს შორის. სამოქალაქო ომი კი გამოიწვევს ახალ საშინელ სისხლის ღვრას, წარმოუდგენელ ეკონომიურ კატასტროფას, სიმშილობას, უმუშევრობის ზრდას და სერიოზულ საფრთხეს რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობისათვის".

მოწოდება შემდეგი სიტყვებით თავდება:

„ჩვენ არ გვინდა განვიცადოთ ის, რაც განიცადეს იტალიისა და უნგრეთის მუშებმა, და ამიტომ ყველა ზომებს მივიღებთ, რომ თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო ომი". (ადს).

რევოლიუციის ჩასაქრობათ

პრაღა, 17 ივლისი. ავსტრიიდან მიღებული ცნობებით, სოციალ-დემოკრატები ყველა ზომებს ხმარობენ, რომ ჩააქრონ მოძრაობა. სოციალ-დემოკრატი ლიდერები მოუწოდებენ დემონსტრანტებსა და მუშათა კლასს „კომუნისტ-წამქეზებლების წინააღმდეგ". (ადს).

პასუხისმგებლობას იხსნიან

ბერლინი, 17 ივლისი. ერთად-ერთი გაზეთი, რომელიც გამოვიდა 16 ივლისს ვენაში—იყო სოციალ-დემოკრატების ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგი". გაზეთი თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას 15 ივლისის ამბებისთვის და

მენშევიკები მოუწოდებენ მუშებს არ მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციებში

პრაღა, 17 ივლისი. სოც.-დემ. ცეკას და ავსტრიის პროფკავშირთა ცეკას მოწოდება, რომელიც გამოქვეყნებული იყო ს.-დ. პარტიის შაბათის ბიულეტენში, **მოუწოდებს ყველას თავი შეიკავონ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებისაგან** და თავისი გრძნობები გამოხატონ „უხმო პროტესტის და უხმო მგლოვიარების" საშუალებით. მოწოდება სასტიკად გმობს პოლიციის მოქმედებას, მაგრამ ამასთანავე ერთად კიცხავს აგრეთვე „მუშათა წრეების უპასუხისმგებლო და უდისციპლინო ელემენტების" მოქმედებას.

მოწოდება პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აცხადებს შემდეგ საგაფიცვო ლოზუნგს:

„ახალ განკარგულებამდი, რკინის გზის, ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მუშაობა მთელს ავსტრიაში უნდა შეწყდეს. ივლიან მხოლოდ მატარებლები, რომლებსაც გაქვთ სურსათ-სანოვაგე. **ვენის ყველა მუშები და მოსამსახურეები თავს ანებებენ მუშაობას სისხლისღვრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ. ეს გაფიცვა ჯერ-ჯერობით გაგრძელდება მხოლოდ ერთ დღეს,** შემდეგ-კი ყველა წარმოების მუშები, გარდა რკინის გზების, ფოსტის, ტელეფონის და ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისა, უბრუნდებიან მუშაობას იმ პირობით კი, რომ იტოვებენ გაფიცვის განახლების უფლებას. საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობას არ ღებულობენ ჰოსპიტალის, წყალსადენის, პურის საცხობ ფაბრიკების, გაზის და ელექტრო-წარმოებათა მუშა - მოსამსახურეები". (ადს).

ბრალს სდებს პოლიციას, რომელმაც სისხლისმღვრელი შეტაკება გამოიწვია.

„არბეიტერ ცეიტუნგის" სიტყვით **პროფკავშირებმა გამოაცხადეს 24 საათის საყოველთაო გაფიცვა**, რომლის შემდეგ უნდა დაბრუნებოდნენ მუშაობას და მზად ყოფილიყვნენ გაფიცვის განახლებისათვის. მუშაობა უნდა წარმოებულიყო მხოლოდ საავადმყოფოებსა და სურსათ-სანოვაგის დამამზადებელ წარმოებებში.

სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს მუშებს არ მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციებში და აცხადებს, რომ გაფიცვა — ერთად-ერთი დასაშვები ფორმაა პროტესტის გამოსახატავად. (ადს).

ბერლინი ,17 ივლისი. ავსტრია ისევ მოწყვეტილი რჩება მთელი გარეშე ქვეყნისაგან. შაბათს ვენიდან მოფრინდა მხოლოდ რამდენიმე აეროპლანი. შეწყვეტილია აგრეთვე კავშირი ტიროლთან, სადაც საოლქო მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

გარდა საინფორმაციო ბიულეტენისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია და პროფკავშირები სცემენ ერთად, არც ერთი გაზეთი არ გამოდის.

ავსტრიის მდგომარეობის შესახებ არსებული ცნობები ადასტურებენ; რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადები ყოველნაირ ღონეს ხმარობენ, რომ მოძრაობა ჩააქრონ. ამ მიზნით ისინი, ერთი მხრით პოლიციასთან თანამშრომლობენ და მოძრაობის ჩაქრობას ცდილობენ სამხედრო ძალით, ხოლო მეორე მხრით გააფთრებულ კამპანიას ეწევიან კომუნისტების წინააღმდეგ.

„ფორვერტსი" აქვეყნებს შემდეგ აშკარად ტენდენციურ ცნობას ხერნალსში მომხდარ ბრძოლების შესახებ:

„შაბათს დილით საპოლიციო კომისარიატმა ხერნალსში გავრცელდა ცნობა, რომ კომუნისტები იარაღს ისხამენ და განზრახვა აქვთ თავს დაესხან კომისარიატს. ამის გამო პოლიციას და სოციალ-დემოკრატებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვით შუცბუნდმა უნდა იკისროს იმ რაიონის დაცვა, რომელსაც ემუქრებიან კომუნისტები. მაგრამ კომუნისტური არეულობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

სახიფათო მდგომარეობის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ შუცბუნდი საგრძნობლად დაზიანდა, პოლიცია კვლავ შეუდგა მოვალეობის ასრულებას. საპოლიციო კომისარიატზე თავდასხმა მოგერიებულია.

იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი, რომ მოსახლეობა დარჩენილიყო სახლებში,—კომუნისტების ზოგიერთი ბელადები მოუწოდებდენ შეიარაღებული წინააღმდეგობისაკენ".

„ფორვერტსი" ამ ცნობას უმატებს კომენტარიებს, რომლებიც შეიცავენ ჩვეულებრივ თავდასხმას კომუნისტებზე და ბრალდებას, რომ ავსტრიის კომპარტია ეხმარება ფაშიზმს. გაზეთი ცდილობს დააკისროს კომუნისტებს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ავსტრიის კანცლერმა ზეიპელმა უარყო სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება.

დამახასიათებელია, რომ ბურჟუაზიული „ფოსიშე ცეიტუნგის" კორესპონდენტი მკაცრად აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატების ცდას დახატოს მასიური აჯანყება, როგორც „რამდენიმე ასეული უპასუხისმგებლო ახალგაზრდების პროვოკაცია".

კორესპონდენტი მაგალითისათვის აღნიშნავს, რომ 9000 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ ნება არ მისცა მეხანძრეთა რაზმს ჩაექრო ცეცხლი სასამართლოს შენობაში და სოციალ-დემოკრატიის ცნობილ ბელადებს ზოიტცას, გლეკლს, გენერალ კორნერს და სხ. შეხვდა ძახილით— „ძირს". (ადს).

ბაუერი გაფიცვის წინააღმდეგ

ბერლინი, 18 ივლისი. გუშინ ვენაში შესდგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ვენის ორგანიზაციის რწმუნებულთა კონფერენცია, რომელზედაც ოტო ბაუერმა განაცხადა: „ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას არ სურს სამოქალაქო ომი და ამიტომ არ აიარაღებს პროლეტარიატს". შემდეგ ბაუერმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას და ავსტრიის პროფკავშირთა ცეკას სახელით შეიტანა წინადადება, რომელიც მოითხოვდა მუშაობის განახლებას ორშაბათ დილით ყველა წარმოებებში გარდა რკინის გზისა სანაოსნო გზებისა, ფოსტისა, ტელეგ. და ტელეფონისა. ადლერი მოუწოდებდა ვენის მუშებს „გამოიჩინონ თავისი ნაცადი დისციპლინა".

თუმცა კრებაზე თავი იჩინა ავსტრიის სოციალ დემოკრატიაში ჯერ გაუგონარმა ოპოზიციამ; სოც. დემოკრატ მუშების მხრივ, მაგრამ ბაუერის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია ბოლოს და ბოლოს მაინც იქნა მიღებული. (ადს).

ბრძანება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ

ბერლინი, 18 ივლისი. რეფორმისტებმა, რომლებმაც შაბათ საღამოს გამოსცეს ბრძანება გენერალური გაფიცვის შეწყვეტის შესახებ და გაფიცვის გაგრძელების შესახებ მხოლოდ ტრანსპორტზე, და ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონში,—ჯერ-ჯერობით შესძლეს სამუშაოზე დაებრუნებიათ მხოლოდ ტრამვაის მუშები, მაგრამ ტრამვაელთა უმცირესობამ უარი განაცხადა მუშაობის განახლებაზე. დათხოვნილია მთელი რიგი მუშები, რომლებმაც უარი განაცხადეს სამუშაოზე გამოსვლაზე. სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილმა კომუნისტების დევნამ უკვე გამოიწვია 250 მუშის დაპატიმრება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები.

მენშ. ბელადების სურვილის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 ივლისი. გაზეთი „მეელტ ამ აბენდ"-ის ვენელი კორესპონდენტი იუწყება ბრატისლავადან, რომ **საყოველთაო გაფიცვა მოედო მთელ ავსტრიას.** ყველა დიდ ქალაქებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ **ვენის პროლეტარიატის გამოსვლამ, ყველგან ფეხზე დააყენა მუშები,** მიუხედავათ მუშათა მოძრაობის ოფიციალური ლიდერების სურვილისა. **მუშები მოითხოვენ მუშათა მთავრობის შექმნას, ზეიპელის მთავრობის გადადგომას და ფაშიზმის ალაგმვას.**

ბურგენლანდში თავს უყრიან რესპუბლიკანური შუცბუნდის ნაწილებს, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მეთაურობენ.

მუშების სულიერი განწყობილება, მიუხედავათ გაღებული მსხვერპლისა, მაინც კარგია.

სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოვიდა ლოზუნგით საყოველთაო გაფიცვის შესახებ იმ მიზნით, რომ ხელში ჩაიგდოს მოძრაობის ხელმძღვანელობა და ჩააქროს ის, მაგრამ საეჭვოა, რომ სოციალ-დემოკრატიამ შესძლოს ასეთი მასიური ხასიათის მოძრაობის ჩაქრობა და ძველი მდგომარეობის აღდგენა.

მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, სოციალ-დემოკრატებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც ბევრის აზრით ააშკარავებს მხოლოდ იმას, რომ **სოციალ-დემოკრატების ყველაზე უფრო პოპულიარულმა ლიდერებმაც კი, მიუხედავათ ყოველგვარ ღონისძიებისა, რომელსაც ისინი მიმართავენ, ვერ დაიმორჩილეს მოძრაობა.**

მოწოდება ძლიერ დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატების ტაქტიკისათვის და გამოქვეყნებულია იმ განზრახვით, რომ გათიშოს მასები და შეაჩეროს მოძრაობის განვითარება. (ადს).

კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ

სოც.-დემოკრატიის ჭორები

ბერლინი, 17 ივლისი. იმ შეთანხმების პირველ შედეგს, რომელიც დადებულ იქნა მთავრობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის კომუნისტების წინააღმდეგ საერთო კამპანიის წარმოების შესახებ, წარმოადგენს ოფიციალური ცნობა, თითქოს რინგში მომხდარ შეტაკების დროს პოლიციისთვის პირველად ესროლოს ცნობილ კომუნისტს ფიალას. ფიალა დაპატიმრებულია.

ცნობიდან ძნელია გამორკვევა, ვის შესახებაა ლაპარაკი: ავსტრიის კომპარტიის ცეკას მდივან ფიალაზე, რაც სარწმუნოა, თუ სხვა რომელიმე იმავე გვარის კომუნისტზე? (ადს).

ქართველ მენშევიკების პროცესი ხარკოვში

პროცესის დაწყების წინ

ხარკოვი, 18 ივლისი. პროცესი ქართველ მენშევიკ—კონტრ-რევოლიუციონერების, რომლებსაც ბრალდება ჯაშუშობა და აჯანყების მზადება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დაიწყება ოც ივლისს.

ვინაიდან ქართველ მენშევიკ-ჯაშუშების კავშირმა უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერებთან და პოლონეთის კონტრ-დაზვერვასთან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ უკრაინის მშრომელ მასებში და უკრაინელი მუშები და გლეხები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამ პროცესისადმი, განზრახულია გასამართლებას მიეცეს საჩვენებელი ხასიათი.

საქმის გარჩევა დანიშნულია მელითონეთა კლუბში.

უკრაინის უზენაესმა სასამართლომ ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში დაგზავნა სპეციალური ბილეთები სხდომის დარბაზში შესასვლელად.

პროცესმა ბევრი ახალი ფაქტები უნდა გამოააშკარავოს ქართველ მენშევიკების მოღალატურ მოღვაწეობიდან.

სასამართლოს შემადგენლობა

ხარკოვი, 18 ივლისი. დღეს შესდგა უკრაინის უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა სასამართლოს შემდეგი შემადგენლობა ქართველ მენშევიკების საქმის გასარჩევად: თავმჯდომარე—ამხ. ვოლკოვი, წევრები—ამხ. ადამოვიჩი და ტარასოვი. სახელმწიფო ბრალდებულად გამოდის ამხ. პოპოვი. სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს უზენაეს სასამართლოს პროკურორი **პრიგოვი**. ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები — კულიკოვი, ბელოსტოცკი, რივლინი, კონნიკოვი, ვინოგრადსკი, სკერსტი და მამონტოვი. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის მოთხოვნილება

ბერლინი, 17 ივლისი. ავსტრიის კომპარტიამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი: **საფაბრიკო კომიტეტების სრულიად ავსტრიის კონგრესის დაუყოვნებლივ მოწვევა—კონგრესმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები საჭირო პოლიტიკურ ღონისძიებათა შესახებ; მუშების შეიარაღება; პოლიციის და ფაშისტურ ორგანიზაციების განიარაღება; საერთო გაფიცვის ჩამოგდებამდე და დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნა.**

ბერლინი, 18 ივლისი. კვირას ვენაში ვრცელდებოდა კომპარტიის მოწოდებები და ფურცლები. გამვრცელებელთაგან ბევრი დაიჭირეს (ადს).

„როტე ფანე"

ბერლინი, 17 ივლისი. შაბათს გამოვიდა ავსტრიის კომპარტიის ორგანოს „როტე ფანე"-ს სასწრაფო გამოშვება. მეორე სასწრაფო გამოშვების გამოსვლას ხელი შეუშალეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც შესწყვიტეს სტამბისათვის ელექტრონის ენერგიის მიწოდება. (ადს).

საერთაშორისო რეაქცია ამოძრავდა

უცხოელების „დახმარება"

პრაგა, 17 ივლისი. ავსტრიის საზღვრიდან მიღებული ცნობების თანახმად, ავსტრიის მთავრობამ უარჰყო ვენის ბურგომისტრის ზეიცის წინადადება, მთავრობის შენობებში სამხედრო ნაწილების შეცვლის შესახებ პოლიციით, მიუხედავად იმისა, რომ **ვენაში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებს არასაიმედოთ სთვლიან.**

იუწყებიან, რომ ვენაში თავს უყრიან სოციალ-დემოკრატიული შუცბუნდის რაზმებს.

„ჩიკაგო ტრიბუნის" ვენის კორესპონდენტი იუწყება, რომ **დიპლომატიურმა კორპუსმა ნებართვა მიიღო, უცხოელთა მისიების დასაცავად, უცხოელთა ჯარების შემოყვანაზე ვენაში. კორესპონდენტის სიტყვით, ადვილი შესაძლებელია ეს ჯარები, საჭიროების დროს, გადასცენ ავსტრიის მთავრობას, აჯანყებულების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების საწარმოებლად.** (ადს).

ავსტრო-უნგრეთის საზღვარზე

ბერლინი, 17 ივლისი. ხმები დადის, რომ უნგრეთის მთავრობამ ავსტრია-უნგრეთის საზღვარზე თავი მოუყარა ჯარებს. (ადს).

იტალიის და უნგრეთის პოზიცია

ბერლინი, 17 ივლისი. ვენაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით პოლიტიკურ წრეების საერთო ყურადღებას იპყრობს ავსტრიის მეზობელ სახელმწიფოების, განსაკუთრებით იტალიის და უნგრეთის, პოზიცია.

უნგრეთში გამუდმებით და სისტემატიურად ვრცელდება ისეთი ხმები ვენის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც გვაგონებენ პრესის ანალოგიურ კამპანიას სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა კავშირში.

ბურგენლანდის საოლქო მთავრობის ცნობით უნგრეთის მთავრობამ ედენბურგში თავი მოუყარა 5 ბატალიონ ჯარს, რომელიც სავსებით მზად არის საომრად. სხვა ცნობების მიხედვით გამოსასვლელად მზად არიან აგრეთვე უნგრეთის არარეგულიარული ჯარებიც.

ვენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამართლებულ ნარმანის (რომელმაც მოჰკლა მუშები შატენდორფში) ოჯახი გაიქცა უნგრეთში.

ბუდაპეშტის ზოგიერთმა ბანკებმა შესწყვიტეს ავსტრიის ვალიუტის გაცვლის ოპერაციები.

ინსბრუკიდან იუწყებიან, რომ იტალიის სამხედრო სარდლობამ ბრენერში განაცხადა, რომ თუ ავსტრიის რკინის გზებზე გაგრძელდა გაფიცვა იტალია თავის სატრანზიტო მატარებლებს ავსტრიის ტერიტორიაზე გაგზავნის დამოუკიდებლად სამხედრო დამცველი რაზმებით. გერმანიის მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ ცნობები იტალიის და უნგრეთის ინტერვენციის შესახებ ვრცელდება ავსტრიის მუშების დაშინების მიზნით, ვინაიდან საეჭვოა რომ ამ სახელმწიფოებმა გადასწყვიტონ ასეთი ინტერვენციის მოხდენა თავისი ინიციატივით; მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია არ შეიძლება გულგრილად შეხვდნენ ასეთ ინტერვენციას. (ადს).

რა ხდება ვენაში.

პრესის გამოძახილი

საფრანგეთის პრესა

„რევოლიუციონური გზის ახალი ეტაპი"

პარიზი, 17 ივლისი. ვენის ამბებს ჯერჯერობით კომენტარიებს ზოგიერთი გაზეთები უკეთებენ.

სოციალისტური „პიუპლერი" აღნიშნავს მოთხოვნილებას ზეიპელის გადადგომის შესახებ. გაზეთი ზეიპელს უწოდებს „საერთაშორისო კაპიტალიზმის ლაქიას".

„იუმანიტე" სწერს.

„ავსტრიაში ჯერ რევოლიუცია არ არის, რადგან მუშებს არ სჯერად სოციალ-დემოკრატიის ბელადების. ის, რაც ამ ჟამად ავსტრიაში ხდება — მუშათა აღშფოთებაა რეაქციის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის მიერ ნიშანში ამოღებული მუშები თვლიან რა თავის თავს მდგომარეობის ბატონად, ქმნიან რევოლიუციონური გზის ახალ ეტაპს". (ადს).

„დეილი მეილის" კომენტარიები

ლონდონი, 17 ივლისი. უკეთებს რა კომენტარიებს ვენის ამბებს, „დეილი მეილი" სწერს:

უკანასკნელ წლებში ვენა გახდა ბოლშევიკური მოღვაწეობის ცენტრად ევროპაში. უკანასკნელი სისხლის მღვრელი შეტაკებანი გვიჩვენებენ, რომ ხალხი, რომელიც ითმენს ბოლშევიკ. აგენტების და შეთქმულების მომწყობლებს დიდ საფრთხეში ვარდება. ყველაფერი რაც ვენაში მოხდა არის ის, რასაც საბჭოები ცდილობდენ ინგლისში საერთო გაფიცვების მოწყობით". (ადს).

იტალიის პრესა

რომი, 17 ივლისი. იტალიის პრესა გაცხოველებით არჩევს ვენაში მომხდარ ამბებს.

„ტრიბუნა" სწერს:

„დაუშვებელია წარმოვიდგინოთ, რომ ავსტრიის პატარა რესპუბლიკა გადაიქცეს რევოლიუციონური ექსპერიმენტების ასპარეზად ევროპის ცენტრში. აჯანყებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს საბაბი ისეთ პოლიტიკურ ცვლილებებისათვის ავსტრიის სახელმწიფოში, რომელიც ხელს შეუშლის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ასრულებას. იტალია, როგორც ავსტრიის მოსაზღვრე დიდი სახელმწიფო, მაქსიმალურად დაინტერესებულია სენ-ჟერმენის ხელშეკრულების დაცვაში და თავის მოვალეობათ სთვლის და უფლებაც აქვს თვალყური ადევნოს ავსტრიაში მომხდარ ამბებს".

„ჯორნალე დ,იტალია" აცხადებს:

„ვენის ამბები, ნაწილობრივ მაინც გამოწვეულია კომინტერნის მიერ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროპაგანდას ბალკანეთის ქვეყნებში და ცენტრალურ ევროპაში. მოძრაობის მეორე მიზეზია ულტრადემოკრატიული რეჟიმი, რომელიც არსებობს ვენაში". (ადს).

ყალბ საბუთების მკეთებელთა ორგანიზაცია პარიზში

პარიზი, 18 ივლისი. იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში აღმოჩენილ იქნა ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა საბჭოთა ყალბ საბუთებს, „იუმანიტე" სწერს:

„როდესაც საბჭოთა კავშირის საელჩომ შეატყობინა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ პარიზში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს საბჭოთა ყალბ საბუთებს, სამინისტრომ მხოლოდ განაცხადა, რომ პოლიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულ იქნა სოლოვსკი, რომელმაც მიიტანა საბჭოთა საელჩოში ყალბ საბუთების დამამზადებელთა ავტოგრაფები, სასამართლო ხელისუფლებამ დაიწყო კვლევა-ძიება. ყალბ საბუთებს ადგენენ: **მატინიანი, მიხეევი, რუოვსკი** და **ლაზარევი**, რომლებიც ჰყიდიან მათ იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის, ჰოლანდიის, კუბის, ჩილის, არგენტინის, მექსიკის და პარაგვაის საელჩოებზე.

მზადდებოდა დოკუმენტები, რომლებიც ვითომ გამომდინარეობდნენ საბჭოთა კავშირის საელჩოსაგან პარიზში, აგრეთვე საბჭოთა საკონსულოებისაგან ნეაპოლში და მარსელში; ნამდვილად კი მარსელში არავითარი საბჭოთა საკონსულო არ არსებობს.

საბუთები, ვითომ ეკუთვნოდნენ აგრეთვე სამხედრო წარმომადგენლობას, საელჩოსთან არსებულ ტერორისტულ სექციას პარიზში, ესპანეთის კომპარტიას და სხვა.

დამზადებულ ყალბ დოკუმენტებში **რუოვსკი** გამოყვანილი იყო საიდუმლო ორგანიზაციის მეთაურად, საბჭოთა საელჩოს მრჩეველი პარიზში **დავითიანი**—მოქმედების კომიტეტის თავმჯდომარედ, საელჩოს მდივანი **ფირუმოვი**—სხვადასხვა ქვეყნებში ტერორისტების გაგზავნის ორგანიზატორად.

საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს ყალბ საბუთების მკეთებელთა მუშაობის შესახებ აქვეყნებენ: „კოტიდიენ", „ევრ", „ეკო-დეპარი" და სხვა გაზეთები.

„ევრ"-ი სწერს: „ფალსიფიკატორები" ამზადებდენ დოკუმენტებს, რომლებსაც ყოვლად დაუფიქრებლად იძენდენ სხვადასხვა საელჩოები. ყველაზე მეტად დაზარალდა ესპანეთის საელჩო, რომელმაც 180.000 ფრანკი გადაიხადა; კიდევ მეტი,—ესპანეთმა მთელი მისია გაგზავნა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია საფრანგეთიდან ესპანეთში აგიტატორების გაგზავნისათვის. გენერალი **კუტეპოვი** იყო ყალბ საბუთების ფაბრიკის ადმინისტრატიულ საბჭოს მეთაური. **მატინიანი** იყო მმართველი. ზოგიერთი დეტალები სიცილს იწვევს, განსაკუთრებით სახაცილოა **დე-რივერას** წარმომადგენლის გაბრიყვება. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ მეტად ტრაგიკულ როლს თამაშობდნენ ყალბი საბუთები ხალხის ისტორიაში". (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩან-კაი-ში ჩან-ძო-ლინს ბაძავს

თავდასხმა აღმოსავლეთის ბანკის განყოფილებაზე შანხაიში

თავდასხმა მოაწყო შანხაის საერთაშორისო უბნის პოლიციამ რუს თეთრგვარდიელების მონაწილეობით.—ჩხრეკა ბანკის შენობაში გაგრძელდა ექვს საათს.—ოქმი ჩხრეკის შედეგების შესახებ არ შეუდგენიათ.—გაჩხრიკეს აგრეთვე ბანკის განყოფილების მმართველის ამხ. ფრომბერგის ბინა.—ბანკის განყოფილება დახურულია

საბჭოთა კავშირის შანხაელი გენერალური კონსულის პროტესტი

თავდასხმა შორეულ აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილებაზე

მორიგი თავხედობა

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. „ასოშიეტედ პრესი" იუწყება შანხაიდან, რომ მუნიციპალურმა პოლიციამ მოახდინა თავდასხმა რუსეთის ბანკზე. პოლიცია ბანკში ეძებდა კომუნისტებს. (ადს).

შანხაი, 17 ივლისი. 16 ივლისს დილით, შორეულ აღმოსავლეთის ბანკის (საბჭოთა ბანკი) შანხაის განყოფილება გარსშემორტყმული იქნა მუნიციპალური პოლიციის (ექვემდებარება საერთაშორისო უბნის მუნიციპალიტეტს) რაზმებით. რაზმებს მეთაურობდენ ოხრანკის გამოჩენილი მოხელეები ცნობილი თეთრგვარდიელები კედროლივანსკი, რინასი და ბერიოზკინი და კაპიტანი ჩოუ, გენერალი ან-ხუს წარმომადგენელი, რომელმაც სახელი გაითქვა კომუნისტების და მუშების დასჯით ნინბოში და სხვა ადგილებში. პოლიციამ წარმოადგინა ორდერი, რომლის თანახმად მას უნდა მოეხდინა გაჩხრეკვა და გაესინჯა ყველა წიგნები და საბუთები. ორდერი ამოჩნდა გაცემული ჩინეთის დროებით სასამართლოს მიერ. მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ გაჩხრეკის ინიციატივა ეკუთვნის გენერალ იან-ხუს, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო სეტლმენტის ხელისუფლებას.

პოლიცია დარჩა ბანკის შენობაში ნაშუადღევის 4 საათამდე და აშკარად ცდილობდა ამოეჩინა ბანკის წიგნებში და საბუთებში ისეთი რამ, რაც გაამართლებდა გაჩხრეკას. გაჩხრეკილი იქნა ყველა ოთახები; სეიფები გასინჯეს სამჯერ. პოლიციამ ამის გარდა შეადგინა ამონაწერები წიგნებიდან. გასინჯა მიმდინარე ანგარიშების წიგნი და ბანკის სატელეგრაფო შიფრები, მიუხედავად შანხაის განყოფილების გამგის სასტიკი პროტესტისა.

საღამოს პოლიცია კვლავ გამოცხადდა ბანკში და დალუქა მთელი შენობა. (ადს).

ჩან-კაი-შის განკარგულებით?

შანხაი, 17 ივლისი. საღამოს გაზეთი „მერკური" სწერს, რომ შესაძლებელია გაჩხრეკა მოეხდინათ ჩან-კაი-შის, ან მისი უახლოესი თანამშრომლების განკარგულებით. (ადს).

ჩხრეკა ბანკის დირექტორის ბინაზე

შანხაი, 17 ივლისი. საფრანგეთის პოლიციამ გაჩხრიკა შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილების გამგეს ფრომბერგის ბინა, რომელიც მოთავსებულია საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე. გაჩხრეკილია აგრეთვე სხვა საბჭოთა მოქალაქეების ბინა, იმავე შენობაში.

საფრანგეთის პოლიციის გარდა ჩხრეკას დაესწრენ რუსი თეთრგვარდიელები. პოლიციამ გარდა იმისა, რომ მოახდინა დაწვრილებით ჩხრეკა შენობაში, გაჩხრიკა პირადათ ფრომბერგიც. პოლიციამ თან წაიღო წიგნები, პირადი მიწერ-მოწერა და ფოტოგრაფიული სურათები. გაჩხრეკის ოქმი და წაღებული ნივთების სია შედგენილი არ იყო. (ადს).

ბანკი დაკეტილია

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. ასოშიეტედ პრესის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლების განკარგულებით, შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილება დაკეტილია. ბანკის თანამშრომლებიდან არავინ არ დაუპატიმრებიათ, ბანკიდან საბუთები წაღებული არ არის, მხოლოდ ზოგიერთების ასლია გადაღებული. (ადს).

საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულის პროტესტი

შანხაი, 17 ივლისი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში კოზლოვსკიმ ჩააბარა ჩჟანსუს პროვინციის გარეშე საქმეთა რწმუნებულს საპროტესტო ნოტა შორეულ აღმოსავლეთის ბანკის შანხაის განყოფილებაში მომხდარ ჩხრეკის წინააღმდეგ. საპროტესტო ნოტაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩხრეკა წარმოადგენს პირდაპირ შედეგს ამ გაუგონარ, უტიფარ ცილისწამების კამპანიისას, რომელსაც უკანასკნელ დროს აწარმოებდა შანხაის იმპერიალისტური და თეთრგვარდიელთა პრესა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების და კერძოდ შორეულ აღმოსავლეთის ბანკის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების გამოსვლას უნებურად დაუკავშირებს იმ აღმაშფოთებელ თავდასხმებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პეკინში, და ლონდონში. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებულ განცვიფრებას გამოიწვევს მუნიციპალურ პოლიციისა და რუს თეთრგვარდიელებთან იმ ხელისუფლების წარმომადგენელთა თანამშრომლობა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირთან და რომელმაც თავის დროზე სასტიკად დაჰგმო პეკინის თავდასხმა და საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს შენობის გარემოცვა შანხაიში. ვაცხადებ რა გადაჭრილ პროტესტს, გთხოვთ მიიღოთ ზომები ამ ინცინდენტის დაუყოვნებლივ მოსაგვარებლად და აგრეთვე მომავალში ასეთ მოქმედებათა აღსაკვეთად სამხედრო ხელისუფლების მხრივ, ვინაიდან ასეთ მოქმედებას შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს მეგობრულ ურთიერთობას" (ადს).

ამხ. ფრომბერგის განცხადება

შანხაი, 17 ივლისი. ფრომბერგმა მიმართა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულს შემდეგი განცხადებით:

„16 ივლისს დილით შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის შენობაში გამოცხადდენ მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენლები. დროებით სასამართლოს მიერ გაცემული ორდერის წარდგენის შემდეგ, შეუდგენ შენობის დაწვრილებით გაჩხრეკას და შკაფების, მაგიდების, წიგნების და საბუთების გასინჯვას. ჩხრეკამ გასტანა ექვსი საათი.

არავითარი ოქმი გაჩხრეკის შესახებ შედგენილი არ იყო. რამდენიმე საათის შემდეგ პოლიცია დაბრუნდა უკან და ბანკის მოსამსახურეთა დაუსწრებლად დალუქა ბანკის სადგომის გასავალი კარები, როგორც სჩანს, განუსაზღვრელ ვადით. წიგნებს სინჯავდა აგენტების დიდი რიცხვი. და გაჩხრეკასთან ერთად ადგენდა ვრცელ ამონაწერებს. ამ რიგათ ბანკს, ამჟამად არა აქვს გარანტია იმისა, რომ დაცული იქნება ბანკის საიდუმლოებანი.

მიუხედავად პროტესტისა გასინჯული იქნა აგრეთვე ბანკის შიფრებიც.

ეს გაჩხრეკა, რომლის მოსახდენად ბანკს თავის მხრივ არ მიუცია პოლიციისათვის არავითარი საბაბი და განსაკუთრებით შენობის დალუქვა ემუქრება მას დიდის ზარალით. ბანკის მოქმედების მოულოდნელი და ძალდატანებით შეჩერებას შეიძლება მოყვეს მძიმე გართულება, ვინაიდან ბანკი დაკავშირებულია შანხაის სხვა ბანკებთან, საზღვარგარეთის ბანკებთანაც და აგრეთვე მრავალრიცხოვან კლიენტებთან ყოველდღიურ ოპერაციებით". (ადს).

ჩან-კაი-შის და ჩან-ძო-ლინის ტერორი

ჩან-ძო-ლინის ბრძანებით ხარბინში დააპატიმრეს საბჭ. პროფმუშაკები

ჩან-კაი-შის განკარგულებით სიკვდილით დასაჯეს ჩინეთის პროფმუშაობის ლიდერი ნან-ტეი-ლინი

ჩან-კაი-შის განზრახვა აქვს დროებითი ზავი ჩამოაგდოს ჩან-ძო-ლინთან უხანის წინააღმდეგ შეტევის დასაწყებათ

ნანკინის მთავრობის სამხედრო საბჭო

შანხაი, 17 ივლისი. ნანკინში შესდგა ნანკინის მთავრობის სამხედრო საბჭოს პირველი სხდომა. სამხედრო საბჭო შეასრულებს მთავარი შტაბის ფუნქციებს. სამხედრო საბჭოს ექვემდებარება არმიის მთავარსარდალი (ადს).

ნან-ტეი-ლინის დასჯა

პეკინი, 17 ივლისი. ჩინეთის პროფესიონალური მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი ნან-ტეილინი—რომელიც რამოდენიმე ხნის წინეთ დაპატიმრებული იქნა შანხაიში საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე და გადმოგზავნილი შემდეგ ნანკინში. სიკვდილით იქნა დასჯილი ჩან-კაი-შის პირადი ბრძანების თანახმად. (ადს).

გომინდანის ცეკას დადგენილება

ხანკოუ, 17 ივლისი. გომინდანის ცეკამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ერთი თვის განმავლობაში მოწვეულ იქნას ცეკას მეოთხე პლენუმი იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელსაც წარმოადგენს პოლიტბიუროს პრეზიდიუმი პლენუმის მოწვევამდი. აკრძალულ იქნას ყოველგვარი გამოსვლა, რომელიც წინაღუდგება გომინდანის პოლიტიკას და პრინციპებს. საბჭოთა კავშირში უნდა გაიგზავნოს გომინდანის თვალსაჩინო წევრებისაგან შემდგარი დელეგაცია ნამდვილი თანამშრომლობის საშუალებათა გამოსანახავად. დელეგაციის შემადგენლობა უნ და დანიშნოს პოლიტბიურომ, ტან-პინსიანი და სიუ-ჩენი გადადგენ. (ადს).

სიუ-ჩჟოუ აღებული არ არის

პეკინი, 17 ივლისი. ირკვევა, რომ იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობები შანდუნელების მიერ სიუჩჟოუს აღების შესახებ, სწორი არ გამოდგა. ფრონტის ხაზი რჩება წინანდელი. (ადს).

მზადება უხანზე გასალაშქრებლად

შანხაი, 17 ივლისი. რეიტერის ცნობით, ჩჟან-ცზუნ-ჩანმა პირდაპირი მავთულით შეატყობინა პრემიერ გან-ფუს ცინანფუში ჩან-კაი-შის დელეგატების ჩამოსვლის შესახებ.

დელეგაციის ჩამოსვლას მიზნათ აქვს მოლაპარაკების დაწყება დროებით ზავზე და ჩან-კაი-შის განზრახვაზე შეუდგეს უხანზე გალაშქრებას. ჩან-კაი-ში ცდილობს უხანზე შეტევაში გამოიყენოს ყველა, ვინც კომუნისტური მოძრაობის წინაღმდეგ არის განწყობილი (ადს).

ბოროდინას და დიპლომატიურ კურიერების განთავისუფლების შემდეგ

პეკინი, 17 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, პეკინის ხელისუფლება ძლიერ შეშფოთებული არიან ბოროდინას და დიპლომატიურ კურიერების მოულოდნელი განთავისუფლებით.

ისინი დაეჭვებენ განთავისუფლებულებს, რომლებმაც თითქოს ხელი უნდა მოაწერონ რაღაც საბუთებს.

ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი სამჯერ გამოცხადდენ საბჭოთა საკონსულოში, უკანასკნელ ვიზიტი მოახდინეს ავტომობილით და შეიარაღებულ მცველების თანხლებით.

საკონსულოს მოსამსახურეებმა განაცხადეს, რომ მათ არ იციან, თუ სად იმყოფებიან ბოროდინა და დიპლომატიური კურიერები.

ხელისუფლება განაგრძობს ძებნას. ფიქრობენ, რომ განთავისუფლებულებმა მოასწრეს ტრან-ციმბირის წასვლა (ადს).

საბჭოთა პროფმუშაკების დაპატიმრება

პეკინი, 17 ივლისი. 15 ივლისს ხარბინის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ გამოიწვია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის პროფკავშირების საბჭოს ყოფილი მდივანი კოსოლაპოვი და რკინისგზის პროფესიონალური მუშაკები მოშკინი, მამონტოვი, კუჩმა, ტიმოშენკო და გონჩაროვი, რომლებიც ერთხელ უკვე იყვნენ დაპატიმრებული და თავდებ ქვეშ განთავისუფლებული. მათ ბრალს სდებდენ „კომუნიზმის და კომუნისტურ ლიტერატურის გავრცელებაში".

მსაჯულმა გამოუცხადა გამოწვეულთ, რომ ამნისტიის პირდაპირი აზრის მიხედვით ისინი დაპატიმრებული უნდა იქნენ ციხეში მუქდენიდან დაწვრილებითი ინსტრუქციების მიღებამდე.

ყველა გამოწვეულნი დაუყოვნებლივ მოათავსეს ხარბინის ციხეში. დამცველის შუამდგომლობა ბრალდებულთა თავდებ ქვეშ განთავისუფლების შესახებ სასამართლომ უარყო (ადს).

დროებითი ზავი ნანკინსა და პეკინს შორის

შანხაი, 18 ივლისი. აქ დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ პეკინსა და ნანკინს შორის დაიდო დროებითი ზავი. ეს ხმები დადასტურდა ჩინეთის ოფიციალურ წრეებში. ჩინეთის ზოგიერთ წრეებში მოუთითებენ, რომ დროებითი ზავი მიმართულია უხანის წინააღმდეგ და აგრეთვე ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგაც, ვინაიდან უკანასკნელი მტრულ პოზიციას ადგია ნანკინის მიმართ". (ადს).

შანხაი, 17 ივლისი. ცზიან-სუს პროვინციის მთავრობამ წინადადება მისცა შანხაის პრეფექტურას მოახდინოს ჩხრეკა იმ ადგილებში, რომლებიც ვითომდა წარმოადგენენ „კომუნისტური აქტივობის" ცენტრებს შანხაის რაიონში, და კონფისკაცია უყოს მთელ კომუნისტურ ლიტერატურას (ადს).

პეკინის დაცვა

პეკინი, 17 ივლისი. გოვენის სააგენტო იუწყება, რომ პეკინის ოლქის დასაცავად შედგენილია 16 დამატებითი საარტილერო რაზმი.

„ნორდ ჩაინა სტანდარტი"-ს ცნობით ანგოჯოუნის შტაბი ღებულობს განსაკუთრებულ ზომებს პეკინის დასაცავად. ამჟამად პეკინის რაიონში, სამხედრო ნაწილების გარდა, იმყოფება 17.000 პოლიციელი. (ადს).

ნანკინის მთავრობამ აკრძალა ვერცხლის გაზიდვა

შანხაი, 17 ივლისი. ნანკინის მთავრობის მიერ ვერცხლის გაზიდვის აკრძალვა დიდ შეშფოთებას იწვევს სავაჭრო და საფინანსო წრეებში. ვერცხლის გაზიდვის აკრძალვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უცხოეთის ბანკებმა დაადგინეს 1 აგვისტოდან აღარ მიიღონ შეკვეთილ საქონლის ორდერებში ჩინეთის ბანკების ვალდებულებები და თამასუქები.

ვინაიდან მთელი ადგილობრივი საიმპორტო ვაჭრობა სწარმოებს თამასუქების და ვალდებულებების საშუალებით,—უცხოეთის ბანკების გადაწყვეტილება წარმოადგენს ფინანსიური ომის გამოცხადებას ნანკინის მთავრობისათვის. მეორის მხრივ ინგლისური ბანკები ამზადებენ ვერცხლის გადაზიდვას სხვა ნავთსადგურებში ინგლისის გამანადგურებლების დახმარებით. იაპონიის ბანკებსაც განზრახული აქვთ გადაზიდონ ვერცხლი გამანადგურებლებით. გამოურკვეველია—მიიღებენ თუ არა ანალოგიურ გადაწყვეტილებას ამერიკული ბანკები (ადს).

ღამის ცნობები

ვოლფის სააგენტოს ცნობა

ბერლინი, 17 ივლისი. ვოლფის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ვენიდან რომ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიულ ლიდერების ცდისა ჩააქრონ მოძრაობა უფრო ნორმალურ კალაპოტში, გრძელდება კომუნისტების მიერ მოწყობილი გამოსვლები.

ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ვენაში აეროპლანით მოფრინდა გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი ვილჰელმ პიკი (ადს).

რკინისგზელებმა მიატოვეს სადგურები

ბერლინი, 17 ივლისი. კვირა დილიდან ტიროლის ყველა სადგურები, მათ შორის ინსბრუკის სადგურიც ეჭირა ჯარებს, ჟანდარმერიას და „სამოქალაქო დამცველ რაზმს", (რომელიც მოაწყო ადგილობრივმა მოსახლეობამ ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებიდან). რკინის გზელების საგაფიცვო კომიტეტმა და თავდაცვის კავშირის რაზმებმა სადგურები მიატოვეს წინააღმდეგობის გაუწევლად მათ შემდეგ უფრო სხვა რკინისგზელებმაც მიატოვეს სადგურები. ინსბრუკის რკინის გზების სამმართველომ გამოაქვეყნა მოწოდება რკინისგზელებისადმი, რომლითაც წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ განაახლონ მუშაობა; სამმართველო აცხადებს, რომ ვინც უარს მუშაობის განახლებაზე გამოიწვევს „ყოველგვარ შედეგებს". „ტეხნიკურ დახმარების" (ბურჟუაზიული შტრეიკბრეხერული ორგანიზაცია) წყალობით ტიროლის რკინის გზებზე სამმართველომ შესძლო ადგილობრივი მიმოსვლის რამოდენიმე მატარებლის გაშვება; მაგრამ ელექტრონის რკინის გზაზე მატარებლის გაშვება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან არ იყო ელექტრონის დენი (ადს).

თანაგრძნობა ავსტრიის მუშებისადმი

პრაღა, 17 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის რეფორმისტებმა უპასუხოთ დასტოვეს ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის წინადადება ვენის მუშებისადმი თანაგრძნობის ნიშნად დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. ჩეხის და გერმანიის სოციალ-დემოკრატები ხუთშაბათს აწყობენ მიტინგს, რომელშიაც უნდა დაესწრონ აგრეთვე ვენის სოციალ-დემოკრატი ორატორები. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების ორგანო თეთრი ადგილებით გამოვიდა. ცენზურამ არ გაუშვა 13 შენიშვნა და წერილი, მათ შორის კომპარტიის ცეკას მოწოდებაც.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის დელეგატი ვენაში

ბერლინი, 17 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკამ გაგზავნა ვენაში თავის წარმომადგენლად ბოლენი (ადს).

კომპარტიის ცეკას ბინა დაკავებულია პოლიციის მიერ

ბერლინი, 17 ივლისი. მიღებულ ცნობების მიხედვით პოლიციამ დაიკავა ავსტრიის კომპარტიის ცეკას და ავსტრიის კომკავშირის ცეკას ბინა. ხმებით, რომ დაპატიმრებულია პარტიის გენერალური მდივანი კოპლენიკი (ადს)

საალყო წესები

პრაღა, 17 ივლისი. „ჩესკე სლოვო" იუწყება, რომ ზეიპელს განზრახული აქვს გამოაცხადოს საალყო წესები. (ადს).

დერულუფტის აეროპლანის ავარია

ბერლინი, 18 ივლისი. იმ ცნობიდან, რომელიც მისცა ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელმა ვოლფის სააგენტოს კორესპონდენტს, სჩანს, რომ მთავრობა ხვალის მდგომარეობას სავსებით მომზადებულად ყველა იმ დათმობების ხელის აღებისათვის, რომლებზედაც ის მზად იყო წასულიყო პირველ მომენტში. (ადს).

ამერიკის ტურისტები საბჭოთა კავშირში

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ამერიკელი ტურისტების ჯგუფი. ჯგუფი შესდგება 31 კაცისაგან. მოგზაურობას აწყობს ტურისტების საერთაშორისო საზოგადოება (ადს).

გერმანიის სამხედრო ატაშეები

პარიზი, 17 ივლისი. „ევრ"-ი იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩმა ბერლინში წარმოსთქვა სიტყვა ბერლინის ფრანგულ კოლონიის კრებაზე. მან აუწყა კრებას საფრანგეთის სამხედრო და საზღვაო ატაშე დანიშვნის შესახებ ბერლინის საელჩოში. გაზეთის აზრით, ეს განცხადება მოასწავებს იმას, რომ საფრანგეთი თანახმა არის დაუშვას გერმანიის სამხედრო და საზღვაო ატაშეს დანიშვნა პარიზში (ადს).

აჯანყებულთა მოძრაობა

კანტონი, 18 ივლისი. გუანდუნის პროვინციაში, შოგუნის რაიონში კვლავ გაძლიერდა აჯანყებულთა მოძრაობა. კანტონის სარდლობამ გაგზავნა ჯარები მდინარეების თავიდან ასალაგმავათ. ჯარებს შორის არიან საარტილერო ნაწილები (ადს).

გენერალ იანგუს თავდასხმები

შანხაი, 18 ივლისი. გენერალმა იანფუმ, რომელსაც დავალებული აქვს შანხაის თავდაცვა, მოახდინა მთელი რიგი თავდასხმებისა მუშათა ორგანიზაციებზე. მან დააპატიმრა 40-ზე კაცი; მათ შორის 8 დაპატიმრებულ იქნა უცხოეთი უბნის ტერიტორიაზე მუნიციპალური პოლიციის დახმარებით (ადს).

მონღოლეთის 1-ლი ბაზრობა

ულან-ბატორი, 17 ივლისი. გაიხსნა მონღოლეთის პირველი ბაზრობა. ბაზრობა გახსნა სახალხო მეურნეობის მინისტრმა დუადამბაშ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ბაზრობის დიდი მნიშვნელობა. ბაზრობაში მონაწილეობას იღებენ: მონღოლეთის ცენტრალური კოოპერატივი, მონღოლეთის ბანკი, ნავთსინდიკატი, საბჭოთა სავაჭრო ფლოტი, მთელი რიგი კოოპერატიული ორგანიზაციები, კერძო, საბჭოთა და

თავდაცვის კვირეული

თავდაცვის კვირეული, რომელმაც შეანძრია საბჭოთა კავშირის ათეული მილიონი მშრომელები, არის მჭერმეტყველი და ღირსეული პასუხი ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ხრიკებზე მუშების, გლეხების და საბჭოთა ინტელიგენციის განსაკუთრებული ერთსულოვნობა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და თავდაცვის საქმეში, ერთსულოვნობა, გამოჩენილი „თავდაცვის კვირეულში", მოწმობს, რომ მშრომელები მზად არიან თავგანწირულად იბრძოლონ თავის სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად.

ამ კვირეულში, რომელსაც შეიძლება უწოდოთ მასებს სულიერი მობილიზაციის კვირეული, ამავე დროს ხდებოდა იმ ინერციისა და სამშვიდობო ილიუზიების ლიკვიდაცია, რაც ჩვენ მიერ მოპოვებულ შესვენების შედეგი იყო. მშვიდობიანი შრომის წლების მანძილზე ჩვენ მრავალი ილიუზია დაგვიგროვდა. ყოველდღიურმა მუშაობამ ზოგში ისეთი განწყობილება შექმნა, რომ ომის საფრთხე უკანა რიგში მოაქცია. ბევრნი ფიქრობდა, რომ ეს საფრთხე თითქოს მოსალოდნელი აღარ არის, რომ ის რეალურ, კონკრეტულ რამეს აღარ წარმოადგენს და უკეთეს შემთხვევაში მას ხთვლიდენ ცოტად თუ ბევრად შორეულ ბუნდოვან მომავლის საქმედ. „თავდაცვის კვირეულში", როგორც შეგვიძლია დავასკვნათ ყოველდღიური ინფორმაციიდან კვირეულის მსვლელობის შესახებ, ჩვენ უკვე გადაჭრით მოუღეთ ბოლო ასეთ განწყობილებას. მშრომელები გაიმსჭვალენ დღევანდელი მომენტის სერიოზულობით. ჩვენ უკვე შევიგნეთ მომენტის სიმძაფრე და მომზადების აუცილებლობა მტრის შესახვედრათ.

როგორ ვემზადოთ თავდაცვისათვის ნამდვილად, არა სიტყვით, არამედ საქმით?

მშრომელების თვალი პირველ ყოვლისა უნდა მივაპყრათ ჩვენი შეიარაღებული ძალების მდგომარეობისაკენ. მზად არიან თუ არა ისინი ბრძოლისთვის? გაწვრთნილი არიან თუ არა ისე, როგორც საჭიროა? საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან თუ არა ისინი ბრძოლის საშუალებებით? მომზადებული და საიმედოა თუ არა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის უფროსი შემადგენლობა? საკმაო პოლიტიკური და მორალური მომზადება აქვს თუ არა წითელი შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას? მტკიცეა თუ არა ჯარების დისციპლინა?

აი კითხვები, რომლებიც წამოჭრილია დღეს ყოველი შეგნებული მუშისა და გლეხის წინ, და რომლებიც მომავალშიაც იქნება მათი საზრუნავი საგანი.

საკადრო შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ თავდაცვის დიდი რთული საქმის მთავარ ნაწილს და ძირითად უჯრედს. მაგრამ მხოლოდ ნაწილს და უჯრედს. ყველას უნდა ახსოვდეს, ყველამ უნდა შეიგნოს ეს. უამრავ მტრებისაგან თავდაცვას შესძლებს მხოლოდ მთელი სახელმწიფო მთლიანად და მხოლოდ მშრომელთა მრავალმილიონიანი მასა.

წითელი არმია და წითელი ფლოტი—როგორც საზღვაო, ისე საჰაერო, დაუღალავად მუშაობენ თავის სამხედრო მომზადებაზე. ჩვენი ბრძოლის რესურსები საერთოდ, ხოლო განსაკუთრებით ტეხნიკური მომზადება სრულ იმედს გვინერგავს, რომ ღირსეულად დაუხვდებით მტერს. ჩვენი უფროსი შემადგენლობა წარმოადგენს ჩვენი შეიარაღებული ძალების მაგარ, პოლიტიკურად მტკიცე და საკმაოდ მომზადებულ მუშტს. უფროსი შემადგენლობა—ყოველი არმიის ფუძეა. მისი მომზადებისა, სპეციალური გაწვრთნისა და მორალური სიმტკიცისაგან არის დამოკიდებული არმიის გამარჯვება ბრძოლის ველზე. ჩვენი უფროსი შემადგენლობის ის ნაწილი, რომელსაც აკლდა ან სრულიად არ ჰქონდა სპეციალური მომზადება, ჩვენ უკვე გავატარეთ სამხედრო აკადემიებში, მოსამზადებელ კურსებში, სამხედრო სკოლებში და სხ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი უფროსი შემადგენლობის ძირითადმა მასამ თავის პრაქტიკულ გამოცდილებას შეუქმნა მტკიცე თეორეტიული საფუძველი. კლასიური შემადგენლობის მხრივ ჩვენი უფროსი შემადგენლობა ნამდვილად მუშურ-გლეხურია. საერთოდ ჩვენ გვყავს რევოლიუციის ერთგული უფროსი შემადგენლობა, რომელიც მზად არის თავი შესწიროს არა მარტო სოციალიზმის საქმეს, არამედ გამარჯვებისკენ წაიყვანოს ჩვენი წითელი ათასეულები.

ჩვენი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური და მორალური მდგომარეობა უმაღლეს დონეზე დგას. მორალურად და პოლიტიკურად ჩვენი არმია ბევრად მაღლა დგას ბურჟუაზიულ არმიებზე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი დაუღალავი მუშაობის შედეგად ჩვენ გვყავს საიმედო, მომზადებული, საკმაოდ მომარაგებული და პოლიტიკურად მტკიცე საკადრო არმია.

მაგრამ წითელი არმია ამით ვერ დაკმაყოფილდება. ჩვენ კიდევ შორს ვართ იმისაგან, რაც გვინდა რომ გვქონდეს. ჩვენ დიდი მუშაობა შევასრულეთ, მაგრამ გასაკეთებელი შემდეგისათვისაც კიდევ ბევრი რჩება.

სამხედრო აპარატის სხვადასხვა ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულებაში ჯერ კიდევ არ არის ის გარკვეულობა, რომელიც ესაჭიროება ასეთ მგრძნობიარე მექანიზმს. წითელი არმიის ცხოვრების რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ—სამწყობრო ყოფა-ცხოვრება, შტაბის მუშაობა თუ გარეგნული წესრიგი, ყველგან საჭიროა მდგომარეობის საბოლოო სრულყოფა. აი რატომ უნდა იხმარონ ყოველი ღონე სამხედრო მუშაკებმა, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში გააკეთონ ის, რის გაკეთებაც ძალაუნებურად ასე გაჭიანურდა. დაწყებული ჩვენი საერთო კულტურული დონის ამაღლებიდან და გათავებული ჯარების შტაბებთ რთული მუშაობით, ყველაფერი ისე უნდა იყოს შეწყობილი და შედუღებული ერთმანეთთან, რომ ყოველ საჭირო მომენტში შესაძლებელი იყოს დაუბრკოლებლად ამოქმედება.

თავდაცვის კვირეულში ბევრს ლაპარაკობდენ ჩვენი ტეხნიკის რეალური გაძლიერების აუცილებლობაზე. ამ საკითხში პირველ ყოვლისა არ ვარგა ჩვენი მტრის ძალების ფანტასტიურად გაზვიადება და წითელი არმიის ძალების დაჩრდილვა ტეხნიკა სამრეწველო ბაზაზე იქმნება. ის განსაზღვრავს და მისგან არის დამოკიდებული. ჩვენი მრეწველობის ზრდა და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია საუკეთესო საწინდარია იმის, რომ ტეხნიკაში ჩვენ არ ჩამოუვარდებით ჩვენს შესაძლებელ მოწინააღმდეგეებს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც მთელი რიგი ნაბიჯები უნდა გადავდგათ იქითკენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გავაძლიეროთ ტეხნიკით ჩვენი არმია და მოვამარაგოთ ის მისთვის საჭირო მასალებით.

წითელი არმიის განმტკიცება, ტეხნიკის გაძლიერება და თავდაცვის მთელი მეურნეობის მომზადება, ყველა დანარჩენს გარდა, მოითხოვს აგრეთვე თანხებს. ჩვენი ხარჯები თავდაცვაზე მიმდინარე წელს არ აღემატებოდა მეფის 1914 წლის ხარჯებს 40 პროცენტს. ჩვენი სამხედრო ბიუჯეტის ზრდა მუდამ ჩამორჩებოდა საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის ზრდას. ეხლა ჩვენ იძულებული ვართ შევცვალოთ ეს შეფარდება და წინანდელზე მეტი საშუალებები მოვახმაროთ თავდაცვას. რასაკვირველია, აქ არ ვარგა ზედმეტი გადაჭარბება და დაჭიმვა, რაც დაარღვევს სახალხო მეურნეობის ნორმალურ განვითარებას და ზრდას. მაგრამ თავდაცვისათვის გადადებული თანხები უნდა შეეფარდებოდეს შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და თავისი ოდენობით რეალურად უნდა ამაღლოს ჩვენი ტეხნიკური ძლიერება.

თავდაცვის კვირეულში ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სოფლებში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგებზე ყოველ მშრომელს უნდა დაესვა კითხვა—რით შეუძლია მას პროლეტარულ სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება? არავის არ უნდა ავიწყდებოდეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

და მართლაც, თავდაცვისათვის რის გაკეთება შეუძლია მუშას? პირველ ყოვლისა, თავდაცვა მოითხოვს მრეწველობის განვითარებას. ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესება არის საუკეთესო საშუალება ჩვენი თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისათვის. საქარხნო მოწყობილობისადმი ფრთხილად მოპყრობა და ფაბრიკების, ქარხნების, საწყობების ფხიზელი დაცვა—აი პირველხარისხოვანი ამოცანა.

ომის გამოცხადების მომენტიდან ჩვენი წარმოებების უდიდესი ნაწილი გადაყვანილი იქნება სამხედრო ნიადაგზე, რათა ის ემსახუროს თავდაცვის საქმეს. მრავალ წარმოებაში დღესაც დარჩენილი მოწყობილობა, ცალკე საამქროები და კორპუსებიც კი, რომლებიც წინედ თავდაცვაზე მუშაობდენ. ამ საამქროების აღსადგენად და მოსაწესრიგებლად სახელმწიფოს არა ერთი და ორი მილიონი მანეთი დასჭირდება, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეების ნებაყოფლობითი ღონისძიებებით შეიძლება მთელი ამ მოწყობილობების მოყვანა სამხედრო მოთხოვნილებებისათვის საჭირო მდგომარეობაში ისე, რომ ამაზე სახელმწიფოს არ დაეხარჯება დიდი თანხები. საჭიროა მხოლოდ მუშების და მოსამსახურეების ენერგია და თაოსნობა ფაბრიკასა, ქარხანასა და სახელოსნოში.

თავდაცვის კვირეულში ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით თავდაცვა-ავიაქიმის მრეწველობის ხელის შემწყობი საზოგადოების გაძლიერების შესახებ. მაგრამ, საწუხაროდ, შინაარსიანი მოხსენებები, მხურვალე სიტყვები და მოწოდებები ჩვენში ყოველთვის როდი გვირგვინდება რეალური და კონკრეტიული ღონისძიებებით. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების უჯრედებს დღემდე არ გაუფართოებიათ საჭირო მუშაობა. ამავე დროს კი ლოზუნგს: „ყველა თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებაში" მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ გულმოდგინეთ იმუშავებენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ქვედა უჯრედები და თუ მათ სამოქმედო პროგრამას ცოცხალი შინაარსი მიეცემა. ამჟამად ეს უჯრედები აგროვებენ თანხებს (და უნდა აღინიშნოს, განსაკუთრებული წარმატებით) ჩვენი ავიაციისა, ქიმიისა და მთლიანად თავდაცვის გაძლიერების ფონდისთვის. მუშები, გლეხები და მოსამსახურეები იღებენ საკმაოდ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ქვედა უჯრედებიდან იგზავნება თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების ცენტრალურ ორგანოებში. ეს, რასაკვირველია, სასიხარულო მოვლენაა. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ ანარიცხის ნაწილი რჩებოდეს ქვედა უჯრედში. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ყოველ ცალკე უჯრედს უნდა ჰქონდეს თავის ფონდი სროლისთვის, გაზების საწინააღმდეგო საშუალებები და სახელმძღვანელოები სროლის, ქიმიის და სანიტარულ საქმის შესასწავლად.

უნდა გამრავლდეს ტირებისა და სასროლო მოედნების რიცხვი, მოეწყოს სასპორტო მოედნები და შეძენილ იქნას სასპორტო მოწყობილობა, იარაღი და დამხმარე საგნები. ყველა ამისთვის თანხაა საჭირო და მისი გამოძებნა. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ქვედა უჯრედებში სიცოცხლე უნდა სდუღდეს და [illegible] მხოლოდ ქვედა [illegible] უზრუნველყოფს თავდაცვის რეალურ განმტკიცებას. ამ მხრივ „თავდაცვის კვირეულმა" უნდა გაავლოს ახალი ზოლი ჩვენი ნებაყოფლობითი საზოგადოების ისტორიაში.

„თავდაცვის კვირეულში" მშრომელებმა შეიგნეს, რომ დღევანდელ მომენტში მათ თავისი ყურადღების მაქსიმუმი უნდა მიაქციონ სამხედრო საქმეს. ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა და ყოველმა მოსამსახურემ უნდა შეისწავლოს მიზანში კარგი სროლა. ვარჯიშობა სროლაში ფართედ უნდა გავრცელდეს მთელს საბჭოთა ქვეყანაში. მშრომელთა კავშირი წითელ არმიასთან მჭიდრო უნდა იყოს. უნდა მივესალმოთ და ხელი შევუწყოთ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის გამოსვლას მინდვრად უქმე დღეებში ტაქტიკური მეცადინეობისთვის. უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ჩვენი სამხრეთ ქალაქების კომკავშირელთა, პროფკავშირელთა და სპორტიულ რაზმების ლაშქრობისა და მანევრების გამოცდილება. ამავე დროს ჩვენი საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების ტაქტიკურ მეცადინეობისა და მანევრების დროს მშრომელთა ფართე მასები უნდა ჩავაბათ სამხედრო მომზადების საქმეში.

თადარიგის უფროსმა შემადგენლობამ არ უნდა დაუცადოს, სანამ ჩვენ გავიწვევდეთ მათ გადამზადებისათვის. თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ორგანიზაციებში მათ თავისი ნებით უნდა შეისწავლონ ჩვენი სამხედრო წესდება, ჩვენი სამხედრო ლიტერატურა და შეიძინონ უკანასკნელი ცოდნა თანამედროვე ომის წარმოების დარგში.

„თავდაცვის კვირეულმა" მრავალი ამოცანა წამოაყენა. ჩვენ დავინახეთ მშრომელების არაჩვეულებრივი ინტერესი სამხედრო საქმისადმი, კერძოთ სასროლო საქმისადმი. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის ვერ შევსძელით წრეების, უჯრედების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და იარაღის,, განსაკუთრებით წვრილ ყალიბიანი იარაღის შეძენა.

ეხლა ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები იმისთვის, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების უჯრედები მოვამარაგოთ არა ძირითადი სახის იარაღით. გარდა ამისა ჩვენ გადაჭრით წავწიეთ წინ ჩვენს ქარხნებში წვრილ კალიბრიანი იარაღის დამზადების საქმე. საჭიროა, რომ ყველა შევაჩვიოთ იარაღის გაფრთხილებას. ბრძოლის გასაჭირში მხოლოდ ის გაუფრთხილდება იარაღს და სასროლო მასალას, რომელსაც ჯერ კიდევ მშვიდობიანობის ხანაში შესწავლილი ექნება მათი დაზოგვა.

„თავდაცვის კვირეული" ჩვენში გადაიქცა უდიდეს პოლიტიკურ კამპანიად. მილიონ მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ერთად მშვიდობიანობისკენ მოისწრაფვიან, განაცხადეს, რომ საჭირო შემთხვევაში ისინი ღირსეულ პასუხს გასცემენ მტერს. მუშათა კლასმა უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე, იგრძნო თავი საბჭოთა ქვეყნის ბატონპატრონად. მან გადასწყვიტა პატრონის თვალით ყურადღებით ადევნოს თვალყური ყველაფერს, ყველაფერი შეამოწმოს და მზის სინათლეზე გამოახტუნოს აქა-იქ დარჩენილი მოჩურჩულე მტრები და სახელმწიფოს მისცეს საშუალება, რომ ის დამშვიდებით შეხვდეს გარედან მოწოლილ საფრთხეს.

განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა გადასწყვიტა აგრეთვე ღარიბმა და საშუალო გლეხურმა მასამ. ჩვენ გვაქვს ცნობები თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების უჯრედების არაჩვეულებრივი ზრდის შესახებ სოფლად. ამასთან ერთად თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებაში გაერთიანებულმა სოფლის აქტივმა გადაჭრით დაიწყო ბრძოლა კულაკების ცდის წინააღმდეგ—დათესონ პანიკა და გაავრცელონ ცრუ ხმები ომის გარშემო.

შემდეგში საჭიროა ენერგიული ბრძოლა ბურჟუაზიის აგენტების იმ ცდასთან, რომელიც მიმართულია არევ-დარევისა და უსაფუძვლო შიშის დანერგვისაკენ სოფლად.

„თავდაცვის კვირეულმა" წამოაყენა მრავალმილიონიანი მასები და მოუწოდა მათ სიფხიზლისაკენ გარედან მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. ამ დღეებში ყოველ მუშას, ყოველ გლეხს და ყოველ მოსამსახურეს საშუალება ჰქონდა მოეფიქრა, თუ რაში გამოიხატება მისი მოვალეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

მაგრამ ყველა უნდა დაუფიქრდეს ამ კითხვას არა იმიტომ, რომ დამშვიდდეს და ყველაფერი მისცეს მივიწყებას შვიდი დღის გასვლის შემდეგ, არამედ იმიტომ, რომ თავის ყოველდღიურ მუშაობაში გადაუხრელად შეასრულოს ეს მოვალეობები. მაშინ წითელი არმია, მილიონ მშრომელთა მასების აქტივობით ზურგ გამაგრებული, შესძლებს საბჭოთა კავშირის დაცვას კაპიტალისტურ მსოფლიოს ეხლანდელ შუბლმაგარ პატრონების თავდასხმისაგან, როდის და საიდანაც არ უნდა მოხდეს ის.

ვოროშილოვი.

„პრავდა".

მოსკოვი, 17 ივლისი.

ჩინეთის რევოლიუციის გარდატეხის პერიოდი

რევოლიუცია ჩინეთში შედის თავისი განვითარების ახალ სტადიაში და ამჟამად იმყოფება სწრაფი გარდატეხის პროცესში.

ამას სრული სიცხადით ადასტურებენ ფაქტები.

გენერლების შეთანხმება, დაწყებული ჩან-კაი-შიდან და გათავებული ტან-ჩენ ჩუით, ნიშნავს, რომ ბურჟუაზიის **ყველა** გადამწყვეტმა შეიარაღებულმა ძალებმა თავი მოიყარეს ნანკინელ ჯალათის ირგვლივ.

ჩან-კაი-შის, ფინ-იუ-სიანისა და ენ სი-შანის კოალიცია ფაქტიურად ამ ბანაკის კონსოლიდაციას მოასწავებს. მიუხედავად შინაგანი კონფლიქტებისა და უთანხმოებისა, ლი-ტი-სინის **კანტონის** არმიები ამ კოალიციასთან **ერთად** და მასთან **ბლოკში** გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

ამ კოალიციის **კლასიური საფუძველი** და **კლასიური მიზანი** საუცხოვოდაა გამოხატული ფინის დეკლარაციაში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ უხანის ტერიტორიაზე.

„ვაჭრებს, სამრეწველო საწარმოთა მესაკუთრეებს და მიწათმფლობელებს სჩაგრავენ **მუშები და გლეხები**. ჩინეთის ხალხს (!! ნ. ბ.) არ უნდა ასეთი დესპოტიზმი, იქამდე იჩაგრება ფრონტზე მყოფ ჯარის კაცების ოჯახებიც, მათ საკუთრებას კონფისკაციას უშვებიან, და მთელი რიგი ბოროტმოქმედება ხდება ნაციონალისტური პარტიის სახელით... ზოგიერთმა **წითლებმა** გზა გაიკაფეს პარტიისაკენ, რომ ხელთ იგდონ გომინდანის მოძრაობა"..

ასე ასაბუთებს **ფინი** თავის ულტიმატუმს უხანის მთავრობისადმი.

უხანის პოზიცია—სრული კაპიტულიაციის პოზიცია. ფაქტიურად ადგილი აქვს ნანკინთან შეთანხმებას. ამ ფაქტს არაფერს არ ჰმატებს ზოგიერთების „მერყეობა" (ვან-ტინ-ვეი, ჩან-ფა-კუი) და ზოგიერთების გაქცევა (დანინ-და). ერთი მხრით ფაქტია დაშლის მოვლენები, მეორე მხრით—გარკვეული **კურსი ნანკინისაკენ**. აქ საქმე არა მარტო მდგომარეობის სირთულეშია, არა მარტო იმაში, რომ უხანის მთავრობის საფეთქელთან მიბჯენილია ყოველი მხრიდგან გენერლების რევოლვერების ლულა. სოციალ-კლასიურ რევოლიუციონური პოზიციის სიმტკიცის დროს ყოველთვის მოიძებნება როგორც პირადი, ისე ჯგუფური გამბედაობა. აქ საქმე **უმთავრესად** იმაშია, რომ ბურჟუაზიული რადიკალები და მორადიკალო ინტელიგენტები დაშინებულია აგრარული და მუშათა მოძრაობის განვითარებით, რომლის შესახებაც საკითხი **პირდაპირ** სდგას და ამჟამად შეუძლებელია „გაძრომ-გამოძრომისა და მანევრების" პოლიტიკა; ან უნდა **გაუძღვე** აგრარულ რევოლიუციას, ანდა **ტყვიები დაუშინო** გლეხებს. სწორედ ამ პრობლემის უმაღლესი სიმწვავე ისვრის უხანს, ფინსა და კომპანიასთან ერთად, **კონტრ-რევოლიუციის** ბანაკში. უხანის რევოლიუციონური როლი დასრულებულია.

პოლიტიკურად ეს გამოიხატება **კომუნისტების გომინდანიდან გამორიცხვის** ენერგიულ მზადებაში, და ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ გომინდანის ცეკა მიიღებს გენერალ ფინის ულტიმატიურ მოთხოვნას და შეასრულებს მას არა მარტო „შიშის", არამედ „სინიდისის" ქვეშაც.

ერთდაიმავე დროს დაიწყო სისტემატიური გალაშქრება მუშების, გლეხებისა და კომუნისტების წინააღმდეგ **შეიარაღებული ბრძოლისა და რეპრესიების** ხაზით.

ტან-ჩენ-ჩუიმ, რომელიც გაემგზავრა ჩანშაში ოფიცრების კონტრრევოლიუციონური გადატრიალების შესახებ საქმის „გამოსაძიებლად", სავსებით მოიწონა გლეხების დახვრეტა. დამნაშავედ აღმოჩნდენ გლეხები, რომლებმაც ჩაიდინეს „შეცდომები". ტან-ჩენ-ჩუიმ სიკვდილით დასაჯა ოთხი კომუნისტი და გააჩაღა ტერორი ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მისმა რაზმებმა დაიწყეს პროფკავშირების გარეკვა. განაიარაღეს მუშათა გვარდია. ჩვენ მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობა ამბობს, რომ მე-35 კორპუსის სარდალმა გამოსცა ბრძანება მისი კორპუსიდან კომუნისტების განდევნის შესახებ; დარჩენის მსურველებმა საქვეყნოდ უნდა განაცხადონ, რომ ისინი გადიან პარტიიდან; ვინც ბრძანებებს არ დამორჩილდება—დაიხვრიტება.

ასეთია ფაქტები.

ეს ფაქტები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ, რომ უხანი აფეთქებულია, რომ უხანის რევოლიუციონური როლი დასრულებულია, რომ უხანმა, როგორც რევოლიუციონურმა ძალამ, როგორც „რევოლიუციის მამოძრავებელმა ცენტრმა",—თავისი თავი **უარყო**, რომ მას ამ მხრივ ჯვარი უნდა დაესვას, თუმცაღა შესაძლებლობიდან სრულიადაც არაა გამორიცხული ზოგიერთი ფსევდო-რევოლიუციონური „ჟესტები" მისი მხრით. რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტიისათვის ასეთ პირობებში სავალდებულოა დასკვნა: **არც ერთი წუთი აღარ შეიძლება დარჩენა კიდევ უხანის „მთავრობაში"**. ამიტომ ათასჯერ მართალი იყო კომინტერნის აღმასკომი, რომელმაც თავის დროზე გასცა დირექტივა უხანის მთავრობიდან კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლის შესახებ.

ეს გამოსვლა უნდა იყოს დემონსტრატიული და მას თან უნდა მოჰყვეს პარტიის პოლიტიკური დეკლარაცია, დეკლარაცია რომელიც განმარტავს რა კომპარტიის მიზანს მთავრობაში შესვლის დროს, გაჰკიცხავს უხანის ეხლანდელი პოლიტიკას, მის ბრძოლას აგრარულ რევოლიუციის წინააღმდეგ, მის ბრძოლას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, მის ბლოკს ნანკინთან, მის ლაჩრულ დუმილს სიკვდილით დასჯისა და დახვრეტების გამო, მის დაცინვას ხალხის მასებზე.

ამ დეკლარაციაში კომპარტიამ უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულებაც **გომინდანთან**.

რა დასკვნები უნდა გამოიტანონ ჩინეთის კომუნისტებმა ეხლანდელი ამბებიდან გომინდანის მიმართ? იწვევს თუ არა **ნაციონალური მთავრობიდან** გამოსვლა **გომინდანიდან** გამოსვლასაც?

ჩვენი აზრით, არ იწვევს. გომინდანის ბელადების გამცემლურ მოქმედებას ისევე ნაკლებად შეუძლია გვაიძულოს ჩვენ გავიდეთ მთელი ფრონტით გომინდანის ორგანიზაციებიდან, როგორც ინგლისის „მუშათა პარტიის" გამცემლური მოქმედება სრულიადაც არ ხსნის დღის წესრიგიდან ამ მასიური ორგანიზაციაში შესვლისათვის კომუნისტების ბრძოლის საკითხს. ამავე დროს ჩინეთში საქმე სხვანაირადაა, ვიდრე ინგლისში,—გომინდანის ქვედა ფენებში, ადგილობრივ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ამ ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობას მუშები და გლეხები შეადგენენ, კომუნისტებს არამც თუ მხოლოდ გავლენა აქვთ, არამედ ხშირად **ხელმძღვანელი** გავლენაც. დაბოლოს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოებაც, რომ კომპარტიას ამჟამად მოუხდება **არალეგალურ მდგომარეობაში** გადასვლა. თუ მას სურს იყოს ნამდვილი რევოლიუციონური პარტია; თუ ის მოუწოდებს მასებს მტერთან გადამჭრელი ბრძოლისაკენ, რომელმაც ეხლა **მთელი ჩინეთის** მასშტაბით შემოიდროვა თავისი ფრონტი, მაშინ კომპარტია **ვალდებულია** მოაწყოს თავისი არალეგალური აპარატი. მაგრამ **ასეთ** პირობებში განსაკუთრებული შეცდომა და განსაკუთრებული სისულელე იქნებოდა გომინდანის მთელ ორგანიზაციასთან ყველა ფრონტზე კავშირის გაწყვეტა.

ამ ორგანიზაციებით არის ნაკარნახევი კომუნისტების ტაქტიკა გომინდანის მიმართ ჩინეთის რევოლიუციის მიმდინარე ეტაპში. კომუნისტებმა ბელადების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის უნდა მიმართონ გომინდანის მასებს. მათ უნდა **გააძლიერონ** თავისი მუშაობა გომინდანის **ქვედა ფენებში**; გაატარონ თავისი პლატფორმა და „ბელადების" სასტიკი გაკიცხვა; მათ უნდა წამოაყენონ მასების ყველაზე უფრო პოპულიარული მოთხოვნანი და მათ ირგვლივ დარაზმონ გომინდანის ქვედა ფენები; ამ საფუძველზე უნდა მოამზადონ მათ **გომინდანის ყრილობა**. იმ შემთხვევაშიაც, თუ გომინდანის ცეკა გამოიტანს რეზოლიუციას კომუნისტების გამორიცხვის შესახებ (რაც თითქმის **უეჭველად** მოხდება), მაშინაც კი საჭიროა **ბრძოლა** საკუთარი პოზიციებისათვის გომინდანში ისე, როგორც ამას კომუნისტები შვებოდენ „მუშათა პარტიაში" და როგორც ამას შვებიან ინგლისის ტრედ-უნიონებში.

ნაციონალურ მთავრობაში დარჩენა კი ერთი წუთითაც არ შეიძლება, ვინაიდან ეს იქნებოდა პასუხისმგებლობის გაზიარება ყველა მისი კონტრრევოლიუციონურ ნაბიჯებისათვის.

მაგრამ გომინდანის შიგნით დარჩენა სრულიადაც არ ნიშნავს პასუხისმგებლობის ზიდვას მისი ხელმძღვანელობისათვის: იქ საჭიროა დარჩენა **სწორედ** იმიტომ, რომ „მოხსნა პოსტებიდან" ეს ხელმძღვანელობა.

რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელია, **ჩინეთის კომპარტია** ატარებდეს სწორ პოლიტიკას. ამავე დროს კი, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები ამ უკანასკნელ დროს დაჟინებით უცხადებდენ **საბოტაჟს** კომინტერნის გადაწყვეტილებებს. თუ ჩინეთის კომპარტიის ადგილობრივი მუშაკები მიუძღოდენ მასებს ბრძოლაში და ხშირად გმირულადაც იღუპებოდენ თავის პოსტზე,—პარტიის პოლიტბიურო კი აშკარად არღვევდა კომინტერნის დირექტივებს. მართალია „ზოგიერთი ბრძენი ტროცკისტი ამის შესახებ ამბობს, რომ ყველაფერი ეს „სისულელეა", ვინაიდან „ხაზის სისწორე იმაში მდგომარეობს, რომ ის თავისთავ ქმნის აღმასრულებლებს"-ო. მაგრამ ეს ზეადმინისტრატიული ზემეტაფიზიკა, რომელიც აბსოლიუტური ადმინისტრატულ გონების განხორციელებაა, თვითონ ყვირის თავის საკუთარ სისულელეზე. ვინაიდან „სწორი ხაზი" აღმასრულებლებს ქმნის მხოლოდ **საბოლოო ანგარიშით**. სხვანაირად **არასოდეს** არ იქნებოდა წინააღმდეგობა გარედან მოცემულ სწორ ხაზსა და ხელმძღვანელობის უძლურებას შორის ამა თუ იმ ქვეყანაში. მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც იმის წარმოდგენაც კი არ ძალუძს, რო სინამდვილეში საერთოდ შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა მას არ უსმენენ,—შეუძლია ასეთი რამის თქმა.

ფაქტები ასეთია: კომინტერნი სისტემატიურად იძლეოდა დირექტივებს ჩინეთის კომპარტიის დამოუკიდებლობისა, აგრარულ რევოლიუციის გაშლის აუცილებლობისა, მუშებისა და გლეხების შეიარაღებისა, კონტრრევოლიუციონერებთან გასწორებისა და გომინდანის დემოკრატიზაციის შესახებ.

კომინტერნი დღითი-დღე აქეზებდა ჩინეთის კომპარტიას ხელი შეეწყო რევოლიუციის შემდგომი განვითარებისათვის; დღითი-დღე მეტად მკაცრ ფორმაში აღნიშნავდა ის ჩინეთის კომპარტიის არასაკმაო გამბედაობას და მისი ლოზუნგების შეკვეცილობას.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ გომინდანი აუცილებლად გადაიქცეოდა კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების უბადრუკ სათამაშოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა აღებული გადამჭრელი ხაზი აგრარული რევოლიუციის განვითარების და ხალხის ქვედა ფენებიდან შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაზე.

დირექტივებში კომინტერნი სისტემატურად მიუთითებდა **გენერლების** ღალატის აუცილებლობაზე, **კონტრ-რევოლიუციონურ ოფიცრობის განადგურების აუცილებლობა**ზე გლეხების მიერ, რევოლიუციონურ ტრიბუნალების მოწყობის აუცილებლობაზე რეაქციონურ ოფიცრების გასასამართლებლად და სხვა.

არა ერთხელ აღუნიშნავს რა **აგრარული რევოლიუციის** შეფერხება, როგორც **დანაშაულებრივი** პოლიტიკა, კომინტერნი მოუწოდებდა, რომ **გლეხები დაუყოვნებლივ შესდგომოდენ მიწის ფაქტიურად ხელში ჩაგდებას.**

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა კომინტერნი **სამხედრო** ერთეულების შედგენას რევოლიუციონურ **მუშებისაგან**. დირექტივებში პირდაპირ იყო მიცემული წინადადება შეექმნათ მუშებისაგან რამდენიმე საგანგებო კორპუსი და იქ გაეწვიათ კომუნისტების დიდი რაოდენობა.

ჩინეთის კომპარტიისა და მისი ცალკე წარმომადგენლების ხელმძღვანელობის ხაზს მეტად მკაცრი კრიტიკა ეწეოდა, კომინტერნი აფრთხილებდა, რომ ის არ მოერიდება ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის კურსის აშკარა კრიტიკას პრესაში, თუ ეს კურსი არ შეიცვლება მუშურ-გლეხური რევოლიუციის ფართოდ განვითარების მიმართულებით.

ყოველივე ეს შეიძლება **დოკუმენტალურად** დამტკიცდეს ყოველ წუთში დირექტივების განხილვით; ყოველივე ეს ფაქტებია, რომელთა უარყოფა შეიძლება ნაკარნახევი იყოს ყველაფრით, რითაც გნებავთ, მხოლოდ არა სურვილით მოახდინოთ საქმის მდგომარეობის ობიექტიური შეფასება.

როცა, ყოველივე ამის შემდეგ, უსინდისო პოლიტიკოსები ოპოზიციიდან სწერენ, რომ „ბუხარინის დირექტივები არ სრულდებოდა **იმ მიზეზის გამო**, რომ ისინი **არაფრად არ ვარგოდა**, ხოლო რამდენადაც სრულდებოდა, ისინი ემსახურებოდა არა იმ კლასს, რომლისთვისაც დანიშნული იყოო",—ამ შემთხვევაში ეს უსინდისო პოლიტიკოსები პირდაპირ **ამართლებენ** კომინტერნის რევოლიუციონურ გადაწყვეტილებათა საბოტაჟს. საჭიროა დაკარგო ელემენტარული რიგიანობის უკანასკნელი ნაშთი, საჭიროა იქცე ბრმებისა და ბოროტ **ცილისმწამებლების** ფრაქციათ, რომ იკადრო ასეთი რამის წერა და გავრცელება.

ჩინეთის კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობამ უსათუოდ ვერ გაუძლო „ცეცხლით გამოცდას". აშკარად უნდა ითქვას, რომ ის **გაკოტრდა**. ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიურო ყოველთვის აფერხებდა აგრარული რევოლიუციის გაშლას, **უპირისპირებდა** რა რევოლიუციის შინაგან პრობლემებს სამხედრო ლაშქრობას პეკინზე და სხ. რევოლიუციის მისი ფორმულა დაახლოვებით შემდეგს ამბობდა: „გადაიტანე ყურადღება გარეშე მთლიან ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაზე", თითქოს შეიძლებოდეს კლასიური წინააღმდეგობათა „შელოცვა", „მოჯადოვება", თითქო შეიძლებოდეს კლასიური ბრძოლის მთელი ისტორიული პროცესის უკან დაბრუნება, თითქოს კომუნისტის მიზანს შეადგენდეს არა პროლეტარიატის გეგემონიისათვის ბრძოლა თუნდაც ნაციონალურ რევოლიუციაში, არამედ ბრძოლა ამ ბრძოლის **წინააღმდეგ**!

ჩენ-დუ-სიუს პოზიცია ფორმულით: „**პირველად** — პეკინი, **შემდეგ** კი... შემდეგ ვნახოთ; პოზიცია ტან-პინ-სიანისა, რომელიც „ლიბერალურ ფრაზებს ლაყბობდა", მისივე პოზიცია მთავრობიდან „შვებულებაში" წასვლის დროს „ჯანმრთელობის აღსადგენად", ეს საცოდავი და მშიშარა უაზრო დეკლარაცია; ჩინეთის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროში კომინტერნის გადაწყვეტილებათა (26 ივნისი) **წინააღმდეგ** ხმის მიცემა და ამ გადაწყვეტილებათა უარყოფა, როგორც „არაპრაქტიკულის", დაბოლოს არა თუ **წინააღმდეგობის გაწევა** უხანის რეაქციისათვის, არამედ მისი ფაქტიური **დახმარება** (ნებაყოფლობით იარაღის გადაცემა პოლიტბიუროს დადგენილების თანახმად) —ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთის კომპარტიის **ხელმძღვანელობაში** ადგილი აქვს **სოციალდემოკრატიულ** ელემენტებსაც.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ პარტიის ყველაზე უფრო ოპორტუნისტული ბელადები, ჩენ-დუ-სიუს მსგავსნი, მომხრე არიან **გომინდანიდან გასვლის** (უსმინეთ! უსმინეთ). ეს მათ უფრო გაუადვილებდა **მასებიდან** დაშორებას და კომბინატორულ პოლიტიკანობას გარედან.

კომკავშირის ცეკა ამ კრიტიკულ დღეებში, პირიქით, სავსებით შეუერთდა კომინტერნის „არაპრაქტიკულ" გადაწყვეტილებებს და თავის რეზოლიუციაში გადაჭრით გმობდა ჩინეთის კომპარტიის ცეკას მერყეობას; მან სწორი პოზიცია დაიკავა როგორც მიწის კონფისკაციისა და მუშებისა და გლეხების შეიარაღების საკითხში, ისე გომინდანის დემოკრატიზაციის საკითხშიც.

აქედან აუცილებელია დასკვნა, რომელიც კიდევაც გამოიტანა კომინტერნმა: **პარტიის კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა, ცეკას ხელახალი არჩევა, ხელმძღვანელობის სასტიკი კრიტიკა კომინტერნის აღმასკომის დირექტივების შესრულება, დაუნდოებელი ბრძოლა, პარტიიდან გარიცხვამდე, იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ პარტია უნდა იქნეს გომინდანის ბურჟუაზიული ბელადების მაჩანჩალა.**

ყველა და ყოველგვარ პირობებში კომპარტია უნდა იყოს მოძრაობის სულის ჩამდგმელი. თუ მის თავში ასეთი არევ-დარევაა გამეფებული, მაშინ საპატიო მიზეზად, რა თქმა უნდა, შეიძლება ჩაითვალოს პარტიის ახალგაზრდობა და სხვ. მაგრამ საზღვარი აქვს „საპატიო მიზეზებსაც". კომკავშირი არ არის ჩინეთის კომპარტიაზე ხნიერი. მაგრამ მიუხედავათ ამისა მან აიღო სწორი ხაზი. სწორედ იმიტომ, რომ პარტია არის მოძრაობის მთავარი ღერძი, არ შეიძლება მიღებული არ-იქნეს **ყველა** ზომები, რათა ცეკას მოქმედებიდან გამოტანილი იქნეს სათანადო გაკვეთილი. ამიტომ კომინტერნის აღმასკომი მიმართავს პარტიის ყველა წევრებს და მოითხოვს კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევას, მიუხედავად იმისა, როგორადაც ძნელი არ უნდა იყოს მისი მოწვევა და ჩატარება ეხლანდელ პირობებში.

ჩინეთის რევოლიუციის ახალი ეტაპი პროლეტარიატის პარტიის წინაშე აყენებს უდიდესი სირთულისა და უდიდესი სიძნელის ამოცანებს.

ახლა მეტად მკვეთრად გამოისახა კლასიური ბრძოლის ფრონტები: **ფეოდალური** დერჟიმორდები მარშალისა და „დიქტატორის" ჩან-ძო-ლინის მეთაურობით;

ლიბერალურ-ბურჟუაზიული ბლოკი „პროგრესიული" გენერლებისა, ჩან-კაი-შის წინამძღოლობით;

უხანის **რადიკალურ-ბურჟუაზიული** და წვრილ-ბურჟუაზიული ჯგუფი, რომელიც ბურჟუაზიისაკენ ილტვის და ჯერ-ჯერობით ჰაერშია ჩამოკიდებული;

მებრძოლი მუშები, გლეხები და ქალაქის ღარიბი მცხოვრებნი.

თუ „რუსეთის" ანალოგიებს მივმართავთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშე არიან: 1) მონარქისტები, 2) კადეტები, 3) ესერები, 4) ბოლშევიკური ბანაკი. მაგრამ თუ თავისი **კლასიური** მნიშვნელობით ჩინეთის დაჯგუფებანი **შეეფერება** „რუსეთისას", — ეს ისტორიული ანალოგიები მაინც ძირითად **შემცდარია**, ვინაიდან იმავე კლასთა **შეფარდება** ჩინეთში **სხვანაირია** როგორც შინაგან, ისე **გარეგნულ** მიზეზებითაც.

იმპერიალიზმთან ბრძოლა. ბურჟუაზიის მხრით ჯერ კიდევ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ „მებრძოლები" ხვრეტენ მუშებსა და გლეხებს. თუმცა ჯერ-ჯერობით არა სავსებით, მაგრამ **თითქმის** შეუერთდა ლიბერალურ ბურჟუაზიას რადიკალური ესეროვშჩინა. ამავე დროს **მუშების** წინააღმდეგ ბრძოლაში, **გლეხების** წინააღმდეგ ბრძოლაში სამი საზოგადოებრივი დაჯგუფება მოქმედობს **პარალელურად** და თანდათანობით უახლოვდებიან ერთმანეთს **საერთო** პოლიტიკურ „მეთოდოლოგიის" საფუძველზე **კომუნისტების მიმართ**. კომუნისტებს უშენენ **ყოველი მხრიდან**. მაინცა და მაინც სასიამოვნო არ არის ასეთ პირობებში იმ ძმური პარტიის ხელმძღვანელობის მკაცრად გაკრიტიკება, რომელსაც მტერი განადგურებით ემუქრება. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი მებრძოლი — კომუნისტები იღუპებიან და შესაძლოა პარტიის მთელი მოწინავე რაზმი განადგურდეს თუ კიდევ გაგრძელდა გომინდანის ზედა ფენებისადმი ნდობის პოლიტიკა, როცა ამ ნდობას **უკვე** გამოეცალა ნიადაგი. ყოველნაირი თვალსაზრისით საჭიროა სრული გარკვეულობა.

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ხელისუფლების სათავეში მოქცეული **ცენტრალური ძალა**, სახელდობრ **ბურჟუაზია**, რომელიც **ჯერ კიდევ** ანტი-იმპერიალისტურია, მაგრამ ჩინეთის ხალხის მიმართ **უკვე** კონტრ-რევოლიუციონური, — განმანადგურებელ **ცეცხლს** დაუშენს პროლეტარიატის პარტიას.

პროლეტარიატმა ამას უნდა უპასუხოს მასების შემჭიდროვებით **მუშებისა, გლეხებისა და ქალაქის ღარიბი მცხოვრებთა დიქტატურის** ლოზუნგით ყველა აქედან გამომდინარე სხვა ლოზუნგებით.

ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც ნაკლებად იყო განხილული, წარმოადგენს საკითხი რევოლიუციის **ეკონომიურ პროგრამის** შესახებ **ქალაქებში**. ამავე დროს, თუ საქმეს დაუკვირდებით, დავინახავთ, რომ უხანის რადიკალურ მთავრობას თავის საუკეთესო ხანებშიაც კი, არ ქონია რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი **ეკონომიური** დასაყრდენი. სანამ ის ითმენდა მუშათა მოძრაობას და კომპარტიასთან ბლოკში იყო, მუშებისა და გლეხების მასები წინ მიდიოდენ. მსხვილი ბურჟუაზია გაიქცა. ფაბრიკები და ქარხნები დაიხურა, აგრეთვე — ბანკებიც. საბოტაჟი კაპიტალისტების მხრით ყვაოდა. „მბრძანებელი მაღლობები" დაცარიელებულიყო. უხანის რადიკალებს ვერ გაებედათ მათი **გაკავება**. ამავე დროს ამ „მაღლობებისაგან" არა მცირედაა დამოკიდებული საერთოდ მთელი ეკონომიკა. შეიქმნა, მაშასადამე, ასეთი „პარადოქსალური" მდგომარეობა: უხანს ქონდა „სამხედრო კომუნიზმის" მთელი რიგი დიდი მინუსები, მას არ უფიქრია არავითარ კომუნიზმზე და არ ქონია არც ერთი მისი **პლიუსი**. სხვა სიტყვებით: პოზიციის წინააღმდეგობამ მას თითქმის სრულიად გამოაცალა ფეხქვეშ ეკონომიური ნიადაგი.

იგივე პრობლემა წამოიჭრება **მუშებისა და გლეხების დიქტატურის** წინაშეც. მე-7 გაფართოებულ პლენუმზე საკითხი იმ მხრივ გადაწყდა, რომ მომხდარიყო ამ ბრძანებელი მაღლობების ნაციონალიზაცია იმ შემთხვევაში, თუ მათი მფლობელები საბოტაჟს გამოუცხადებდენ წარმოებას. ასეთი გადაწყვეტილება ერთად-ერთი სწორი გადაწყვეტილებაა. ეს თავისი მხრით, შესაძლებლობას იძლევა მეტად მტკიცე პოზიციისათვის **მუშათა საკითხში**. მეორე მხრით, პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა გაცილებით უფრო მეტ ეკონომიურ შესაძლებლობებს მიიღებს. მოისპობა ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი ქონდა უხანის მთავრობის რეჟიმის დროს.

ხალხის ქვედაფენების ბლოკი, მუშებისა და გლეხების ბლოკი უწინარეს ყოვლისა—ასეთია კომპარტიის მორიგი პაროლი.

არსებობს თუ არა რევოლიუციის შემდგომი განვითარების **პერსპექტივა**? არის თუ არა ამ ბლოკის განხორციელების პერსპექტივა? რით აიხსნება ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგის არმიები ნაკლებად იშლება, რომ ისინი საკმაოდ მტკიცედ დგანან ფრონტებზე?

აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ **ყველა** ეს არმიები, უკლებლივ დაქირავებული არმიებია, რომლებიც შესდგებიან მეტწილად საწარმოო პროცესიდან გარიყულ პროფესიონალ-ჯარისკაცებისაგან. ჯარის კაცის ხელობა, მათთვის სწორედ **ხელობად** ქცეულია. ისინი ღებულობენ **ჯამაგირს**, რომლის წყარო— პირველ რიგში გლეხები — მათთვის საკმაოდ ნათელია. იმათ ხშირად არა აქვთ მჭიდრო კავშირი არც ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებთან და არც სოფელთან. ისინი ემსახურებიან იმათ, ვინც ფულს აძლევს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს გაგებული გამარტივებული და აბსოლიუტური აზრით. მაგრამ ამ დებულებათა პირობითად გაგებისა და მიღების შემთხვევაშიც, მაინც აუცილებელია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ აქ ადგილი აქვს დიდ სიძნელეებს რევოლიუციისათვის.

ამასთანავე არ უნდა იქნეს დავიწყებული **მთავარი**: ქალაქისა და სოფლის ქვედა ფენების მოძრაობის გიგანტური გაქანება. მიუხედავად მძვინვარე ტერორისა შანხაიში, ყველა ცნობები ადასტურებენ, რომ მუშები გატეხილი არ არიან და გასაოცარი შეუდრეკლობით და გმირობით ემზადებიან ახალ ბრძოლებისათვის. კანტონში მიმართავენ ზეგავლენის ყველა „მეთოდებს", დაწყებული ფულით მოსყიდვით და გათავებული სიკვდილით დასჯითა და წამებით. — და მიუხედავად ამისა მუშათა კლასის მნიშვნელოვან ორგანიზაციებში **მაინც** არიან კომუნისტები. სოფლად იჭერენ და ახრჩობენ გლეხურ კავშირების ბელადებს. მიუხედავად ამისა მოძრაობა **მაინც** არ წელდება. ბურჟუაზიული პრესა შიშით იუწყება ამ მოძრაობის შესახებ. მაგალითად, ლონდონის „ტაიმს"-ი ასეთ ცნობებს აწვდის თავის მკითხველებს მდგომარეობის შესახებ ფინის ტერიტორიაზე.

„წითელ რაზმელების" მოძრაობა... საშიშ ხასიათს ღებულობს. შეიარაღებულთა რიცხვი ერთ მეოთხედ მილიონ კაცს უდრის... კავშირი („წითელი რაზმელების" ნ. ბ.) მძლავრად იზრდება და სავსეა კომუნისტ-აგიტატორებით, რომლებიც აძლიერებენ ორგანიზაციას, ეწევიან კომუნიზმის პროპაგანდას და თავიდანვე მოხერხებულად (!!) მოფიქრებული თავდაცვის ორგანიზაციას აქცევენ კომუნისტურ მოძრაობად, რომელიც შლის კერძო საკუთრებას და წინააღმდეგობას უწევს ყოველნაირ ხელისუფლებას. „წითელი რაზმელები, თუ მათ საკმაო სისასტიკით არ მოეპყრენ, მალე ნაციონალურ საფრთხედ გადაიქცევიან".

რა თქმა უნდა, პატივცემული „ტაიმს"-ი შეგნებულად აფრთხობს **თავის ჩინელ კონტრაგენტებს**, რომ დააჩქაროს რევოლიუციის სისხლში ჩახრჩობის საქმე. რა თქმა უნდა, „ტაიმს"-ი **აზვიადებს** „საფრთხეს" და განგებ ლაპარაკობს სისულელეს „საკუთრების კომუნისტურ (!!) დანგრევაზე". მაგრამ გლეხობა რომ **უკვე** დამარცხებული იყოს, მაშინ „დარბაისელი" მტრები სხვანაირად ილაპარაკებდენ და **სხვა** ინფორმაციას მოგვაწვდიდენ.

ასეთია საქმის **სუბიექტიურ-კლასიური** მხარე.

როგორიღაა მისი **ობიექტიური** მხარე? ობიექტიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ძნელად თუ შესძლებს, საზოგადოებრივი კრიზისის დაძლევას **თავისებურად**. ეგრედწოდებული „რევოლიუციის ობიექტიური ამოცანები" იმაში მდგომარეობს, რომ არსებობდეს ბაზარი ჩინეთის მრეწველობისათვის, მაგრამ ის არ არის გლეხობის გაღატაკების გამო. მისი შექმნა შეიძლება, ერთი მხრით მიწის ხელახალი განაწილება და მეორეს მხრით, იმპერიალიზმის **პარაზიტული** ზეგავლენის გეგმაშეწონილი მოსპობით. მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობის მექანიკა ისეთია, რომ პირველი ამოცანა—აგრარული რევოლიუციის ამოცანა — არ შეიძლება გადაიჭრეს ბურჟუაზიის მიერ, ვერ გადაჭრის ის ვერც **მეორე** ამოცანას, ვინაიდან იმპერიალიზმთან ბოლომდე ბრძოლა, როცა საკუთარ ქვეყანაში ებრძვი მუშებსა და გლეხებს, აგრეთვე არ შეიძლება. აი, რატომ არის მოცემული ობიექტიური ბაზა რევოლიუციის შემდგომი განვითარებისათვის, მიუხედავად იმ მძიმე განსაცდელისა და მარცხისა, რომელიც მას ხვდა წილად ამჟამად.

ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მუშების და გლეხების გამარჯვება წინასწარ უზრუნველყოფილია.

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არსებობს დიდი შანსები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის მეორე—პლებეურ ხაზის გამარჯვებისათვის.

საკითხს სინამდვილეში გადასწყვეტს ბრძოლა, და **მხოლოდ** ბრძოლა. ამ მიზნისათვის, მუშებისა და გლეხების გამარჯვების მიზნისათვის უნდა იმუშაოს ამჟამად ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ.

ნ. ბუხარინი.

(დასასრული იქნება)

თავდაცვის კვირეული დასრულდა

მზადება თავდაცვისათვის უნდა გაგრძელდეს შეუსუსტებელი ენერგიით

თავდაცვის კვირეულის შედეგები

დამთავრდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული. იგი, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ჩატარდა ბრწყინვალედ.

კვირეულის ჩატარებაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა მშრომელთა ფართე მასებმა. მუშები და გლეხები ერთხმად გამოეხმაურენ საბჭოთა კავშირის მთავრობის და კომპარტიის მოწოდებას და თავისი საქმიანობით დაამტკიცეს, რომ მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან მშრომელთა სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა.

თავდაცვის კვირეულის შედეგები დიდია: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ერთსულოვნება, რომელიც გამოიჩინა სოფელმა და ქალაქმა კვირეულის ჩატარებაში. ყველასათვის ნათელი გახდა ის გარემოება, რომ მუშები და გლეხები საჭირო დროს იბრძოლებენ წითელ არმიასთან ერთად საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ყოველმა მშრომელმა, ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ, რომლისთვისაც ძვირფასია მშრომელთა ხელისუფლება, შეიგნო, რომ ომის საფრთხე სერიოზულია და ამიტომ საჭიროა სამხედრო საქმის შესწავლა, მზადება თავდაცვისათვის, რომ მტერს დაუხვდეთ მომზადებულნი და გავსცეთ სათანადო პასუხი.

კვირეულის განმავლობაში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების რიგები გაიზარდა შესამჩნევად. საზოგადოებამ შეიძინა მრავალი წევრი, იმ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სოფლებში და სამხედრო ნაწილებში, სადაც არ არსებობდნენ კვირეულამდის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედები, კვირეულის დროს ჩამოყალიბდნენ ასეთები. მუშა-მოსამსახურენი და გლეხები ხალისით ეწერებოდენ საზოგადოების წევრებათ და აარსებდნენ მის უჯრედებს.

გაძლიერდნენ და გამრავლდნენ სამხედრო, სასროლო, ქიმიური, სანიტარული და სხვა ხასიათის წრეები და ორგანიზაციები. კვირეულის განმავლობაში ფართოდ იქნა წარმოებული მოსახლეობაში სამხედრო პროპაგანდა და მან გამოილო სათანადო ნაყოფი.

კვირეულის საშუალებით მოსახლეობა ახლო გაეცნო მომავალი ომის სურათს და მის წარმოებას. ქიმიური ომის ინსცენიროვკების მოწყობით ყველამ ნათლად დაინახა, თუ როგორი იქნება მომავალი ომი და რა საშუალებებით შეიძლება ამ ომის მიერ გამოწვეულ უბედურების თავიდან აცილება.

კვირეულმა დაგვანახვა, რომ მშრომელთა მზადება თავდაცვისათვის დღევანდლამდის მიმდინარეობდა სწორი გზით. სანიტარულმა, ავიაქიმიურმა და წითელი მოწყალების დების რაზმებმა გამოიჩინეს საქმის ცოდნა და დაგვანახვეს, რომ ომის დროს ისინი პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

კვირეულის საშუალებით გაძლიერდა თვითმფრინავთა ასაგები ფონდი. მშრომელ მასებმა გაიღეს მნიშვნელოვანი თანხები, რომლებითაც აიგება ახალი თვითმფრინავები, საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალთა გასაძლიერებლად.

კვირეულის შემდეგ იწყება ყოველდღიური მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის დარგში. ჩვენი ვალია, რომ ეს მუშაობა იყვეს ინტენსიური და წარმოებული იყოს ისეთი ტემპით როგორც იყო კვირეულის დროს.

მუშაობა თავდაცვის დარგში არ უნდა შენელდეს, არამედ დღითი დღე იგი უნდა ძლიერდებოდეს.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. არ არის ამოწურული ყველა საშუალებები თავდაცვის დარგში. ეტადრე დიდი მუშაობის წარმოებაა საჭირო სოფლად, სადაც გლეხობის არა მთელი 100 პროც. ჩაბმულია საქმიანობაში.

შექმნა ძლიერი სამხედრო პროპაგანდის წრეების და ავიაქიმიური და პირველი დახმარების რაზმების, გაძლიერებულ პროპაგანდის წარმოებით გლეხობაში, თვითმფრინავების აგება, სამხედრო კუთხეების მუშაობის გაჯანსაღება—აი აქეთკენ უნდა ქნეს მიმართული მუშაობა თავდაცვის დარგში კვირეულის შემდეგ.

ი. ხუციშვილი.

როგორ ჩატარდა კვირეული

ადგილებზე

თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში უკვე დაიწყო ცნობების მიღება.

ჯერ-ჯერობით ცნობები მიღებულია თელავიდან და საგარეჯოდან.

თელავში კვირეული ძალიან გაცხოველებით ჩატარდა. 10 და 11 ივლისს მიმდინარეობდა შეჯიბრი სროლაში 12 და 13 ივლისს დაწესებულებებში და საზოგადოების უჯრედებში ჩატარებულ იქნა ლექციები.

მთელი კვირის განმავლობაში, თავდაცვა-ავიაქიმის სასარგებლოდ მუშაობდა კინო. გამოსცეს გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელშიაც სწარმოებდა გამოძახება შემოწირულებათა შეკრების მიზნით. შემოწირულებები იკრიბებოდა ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის ფონდის სასარგებლოდ.

საგარეჯოშიც დიდის წარმატებით ჩატარდა კვირეულის კამპანია. 17 ივლისს გაიმართა სალამო-სეირნობა და წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა თავდაცვა-ავიაქიმისათვის. ადგილობრივმა ინტელიგენციამ და გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სალამოს მოწყობაში. სწარმოებს შემოწირულებების შეგროვება.

დაარსდა თავდაცვა-ავიაქიმის ახალი უჯრედი.

235 მანეთი

მედსანშრომის მუშაკთა კლუბმა მთელი კვირის განმავლობაში 10 პროცენტიან თავდაცვა ავიაქიმის სასარგებლოდ შეგროვა 235 მან., რომელიც გადასცა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმს.

ახალი უჯრედები

ხელოვნების მუშაკთა კავშირთან, განათლების კომისარიატთან და „სტელის კავშირ"-თან დაარსდა თავდაცვა-ავიაქიმის ახალი წრეები.

ერთი პროცენტი

ხელოვნების მუშაკთა კავშირის თანამშრომლებმა დაადგინეს ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის ფონდის სასარგებლოდ გადასდონ 1 პროცენტი თვიური ხელფასიდან.

„ქიმიური ომი" თბილისში

„მტრის" მოლოდინში

დილიდანვე ქალაქში დაიწყო მზადება „ომისათვის".

არტილერია იკავებს სიმაღლეებს ქალაქის მახლობლად: არსენალის მთაზე, საბურთალოში და კოჯორის გზაზე. მრისხანედ გამოიყურებიან ზარბაზნები, არტილერისტები მზად არიან ყოველ წამს აალაპარაკონ ისინი. მეთაურნი დურბინდებით ზვერავენ სივრცეს,—ხომ არ მოჩანს რამე მხრიდან „მტრის" ჰაეროპლანი.

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მაღალი სახლების სახურავები დაკავებული აქვთ ტყვიამფრქვევთა რაზმებს. იქვე მოწყვნენ ხაკავშიროელები, რომლებიც სხვადასხვა აპარატებით ზვერავენ სივრცეს და სარკებით ელაპარაკებიან არტილერისტებს.

მილიცია, როგორც ქვეითა, ისე ცხენოსანი იცავს წესრიგს ქუჩაში. მათ მიერ დაკავებულია ქუჩების ყველა მოსახვევები რომ საჭირო დროს ჰქონდეთ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა.

მილიცია, მთლიანად შეიარაღებულია ნიღბებით; შეიძლება „მტერმა" გაუშვას მოწამლული გაზები და საჭირო გახდეს ნიღბის მოხმარება.

გამოჩნდენ ავია-ქიმისა და სანიტარული რაზმები, უპირველეს ყოვლისა გამონახულ და მოწყობილ იქნა თავშესაფრები გაზებისაგან სულ რუსთაველის პროსპექტზე ოთხი თავშესაფარია: სასტუმრო ორიანტთან, მუშათა სასახლესთან, დრამასთან და ოპერასთან. თავშესაფრებთან ფუსფუსებენ წითელი მოწყალების დები და სანიტრები. მათ თან აქვთ სხვადასხვა მედიკამენტები, შესახვევი მასალა, საკაცეები.

ავია-ქიმის რაზმელები შეიარაღებულ არიან ჰიდროპულტებით, რომელთა საშუალებით შეიძლება გაზებით მოწამლულ მიდამოს გასუფთავება - გაჯანსაღება.

„მტერი" გამოჩნდა

დილის 10 საათსა და 40 წუთზე გაისმა ქარხნების საყვირის ხმა. ალბათ „მტერი" უახლოვდება თბილისს.

ამავე დროს ამოძრავდნენ სიგნალისტები, გაცხოველებით ელაპარაკებიან ერთმანეთს, აძლევენ ნიშნებს.

გაისმა ზარბაზნის ხმა არსენალის მხრიდან. ალაპარაკდენ ანაზდეულათ ყველა ზარბაზნები, ტყვიამფრქვევებმა დაიწყეს კკანი.

„მტრის" ჰაეროპლანები გამოჩნდნენ ქალაქის თავზე და მთავარ ქუჩებში ჩამოყარეს „მოწამლული" გაზებით, ქლოროთი და იპრიტიტით, გატენილი „ყუმბარები".

რუსთაველის პროსპექტი გაეხვია ბოლში.

სანიტარული და ავია-ქიმიური რაზმები შეუდგნენ მუშაობას, მათ იფარავს „მტრის" ტყვიებისაგან ორი ჯავშნოსანი ავტომობილი.

რაზმელები ჩნდებიან იქ, სადაც მტერი აგდებს ყუმბარებს და ჰიდრო - პულტებით სწმენდენ ჰაერს.

სანიტრების მუშაობა პირდაპირ გასაკვირელია: არავითარი შეცდომა, არავითარი დაბნეულობა, გაზებისაგან „დაზარალებულნი" ელვის სისწრაფით მოჰყავთ თავშესაფარში, სადაც უჩენენ სასწრაფო დახმარებას.

ხანძარი

„მტრის" ყუმბარებმა გააჩინეს ხანძარი მუშათა სასახლის სახურავზე.

ცეცხლის მქრობელი რაზმი მზად არის ცეცხლთან საბრძოლველად. რაზმელები აღჭურვილნი არიან ნიღბებით და ისე ასრულებენ თავიანთ მძიმე სამუშაოს. აღიმართა ავტომატიური კიბე, დახცხა წყლის ძლიერმა შადრევანმა და რამოდენიმე წუთის განმავლობაში ხანძარი ჩაქრობილ იქნა.

ჯარი მოდის

ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები განაგრძობენ ბრძოლას „მტრის" ჰაეროპლანებთან, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა მხრიდან ყუმბარების ჩამოყრას, რამოდენიმე გასროლა და ჰაეროპლანები იხევენ უკან.

ერთი ტყვიამფრქვევი მაინც არ ანებებს მათ თავს და უკან ადევნებს ცხელ ტყვიებს.

აგერ, გამოჩნდნენ მტრედები გუნდგუნდათ, ეს ნიშანია იმის, რომ ქალაქის თავზე აღარ არის არც ერთი „მტრის" ჰაეროპლანი.

ამავე დროს ორი მხრიდან რუსთაველის პროსპექტს უახლოვდებიან წითელი ცხენოსანთა ლეგიონები მუსიკით.

„მტრის" იერიში მოგერიებულია, ქალაქი გაწმენდილია „მტრებისაგან".

მხოლოდ აქა-იქ, ქუჩებში, ბოლავს ყუმბარა, დაჭრიან სანიტარული ავტომობილები და აზნევენ მოწოდებებს „შეისწავლეთ თავდაცვის საშუალებები", „ჩაეწერეთ ავია-ქიმიურ რაზმებში", „გააძლიერეთ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების რიგები".

მიტინგი

ინსცენიროვკის დამთავრების შემდეგ სანიტარული, ავია-ქიმიური და ტყვიამფრქვევთა რაზმები, მეხანძრენი და ჯარის ნაწილები იყრიან თავს ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში.

გარეშე საზოგადოებაც უერთდება მას. იხსნება მიტინგი.

სიტყვებს ამბობენ ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავია-ქიმის საზოგადოების მდივანი ამხ. ეგიკოვი და სანიტარიულ რაზმების ხელმძღვანელი ამხ. დურიხანოვი.

მათ აღნიშნეს, რომ ომის ინსცენიროვკამ ნათელ ჰყო ის გარემოება, რომ სანიტარულ და ავია-ქიმიურ რაზმებს, რომლებშიაც მუშაობენ მშრომელი ახალგაზრდები, შეუძლიათ თავისუფლად და დამოუკიდებლად მოქმედება ბრძოლის დროს. რაზმელებს კარგათ შეუთვისებიათ ცოდნა და, თუ საჭირო იქნება, აღმოუჩენენ მოსახლეობას დიდ დახმარებას.

შემდეგ, მათ მოუწოდეს მოსახლეობას გააძლიერონ თავდაცვა - ავიაქიმის რიგები, შეისწავლონ ქიმია, თავდაცვის საქმე, რომ ომის დროს შეეძლოთ თავის დაცვა მტრის გაზებისაგან.

აღლუმი

მიტინგის შემდეგ მოხდა სანიტარული და ავიაქიმიური რაზმების საზეიმო გავლა რუსთაველის პროსპექტით.

წინ მოუძღოდა სამხედრო ორკესტრი.

წითელი მოწყალების დები, რუხ ხალათებში გამოწყობილნი, მიდიოდნენ მტკიცე ნაბიჯით, როგორც კარგათ გაწვრთნილნი წითელარმიელნი.

იპოდრომზე

დღის პირველ საათზე, იპოდრომზე, დიდუბეში, მოეწყო პლანერების შეჯიბრი.

მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო და სამხედრო საპლანერო წრეებმა და კერძო პირებმაც.

შეჯიბრში იყო ბევრი კარგი კონსტრუქციის პლანერი, რომელებმაც დაჰყვეს ჰაერში დიდი ხანი.

ეტყობა, რომ საპლანერო წრეები კარგად მუშაობენ და წევრებიც იჩენენ სიყვარულს საქმისადმი და ცოდნას.

საღამოთი

სამოქალაქო და სამხედრო კლუბებში მოეწყო სამხედრო პროპაგანდის საღამოები.

გაკეთდა მოხსენებები თავდაცვის კვირეულზე და მომავალ ომებზე, დაიდგა სპეციალური ინსცენიროვკები, მოეწყო შეჯიბრი სროლაში.

საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბში მოწყობილ იქნა გამოფენა, სადაც იყო წარმოდგენილი ჯარის ყველა სახის ნაწილები. გამოფენაზე ნაჩვენებ იქნა არტილერისტების მიერ ზარბაზნების მოქმედება, რისთვისაც მოხდა რამოდენიმე ყუმბარის გასროლა.

ჯარის ნაწილებმა სამოქალაქო დაწესებულებებთან ერთად მოაწყვეს სამხედრო პროპაგანდის საღამოები.

ი. რ.

სროლის შეჯიბრის შედეგები

თავდაცვის კვირეულის გამო 10-დან 17 ივლისამდე ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში ჩატარდა შეჯიბრი სროლაში.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 280-მდე კაცმა, აქედან 30 ქალი იყო. გარდა ერთეულ მსროლელებისა შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 30 ჯგუფმა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებიდან.

შეჯიბრის შედეგები ასეთია; ქალებიდან: ძელტინა მილტა—მოარტყა მიზანში—46-ჯერ, ოთხი დააცილა. კოტლაროვმა, მილოვმა, ზილემ, არაქელოვმა და ვიკენტიევმა მოარტყეს 40. ზოგმა მეტი.

მამა-კაცებიდან: ლომოვმა გაარტყა—43, ბერომ ჯერ 41 და შემდეგ—46, პოპოვმა—ჯერ 41 და შემდეგ—44. დანარჩენებიდან მოარტყეს 35 და მეტი;

საუკეთესო მსროლელებს ჯილდოებს დაურიგებენ ახლო მომავალში.

სამხედრო პროპაგანდის საღამოები

კვირას, თავდაცვის კვირეულის გამო, მუშათა ცენტრალურ და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბებში ჩატარდა სამხედრო პროპაგანდის საღამო.

ცენტრალურ მუშათა კლუბში იდგა საველე ზარბაზანი და ჰაეროპლანი.

ზარბაზანთან და ჰაეროპლანთან მიჩენილი იყვნენ სპეციალური პირები, რომლებიც უხსნიდენ ხალხს ზარბაზნების და ჰაეროპლანების კონსტრუქციებს. აცნობდენ მათ მუშაობას და უკანასკნელ მიღწევებს ამ დარგებში.

სიტყვიერი განმარტების შემდეგ, № ქართული ბატარიის წითელარმიელებმა ორჯერ გასროლით უჩვენეს ხალხს ზარბაზნის მუშაობა.

კლუბთან არსებულ მსროლელთა წრემ ისროლა მაზანა თოფებიდან.

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კლუბში სამხედრო პროპაგანდის საღამოს პროგრამა უფრო ფართო იყო. იქ გარდა სასროლ იარაღებისა უჩვენებდენ გაზებს, სიგნალიზაციას, კავშირის, სამხედრო ძაღლების, მტრედების და სხვა მუშაობას. ყოველივე ამას წინ უძღოდა ლექციები.

გაცხოველებულად მუშაობდენ სასროლო ტირები. იყო მოწყობილი ადგილობრივი ავიალოტარია.

ორთავე კლუბში საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

შაბათს ასეთივე ხასიათის საღამო ჩატარდა ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

ბარიტის ქარხანა ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდან)

ცნობილია დასავლეთ საქართველოს სიმდიდრე ბარიტის მადნეულით. მოიპოვება ეს მადანი ქანებათ, იფქვევა და ამ სახით დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე.

ბარიტს კერძო მწარმოებელნი ამუშავებდენ, მაგრამ ამას ჰქონდა ფრიად განსაზღვრული ხასიათი; თანაც, დაფქვილი ბარიტი მდარე ხარისხის იყო, რადგანაც იგი არ იწმინდებოდა ნარევი უვარგისი ნივთიერებისაგან ერთგვარი სიმჟავით; აგრეთვე, ტექნიკურად მოუწყობელი წისქვილი იძლეოდა ბარიტის მსხვილ დაფქვილს.

ორი უკანასკნელი მოვლენა დიდათ აბრკოლებდა ჩვენი ბარიტისათვის ფართო ბაზრის მოპოვებას.

საკავშირო უმაღლესმა სამეურნეო საბჭომ თავის ხუთწლიან გეგმაში შეიტანა ქუთაისში ბარიტის დასამუშავებელ ქარხანა-წისქვილის აგება და ბიუჯეტში ივარაუდა კიდევაც სათანადო თანხა საქმის განსახორციელებლად.

ქარხნის ასაგებად სამზადისი ერთი წელია რაც დაიწყო. არჩეულია და სათანადოთ დაიგეგმება საჭირო ადგილი ქალაქ გარეთ, ე. წ. კანიანოურში. წინასწარი სამუშაოები ჩატარდა წელს—მაისში და ამჟამად უკვე გაცხოველებულად მიმდინარეობს.

ქარხნის აგების საქმეს ხელმძღვანელობს ინჟ. ვაჩაძე, ტექნიკური ნაწილის გამგე—ლენინგრადიდან ჩამოსული ინჟ. ამხ. გუსმანი.

ლენინგრადიდან არიან გამოწვეული, აგრეთვე, სპეციალისტ-ინსტრუქტორები, რომლებიც შაბათს უკვე ქუთაისში იქნებიან. ქარხნისათვის საჭირო მანქანები შეკვეთილია გერმანიაში (ქ. ფრანკფურტში). შენობათა აგება უნდა დამთავრდეს ა. წ. ოქტომბრისათვის, შემდეგ დაიდგმება მანქანები.

1928 წლის 1 მაისს კი ქარხანა უკვე უნდა ამუშავდეს. განზრახულია რკინის გზის ლიანდაგის გაყვანა. წყლის მისაწოდებლად მდ. რიონზე დადგმულია ელექტრო-მოტორი ქარხნის კედლები და კარ-ფანჯრის ჩარჩოები ნაგები იქნება დუღაბის ქვა-ფილაქანისაგან. ასეთი იქვე მზადდება,—გაცილებით უფრო გამძლეა და ჩვეულებრივ აგურთან შედარებით იაფადაც ჯდება.

ქარხნის აგებისათვის დაიხარჯება სულ ოთხასი ათასი მანეთი.

როგორც ნათელი გახდა ინჟენერთა ახსნა-განმარტებიდან, მეტად საინტერესო იქნება ქარხნის სამანქანო ნაწილი. დაიდგმება სულ ექვსი გვარი დანიშნულების მანქანა. პირველი მანქანა ხორომად დაფქვავს ბარიტს; აქედან მადანი გადაეცემა სარეცხ მანქანას, სადაც გაივლის საწმენდ მანქანაში (ერთგვარი სიმჟავით ბარიტი გაიწმინდება მიწისა თუ სხვა ნარევისაგან). აქედან ბარიტი გაივლის მანქანაში, რომელიც პირდაპირ წმინდა პუროსფქვილად აქცევს მადანს; მერმე ეს უკანასკნელი მოექცევა საშრობ მანქანაში, აქედან ჩაეშვება მომზადებულ ტომრებში დაიბეჭდება და გაიზიდება საწყობში, იქიდან კი ბაზარზე პირდაპირ რკინის გზის ლიანდაგით.

მუშა-ხელი საჭირო იქნება, უმთავრესად, (მანქანების მეთვალყურეთა გარდა) პირველად მანქანისათვის ბარიტის მისაწოდებლად და, ბოლოს, გამზადებული ტომრების საწყობში გადასატანად. დანარჩენი ყველა სამუშაო სავსებით მექანიკურად იწარმოებს.

მიტინგი ქუთ. ბარიტის ქარხნის საძირკვლის ჩაყრის დღეს

ქარხანამ წლიურად, მუშაობის ერთი ცვლის პირობებში, უნდა დაამუშაოს 400 ათასი ფუთი ბარიტი, რაც, იგულისხმება, ჩვენი რესპუბლიკის წარმოებაში უდიდეს მიღწევათ, მით უმეტეს, რომ ტექნიკურად სავსებით მოწყობილი ქარხანა გამოუშვებს ბაზარზე საუკეთესო ხარისხის ბარიტს.

აი, ასეთი დიდმნიშვნელოვანი სამუშაოების დაწყება იდღესასწაულა ქუთაისის მშრომელმა მასამ ამ დღეებში. საზეიმო მიტინგი დანიშნული იყო თვით სამუშაოების ადგილას, რომლის მდებარეობა — მოდუდუნე რიონსა და მწვანედ აქოჩრილ ტყიან მიდამოებს შორის წარმტაც სურათად იშლებოდა მნახველის თვალწინ. სადღესასწაულო განწყობილებას ძლიერ უწყობდა ხელს კარგი ამინდი. დასავლეთისკენ დაქანებული მზე ოქროს ნაკადით ფარავდა ქარხნის სვეტებს, მარგალიტის მძივებათ ელვარებდა წვიმით დანამულ (დილით წვიმა იყო) ბალახ-ბუჩქნარს და სიხარულის შადრევანათ იფრქვევოდა მშრომელთა არსებაში, რომელთა მასებით უკვე ოთხი საათიდან აჭრელდა ქარხნის შენობის ახლო მიდამო.

დანიშნულ დროს გაისმა „ინტერნაციონალი". რამდენიმე წამი დაიჭირა ქარხნის საძირკვლის ჩაყრამ, რაც ქუთ. პარტკომის პ.-მ. ამხ. ამ. ურუშაძემ და აღმას. თავმჯდომარემ ამხ. ერ. ლვამიჩავამ შეასრულეს. სრულ 6 საათზე კი გაიხსნა საზეიმო მიტინგი. ილაპარაკეს: მუშების, რკინის გზის პროფკავშირის, ინტელიგენციისა და სხვათა წარმომადგენლებმა.

ყველას სიტყვაში აღნიშნული იყო ქუთ. მუშათა და გლეხთა მორიგი გამარჯვება, [illegible] სიტყვა—აღფრთოვანებული სალამი იყო ახალი წამოწყების გამო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, რის სიმაგრე და ფართოდ გაშლა საუკეთესო პასუხია გამყიდველი ემიგრაციისა და საზოგადოთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრის წინააღმდეგ.

დასასრულ სიტყვა აიღო ამხ. ურუშაძემ. მან შეაჯამა ყველას ნათქვამი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწყებული საქმე არის დიადი მოვლენა ქუთაისის და მთელი რესპუბლიკის მშრომელთათვის; ეს საქმე უნდა შესრულდეს და შესრულდება კიდეც საკავშირის მთავრობის ძმური დახმარებით, ქართველი მუშებისა და გლეხების კუნთმაგარი მარჯვენით. ამათი მუშაობა პატიოსან, მშრომელ ინტელიგენციასთან ერთად არის თავდები კიდევ ბევრი ახალი წამოწყებისა აღმშენებლობის ფრონტზე, რომელიც სწორი ხაზით მიემართება სოციალიზმისაკენ. დასასრულ უსურვა გამარჯვება დიდ საქმეს და მხურვალედ მიესალმა ქარხნის მუშებს ხელმძღვანელთ.

ამხ. ურუშაძის უკანასკნელი სიტყვები ერთსულოვანი მქუხარე ტაშით დაიფარა.

ბოლოს წაკითხულ იქნა საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მისასალმებელი დეპეშა, რის დასრულებისას დამსწრე საზოგადოებამ ოვაციები გაუმართა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ინჟენრებს.

საღამოს 8 ნახევარ საათზე მიტინგი დაიშალა.

ოასწრე

ქუთაისის ბარიტის ქარხნის სამუშაოების ხელმძღვანელნი (მარცხნიდან მარჯვნით): ინჟენერი ვაჩაძე, ინჟ. გუსმანი და შენგელიძე

პარტიული ცხოვრება

სამტრედიის ოპოზიციონერთა განცხადება

ბრძოლაში გამობრძმედილი ჩვენი კომუნისტური პარტიის ბელადი ამხ. ლენინი გვასწავლიდა; „დიდი დანაშაული არის, რომ შეცდომას არ აღიარებ და არც შეეცდები მის გამოსწორებას და ჯიუტად განაგრძობ დაცვას ისეთი თვალსაზრისისას, რომელიც ცხოვრებისაგან უარყოფილი და უკუგდებულია, რაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა მიეწეროს უაზრო თავმოყვარეობას".

ბოლშევიკურ პარტიაში თავმოყვარეობაზე აგებული მუშაობა უნდა ჩაითვალოს მოღალატურ, გამცემლურ მუშაობით, მით უმეტეს დღევანდელ მომენტში, ვინაიდან, როგორც ეს ჩვენ გვეშის, კომუნისტ - ლენინურ პარტიას, ისტორიამ არგუნა მსოფლიო მუშათა კლასის მესაჭეობა და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ხელმძღვანელობა. სწორედ ამ დროს პარტიის თვითეული წევრის ჯიუტობა და ურჩობა ბანაკში დარჩენა მართლაც მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის და მენშევიზმის წისქვილზე წყლის დაშვებას წარმოადგენს. პარტიაში 1921 წ. 1922 წ. უთანხმოება უკლონისტების სახით. ა.-კ. ფედერაციის საკითხის შესახებ ძალიან დამაინტერესებლად და გაზვიადებულად იყო წამოყენებული უკლონისტების მიერ. აშკარა შეცდომა იყო აგრეთვე დაშვებული უკლონისტების მხრივ პარტდემოკრატიზმის საკითხში.

ჩვენს პარტიაში მუდამ ყურადღება ექცეოდა მუშათა დემოკრატიზმს და მის პრინციპებს და დღესაც ექცევა. უკლონისტების ბრალდება პარტიის უმრავლესობის მიმართ დემოკრატიზმში იყო დემაგოგია და მეტი არაფერი. დღეს ჩვენთვის აშკარაა რომ დღევანდელი ოპოზიცია ერთიანი ფრონტით თავისი მახინჯი დამღუპველი პოლიტიკით თავს ესხმის ლენინურ-ბოლშევიკურ პარტიას. ეს იმ დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს გამხეცებული ბურჟუაზია ყოველგვარ ინტრიგებს უწყობს და თავდასხმას აწყობს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ცდილობს დაარღვიოს მშვიდობიანი მუშაობა და ახალ საშინელ ომში ჩააბას მსოფლიო მუშათა კლასი, და უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა რესპ. კავშირის პროლეტარიატი.

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით დარჩენილი კონტრრევოლიუციონური ნაძირალები გაფაციცებით ემზადებიან ხელსაყრელ მომენტში მახვილი ჩასცეს საზღვარ-გარეთელ მტერთან ერთად ჩვენ მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს, ამ დროს პარტიის შიგნით გაბუტვა აშკარა მენშევიზმის ჭუმპეში შეცურვაა. ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ოპოზიციის მეთაურთა განცხადების შემდეგ პარტ-ურილობაზე, კონფერენციებსა და ცკას პლენუმებზე ისინი თავს დაანებებდენ არალეგალურ ფრაქციულ მუშაობას და ხელიხელ ჩაკიდებული ლენინის პარტიასთან ერთად განაგრძობდენ კოლექტიურ მუშაობას და თავის განცხადებას შეასრულებდენ მტკიცედ, მაგრამ ეს არ შესრულდა, რაც მტკიცდება ტროცკის და ზინოვიევის კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებულ პლენუმზე მ. ოკუჯავას, საქ. ც. კ. და ცენტრ. საკ. კომ: დაერთიანებულ პლენუმზე და სხვა. მთელ რიგ გამოსვლებით და უკრაინის უკლონისტების კიდევ უარის აღარ ახსნილ მოქმედებით.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ოპოზიციას არავითარი გამორკვეულობა არ აქვს, ის ყოვლად უნიადაგო და უხერხემლოა. მიუხედავად ოპოზიციის დეზორგანიზატორული გამოსვლებისა, ჩვენი პარტია მაინც მთლიანი და ერთსულოვნად აკეთებს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს. ეს უკანასკნელი დამტკიცდა მთელ რიგ ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით სამტრედიის რაიონული პარტკრების ერთსულოვანი ოპოზიციის გმის დაგმობით და ამ უკანასკნელის ალაგმვის და სასჯელის დადების მოთხოვნით.

ჩვენ გულწრფელად ვაცხადებთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ სასტიკათ ვგმობთ ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობას, ვინაიდან დღევანდელ მომენტში უპასუხისმგებლო თამაში ყოვლად შეუძლებელია, მტკიცეთ ვსდგევართ, რა ლენინიზმის საფუძველზე და ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე.

გთხოვთ — ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს — ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის სასტიკათ იქნენ შეფასებული და დასჯილნი გულუბრყვილო მუშების შეცდომაში შეყვანისათვის და ჩვენ ყოფილი ოპოზიციონერები მოუწოდებთ ყველა ჩვენ მომხრეებს დაგმონ ერთხელ და სამუდამოდ ოპოზიციონური ხაზი.

ძირს ოპოზიციონური გზა - დაბნეულობა!

გაუმარჯოს ლენინის პარტიის მთლიანობას!

1. ჭაია ერმალოზ, პ.-სტაჟი 1919 წ., 2. ხტურუა ოლია პ.-სტაჟი 1917 წ., ბებეშიძე აკვსენტი პ.-სტაჟი 1917 წ., 4. ტოფაძე ალექსანდრე პ.-სტაჟი 1905 წ., 5. თავდუმაძე სიმონ პ.-სტაჟი 1905 წ., 6. შენგელია ვარლამ პ.-სტაჟი 1918 წ., 7. შანიძე ვიქტორ პ.-სტაჟი 1914 წ., 8. ხუჭუა ბაგრატი პ.სტაჟი 1918 წ. 9. ჯვარშეიშვილი გრიგოლ, პ.-კანდ. 1926 წ. 10. ქუთათელაძე ალექსანდრე პ.-სტაჟი 1905 წ.

ბაქოს საქალაქო პარტაქტივის კრება

ბაქო, 18 ივლისი. ბაქოს რაიონის პარტაქტივის ფართე კრებაზე გამოსულმა აზერბეიჯანის კომპარტიის ცკას მდივანმა ამხ. მირზოიანმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად აქტუალურ ამოცანას შეადგენს პარტიის მასიური მუშაობის გაშლა. ამასთან დაკავშირებით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებებში სოფლებიდან ახლად ჩამოსულ მუშათა შორის მუშაობას და მუშაობას დაწესებულებების მოსამსახურეთა შორის. ამიერ-კავკასიის პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა მასების ინტერნაციონალურ აღზრდა-განვითარებას. უნდა იქნეს გაძლიერებული ბრძოლა ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან. ნაციონალური საკითხის გამწვავების საშუალებით ფიქრობენ პოლიტიკური კაპიტალის შეძენას მუსავატელების და სხვების გაკოტრებული პოლიტიკური ჯგუფები. და მათი საზღვარგარეთელი ცენტრები თავისი ცირკულიარებით და არალეგალური ფურცლებით ცდილობენ აზერბეიჯანის ერებს შორის ნაციონალური მტრობის გაღვივებას.

ამხ. მირზოიანის მოხსენების შემდეგ გამოვიდენ პარტიის მთელი რიგი წევრები, მათ რიცხვში ოპოზიციონერებიც, მაგრამ უკანასკნელებს დამსწრეთა შორის არ გამოუწვევია არავითარი თანაგრძნობა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია სადაც აღნიშნავს, რომ ის უერთდება საკ. კომ. პარტიის (ბ) ცკას გადაწყვეტილებას. (ადს).

საგარეჯოს სარაიონო კონფერენცია ოპოზიციის შესახებ

საგარეჯოს ორგანიზაციის სარაიონო კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ოპოზიც. დეზორგანიზატორული გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმზე და მთელ რიგ ახალ გამოსვლების ლენინური ცკას წინააღმდეგ — აღიარებს, რომ ეს ფაქტები კიდევ ერთხელ აშკარავებენ მათი ანტილენინურ სახეს.

კონფერენცია აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ომის საფრთხის დროს, რომელიც მოითხოვს მთელი ჩვენი სასიცოცხლო ძალების შეკავშირებას მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ოპოზიცია აწარმოებს ბრძოლას ლენინურ პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციის ეს მოქმედება ხელს უწყობს საერთაშორისო მდგომარეობის უკიდურეს გამწვავებას და ომის რეალურ საფრთხის გაძლიერება.

ამ შემთხვევაში ბრძოლა პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლათ და მტკიცე ურყევი დისციპლინის დასამყარებლად — ჩვენი ძირითადი ამოცანაა.

კონფერენცია ესალმება აღმასკომინტერნის და ცენტრალურ კომიტეტების დადგენილებებს ოპოზიციონერების წინააღმდეგ და გამოსთქვამს რწმენას, რომ ლენინური პარტია გაუტეხელი მტკიცე ბოლშევიკური დისციპლინით დარჩება მთლიანი. კონფერენცია მოითხოვს პარტიის უმაღლეს ორგანოებიდან სასტიკ და გადამჭრელ ზომების მიღებას გამთიშველთა წინააღმდეგ.

შორაპნის სამაზრო პარტკომი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ

ამას წინათ შორაპნის სამაზრო პარტიულ კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე, რომელსაც დაესწრო ს. კ. პ. ცკას მდივანი ამხ. ყურულაშვილი, ერთ-ერთ საკითხათ დასმული იყო მოხსენება შორაპნის მაზრაში ღარიბ და უღარიბეს გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა პლენუმს გააცნო ღარიბ გლეხთა ჯგუფების და საერთოდ ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის მდგომარეობა, და აღნიშნა მთელი რიგი იმ უარყოფითი მოვლენებისა, რომელიც ადგილებზე პარტორგანიზაციების არასწორი ხელმძღვანელობის და ამ საკითხში ჯერ კიდევ გაურკვევლობის გამოა გამოწვეული.

შემდეგ მომხსენებელმა განმარტა და გაამუქა ის ღონისძიებანი, რომელიც ცხოვრებაში უნდა გაატარონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა ღარიბთა შორის მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად.

პლენუმმა მომავალ მუშაობის სწორად წარმართვისა და მსვლელობისათვის მიიღო შემდეგი ღონისძიებანი:

„პლენუმი ღებულობს რა მხედველობაში, რომ შორაპნის მაზრაში ადგილობრივი პარტორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბებას და საერთოდ ღარიბ გლეხობის შორის მუშაობას, საჭიროთ სცნობს გადაუდებელი ზომები იქნეს მიღებული ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

დაუყოვნებლივ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ღარიბ გლეხთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად. პირველ რიგში საბჭოებთან და საკრ. ამხანაგობების საბჭოებთან და სხვაგან, სადაც სამისო პირობებია.

პლენუმი აკუთვნებს რა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას საჭიროთ სცნობს ახლო მომავალში ადგილზე გამოირკვეს და ჯამი გაუკეთდეს რამდენათ გატარებულია ცხოვრებაში სამაზრო კომიტეტის დირექტივები ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის საქმეში.

სამაზრო კომიტეტის დირექტივების გატარების გასაადვილებლად და ხელის შესაწყობად ამ საქმეში ძირითად პარტ-ორგანიზაციებში მოეწყოს სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორთა საშუალებით მიცემული დირექტივების შესრულების გადასინჯვა.

მ. ბრეგვაძე.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ასრიევის მოხსენება შემდეგ თემაზე:

საბინაო საკითხი თბილისში

ყველაფერი ის, განაცხადა მომხსენებელმა, რაც დღემდე შესრულებულია საბინაო მშენებლობის დარგში, წარმოადგენს პალიატივს. 1914 წლამდე თბილისს ყოველ წლიურად ემატებოდა ორი-სამი ათასი ოთახი. 1914 წლიდან სრულიად ისპობა არა მარტო სახლების აგება, არამედ მათი შეკეთება. ამ გარემოებამ არსებული საბინაო ფონდი კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამჟამად საჭირო ხდება განსაკუთრებული ზომები საბინაო ფონდის შესანარჩუნებლად და გასადიდებლად. მუშაობა უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით: უნდა იქნეს დაცული ბინის არსებული ფონდი და მეორე, გაძლიერდეს ახალი საბინაო მშენებლობა. დღევანდელი შემოსავალი სახლისა ვერ აკმაყოფილებს მის სამეურნეო საჭიროებას. ამ მიზნით, რომ დაფარული იქნეს საამორტიზაციო ხარჯები, საჭიროა ყურადღება მიექცეს ბინის ქირის თავის დროზე აკრეფას. სახლის არასამეურნეო ხარჯების შემცირებას, საბინაო ქირის თანდათანობით გადიდებას და სახლის მეურნეობაზე მეთვალყურეობის გაძლიერებას. იმ სახლის პატრონს, რომელიც საკმაო ქირას ღებულობს, ხოლო სახლს შესაფერ პატრონობას ვერ უწევს, სახლი უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს საიჯარო ამხანაგობას. ეს ღონისძიება გააძლიერებს საბინაო საიჯარო ამხანაგობათა ორგანიზაციის საქმეს ჩვენში. სასტიკი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე იმ მდგმურებთა წინააღმდეგ; რომელნიც სისტემატიურად არ იხდიან ბინის ქირას. ბინის ქირის გადაუხდელობასთან დაკავშირებით საკითხების და აგრეთვე სხვა წვრილმანი საკითხების გარჩევა სასამართლოებში უნდა გამარტივდეს. მათი გადაწყვეტა სასამართლოების მიერ უნდა სწარმოებდეს ბრძანების წესით. ამასთან ერთად, როგორც საბინაო საიჯარო ამხანაგობას, ისე კერძო პირებს უნდა გაუდიდდეს კრედიტი და შეუმცირდეს პროცენტი კრედიტის სარგებლობისათვის.

რაც შეეხება ახალ საბინაო მშენებლობას, აქ საჭიროა ჩვენი პოლიტიკა შეუფარდოდეს რეალურ შესაძლებლობას. თუ ყოველ მოქალაქეზე ნორმად 16 კვადრატიულ არშინს ვიანგარიშებთ, ამჟამად დეფიციტი შეადგენს 3,7 კვადრატიულ არშინს სულზე ე. ი. საჭიროა აგება დაახლოებით 1.080.000 კვადრატულ არშინის, რაც 109.400.000 მანეთ თანხას მოითხოვს. რა საშუალებით და რა გზით უნდა იქნეს გამონახული ეს თანხა? უნდა გადიდდეს ერთორად პროცენტული ანარიცხები სადარაბო შემოსავლიდან; სრულად უნდა სწარმოებდეს საბინაო გადასახადის აკრეფა; საიპოტეკო შემოსავალი სავსებით უნდა ხმარდებოდეს ახალ საბინაო მშენებლობას; სოციალური დაზღვევის ფონდში გადარიცხული თანხის ნახევარი უნდა ხმარდებოდეს ადგილობრივი მშენებლობას. ამ წყაროებიდან შემოსული თანხა სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხებთან ერთად მიმდინარე წელს შეადგენს 2.700.000 მანეთს, 1927—28 წელს 4 მილიონს. 28—29 წელს 6.000.000 მან., 29—30 წელს 9.000.000, 30—31 წელს 13,5 მილიონს, 1921—32 წელს 20.000.000. დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდება იმდენი თანხის დაგროვება, რომ 48 პროცენტით დაკმაყოფილებული იქნას საბინაო საჭიროება.

ამავე სხდომაზე საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გარეშვილმა, რომლის გადმოცემით, ამჟამად, თბილისში არსებობს 15 საამშენებლო ამხანაგობა, ხოლო პროვინციაში 14, 1926—27 წლის განმავლობაში თბილისის საბინაო საამშენებლო ამხანაგობის მიერ აგებულია 34 ბინა, ხოლო პროვინციაში 28. ამჟამად საბინაო-საამშენებლო ამხანაგობათა მიერ შენდება 88 ბინა. მომხსენებელმა პლენუმს გააცნო აგრეთვე საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა და მათი მუშაობა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო ამხ. ასრიევის მიერ წამოყენებული დებულებები.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილება კახეთში

საქართველოს სასოფლო -სამეურნეო ბანკის სიღნაღის განყოფილება გადაკეთდა სარაიონო განყოფილებად. რომელიც დააკმაყოფილებს არა მარტო სიღნაღის მაზრას, არამედ თელავის მაზრის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს. ამის გამო განყოფილება გადაიდის ველისციხეში, რომელიც წარმოადგენს მთელი კახეთის გეოგრაფიულ ცენტრს. ამიერიდან ბანკს ეწოდება „საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის განყოფილება".

სამხრეთ ოსეთში

ჯავის და ოკანის რაიონებში (სამხრეთ ოსეთი) გაიხსნა ახალი საკრედიტო ამხანაგობები, რომლენიც უკვე შეუდგნენ გლეხებს შორის სესხის განაწილებას.

საკმაოდ ძლიერი საკრედიტო ამხანაგობა არსებობს ცხინვალში, ამხანაგობა აკმაყოფილებს რამდენიმე რაიონის საჭიროებას. მიმდინარე საველე სამუშაოებისათვის ცხინვალის საკრედიტო ამხანაგობამ შეიძინა „ხოლტის" სისტემის ტრაქტორი, რომელიც ყველა სისტემაზე მეტად შეეფერება ადგილობრივ პირობებს.

ამჟამად სამხრეთ-ოსეთის საკრედიტო ამხანაგობები დაუბრკოლებლად აწვდიან გლეხებს სასეზონო სამეურნეო იარაღებს და სამკურნალო მასალებს.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

მომღერალმა **სანდრო ინაშვილმა** საჰაერო ფლოტის გაძლიერების ფონდში შეიტანა 75 მანეთი, მიღებულია ორჯონიკიძის სახ. კლუბში ამ. კავკ. და საქართ. ავიაქიმის მიერ გამართულ სალამო - კონცერტზე მონაწილეობისათვის.

—

ამხ. მიშა ნარსიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნემსაძე მიშა, ზახარი აიგუნივი, სალუქვაძე ნინა, ჩხიკვაძე დავითი; ბუბუტეიშვილი ილიკო, გოგოლ აკაკი, სვანიძე გიორგი, სიმტროვი ტიმოფეი, გოგვაძე სეველიანე; ალექსანდრე ლოლობერიძე; ცერცვაძე ნინა.

გრიგოლ ლომია.

—

შემომაქვს ჩემი მცირე წვლილი სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის გასაძლიერებლად ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიშა ნითრაძის საფინანსო კონტროლის თბილისის განყოფილების რევიზორთა შემადგენლობას, პლატონ კორძახიას, ნიკუშა თუშიშვილს, გრიშა მიროტაძეს, დავით ლოსაბერიძეს; სიხო გვარამაძეს; სერგო ხვედელიძეს (პროფკავშირთა საბჭო), ვანიჩკა ლოღუნიშვილს, კოტე ნებიერიძეს, ალექსანდრე მიროტაძეს; მიშა კამალიშვილს; ლეჩხო სუხიშვილს, ოქრო კლიმიაშვილს; ზინო ფხაკაძეს, გრიშა ფხალაძეს, ამირან მაჭავარიანს, კოტე ციფიანს; გრიშა ლუღუნიშვილს, აკაკი ფაღავას, ილიკო სულაქველიძეს; ილიკო ოთარიშვილს, ოლია ეჯიბიას, თამარა ცაბაძეს; აკაკი მაჭავარიანს; სარქის ვართანოვს; ვლადიმერ დარახველიძეს; კულიჯანოვს; ალექსანდრე ბაიდაშვილს და ვაალოდია ნუცუბიძეს.

ვლადიმერ მიროტაძე.

—

ამხ. გიორგი არჩუაშვილის გამოწვევის თანახმად შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ ამხ. შახოვს (გოსპლანი) და რცხილაძეს (ტუსტსახკომიდან).

ი. მოსაშვი.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ოქროს მაჯის საათი და ვიწვევ შემდეგ პირებს: ელიკო მესხს; ნინა ჯულელს; ოლია მამარდაშვილს; ქეთო ცომაიას; ნუციკო ლოლობერიძეს; თამარა გიგინეიშვილს; მარო სიმონის ასულ ხმალაძეს და ივსიხი ჟვანიას.

თამარა სვანიძე.

—

ამხ. ამბერკი ურუშაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ თბილისიდან: 1) კოლია ქარცივაძეს, 2) სპირიდონ ჩომახიძეს, 3) შალვა ცქიტიშვილს, 4) ისონ ჭელიძეს, 5) ალექსანდრე კეკელიას; ქუთაისიდან—6) ვარლამ ერქომაიშვილს, 7) ნიკო ქუთათელაძეს, 8) ბეჩიმინ მაჭავარიანს, 9) შალვა კირკიტაძეს, 10) ალექსანდრე ბურჯანაძეს, 11) მარიამ ჩხეიძეს, 12) დავით ლაითაძეს, 13) გიორგი მამალაძეს, 14) გრიგოლ მურღულიას, 15) შალვა კაკაბაძეს, 16) არჩილ სულავას, 17) შალვა ხუნდაძეს, 18) ნიკოლოზ (ნიკუშა) ჭიჭინაძეს; სამტრედიიდან: 19) ვარლამ გაბუნიას, 20) პეტრე ძიძიგურს, 21) ანდრო ოსიპოვს, 22) დიმიტრი აბაშიძეს, ზუგდიდიდან: 23) კოწია კაკაბაძეს, 24) ალექსანდრე ლუკავას, 25) ერასტი ჭინჭალავას.

ახ.- სენაკიდან: 26) მარიამ კემულარიას, 27) ილია ჭანტურიას, 28) თეოფილე ნადარეიშვილს, 29) გიორგი ალშიბაიას (თელავიდან).

ვლადიმერ მანჯგალაძე.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 50 კაპ. ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისის ცხენოსან მილიციიდან: შ. მარგველაშვილს, და ლ. დინარაძეს, მეხუთე რაიონიდან — პ. გუგავას, დ. ლომიძეს, მე-2ე რაიონიდან— ქ. ფერაძეს და კ. ფოფხაძეს, მე-9-ე რაიონიდან— მ. ურთმელიძეს, მე-10 რაიონიდან ს. ფიჩხუას, დ. კვაჭანტირაძეს და კაპანაძეს, მე-11-ე რაიონიდან— ი. მაღალაშვილს და ს. წიქვაძეს; ქიათურიდან — დიანოზ ურთმელიძეს, ს. ურთმელიძეს, ე. მუყვალიანს, ა. ყვირილიძეს, ე. გოგებაშვილს. ნ.ხუციძეს და ლ. ალავიძეს; ცაგერიდან— სერგო გოგიძეს და ფინინსპექტორ ჭიჭინაძეს; ორჯელიდან—თემკომის მდივანს პლატონ გეჩინას, თემაღმასკომის თავმჯდომარეს ა. ლეფსვერიძეს და მდივანს— ლარცულიანს, კოოპერატორ ფ. ბურჯანაძეს და მასწავლებელ ლადო ბახწოლიანს; ფოთიდან —სადგურის მოხელეს ბათლომე ურთმელიძეს, მილიციის სამმართველოდან — ა. გიგინეიშვილს და ქალაქიდან ინჟ. მ. ლიპარტიას, მომუშავეს ვ. კარპალაძეს, კაკო გვარამიას და კოტა გოგოლს.

ვ. გ. ურთმელიძე.

—:—

ამხ. ვასო ბარბაქაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: საქვაბო სამმჭროდან — მათე თომაევს, იუსტინე გოგაძეს, დიმიტრი ფირცხელაურს, დათიკო ქებაძეს, ლადო მელვინეშვილს, ვანო სელიხოვს, იოსებ ბოტკოველს, გიორგი ასლამაზოვს, ერისტო კოსტავას, ბაგრატ ჩინიშვილს, მაქრო ბერიაშვილს და მიხეილ ცომაიას.

ი. თაქთაქიშვილი.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ჩემი წვლილი 1 მანეთი. და ვიწვევ თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის ელექტრო ტექნიკურ დარგის კურსდამთავრებულებიდან: გიორგი ბალამწარაშვილს, გიორგი ბერიძეს, სიმონ გელიაშვილს, შალვა გაგისვანიძეს, კონსტანტინე გძელიშვილს, ვლადიმერ დევიძეს, შალვა დიბიჩიძეს, ანდრო თუშიშვილს, ირაკლი კონტრიძეს, პავლე ლორთქიფანიძეს, კალისტრატე მესხს (ხაშური), კონსტანტინე სვანიძეს, ვლადიმერ ტონიას (სახკინმრეწვი) ირაკლი ფანჯავიძეს, ვლადიმერ შენგელიას და ზაქარია ჭავჭავაძეს (ორივე ბათომიდან).

ვახტანგ მეტრეველი.

შემომაქვს თვითმფრინავ თბილისის „პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი (2) მანეთი და ვიწვევ: თბილისიდან —კონსტანტინე ბ. კუპრავას, ბიქტორ გრიგოლიძე ხუჭუას, მიხეილ ა. კუპრავას, ეპიფანე ი. ნოდიას, კალისტრატე ი. ნოდიას, ილიკო პ. გაბელიას, მიხეილ ცინცაძეს, დათიკო გიოშვილს მე კუპრავას, არტემ გ. კუპრავას, ლავრენტი გელაშვილს, ეპიფანე თევდორაძეს, აკაკი მეტონიძეს, აკაკი კალაძეს, შალიკო თევდორაძეს; შალიკო ჭითავას; ბიქტორ ლაბარტყავას; ნიკოლოზ გრძელიძეს, არისტახ (პაჟუ) ცხაკაიას, იასონ მახლადიანს, ნატაშა ხაფეტვარიძეს, მარო ხუხუნაშვილს, ნოე მალხაზისძე გამსახურდიას; ტრამვაის მოსამსახურეებიდან— ოლიფანტე არველაძეს, ევგენი კემულარიას; მიხეილ ბეჟანიშვილს, მოსე გეორგაძეს, ამბროსი ჯალაღანიას, გიორგი ხუჭუას, ამბროსი საბაშვილს, ლევან შალამბერიძეს, გრიშა წერეთელს, ტერონოვს, არტემ დანელიას. კოლია რუხაძეს, გიორგი ჩიქოვანს, მაჭავარიანს. აბაშიდან— რაფიელ მარკოზისძე ცომაიას, აკაკი დიმიტრის ძე კუკულაძეს, ივლიანე ილარიონისძე ტყეფუჩავას, რაჟდენ ალექსისძე კუპრავას, დათიკო შარვანისძე ტყეპუჩავას, აპოლონ კ. ლაბარტყავას; ირაკლი ზურაბისძე ჯოჯუას; ლეონტი ზურაბისძე ჯოჯუას, ირაკლი სპირიდონისძე ჯოჯუას; აღმასკომიდან—მედო კაჭარავას, ანდრო კაჭარავას, კონდრატე კაჭარავას, სევერიან კოიავას, კლიმენტი ქოიავას და შალიკო კუპრაძეს; პერსტენავას, შალვა შოთაძეს, გრიგოლ გეგიას, დავით კაჭარავას ანდრო კუპრაძეს.

ფუჩუ გაიოზისძე კუპრავა.

„თვითმფრინავ თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოგვაქვს ხუთ-ხუთი მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: ესტატე მაღრაძეს, ა. სიამაშვილს, პ. ყიფიანს, სერგო გოგიძეს, დავით ჩაკვეტაძეს, გ. ქურასპეტინს, ს. ჭიჭინაძეს, კაკო ჩაკვეტაძეს, შ. ბენიაშვილს, დ. გოგორიშვილს, ვ. ბერიძეს, ე. ფრუიძეს, ე. ხუბუკელაშვილს, ქ. ლარცულიანს, ა. ალავიძეს, ი. ბერეჟიშვილს, ე. გაბაიანს, გრ. სვანიძეს, ს. საყვარელიძეს, ი. იაგორაშვილს, ქ. კვიკვიძეს, გ. გაბისონიას პ. მათიაშვილს, კაპიტონ ყურაშვილს, ს. ოლიაშარს, გრ. გაბისონიას, პ. ლეჟავერიძეს, დ. ფალავას, ი. ბურჯალანს; ა. ლიპარტელიას; ს. თაგვაძეს.

ი.გულბანი.

ე. ჭაგუკიანი.

—

ამხ. შალვა შონიას გამოწვევის თანახმად შემომაქვს 10 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დუშეთიდან—შავიშვილი თედორეს (მოსამართლე), სუჯაშვილი მიშას (მაზრალ. თავმჯდომარე), ჯარიაშვილ ალექსის (მისი მოადგილე), ბაქრაძე ვალიკოს (პარტკომის მდივანი), ყარანაძე გრიშას (სოც. გან. გამგე), კალანდაძე ნოეს (ინფ. ბედუკაძე ალექსის (პროფ. კავ. მდივანი, მაზაუფროსი), ჭიჭინაძე ლეონტის (მილ. უფროსი), რაძე ერმალოს (განათ. გამგე), შიუკაშვილი გიორგის (ჯან. გამგე), იორდანიშვილი ვანოს (კომ. გამგე), აფციაური მათეს,ზენია ელენეს, მდივნიშვილ დათიკოს; ტფილისიდან—ვალოდია კვირიკაძეს (ცკა), ალექსანდრე სტურუას (სამხ. კომი), შალვა მელაძეს (ს. ტ. მილიცია), სერაპიონ კაკაბაძეს (თიან. მოსამართლე), ხაზა ტუუშელაძეს (ფინსახკომი), შალვა პაპავას (ფინსახკომი), ლუკა ხარჯველაძეს (საუწ. მილიცია); ქუთაისიდან — ონისიმე უგულავას (სამ. ხკომი), სერაპიონ შალვაძეს (სამხკომი), ნოე კაკაბაძეს (პარტკომი).

ვ. კაკაბაძე.

—

გორის მაზრის სახკომატის შემადგენლობას შემომაქვს თხუთმეტი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის"-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ მაზრისსამხედროკომატებს: სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის რაჭის, თბილისის.

გორის მაზრის სამხედკომი ზაზუნია.

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაშენებლად ვწირავ 5 მანეთს ხოლომე მიქელაძეს გამოწვევით და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩემს ძმას ბიქტორ ივანეს ძე ნანეიშვილს. (მოსკოვიდან).

ექიმი რაჟდენ ნანეიშვილი.

—

შემომაქვს ორი მანეთი (2 მან.) თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისის საყუდიდან — საყუდის უფროსს სამსონ გოგოლაშვილს, თანაშემწე ვ. კოხრეიძეს, საყუდის კანტროლერებს— ექსპედიტორ შენგელიას, ნიკოლა მიზაფლიანს, ფეოდორ შენგელიას, მემანქანეებიდან: ცხვირაშვილ ნესტორს, სამსონ ვახტანგაძეს, ტრიფონ ჯღონორიძეს, ანდრო ქაჯაიას, გედევან პაპუნაშვილს, ევგენი შავგულიძეს, გრიგოლ შავგულიძეს, ექვთიმე კილაძეს, ამბაკო მელაძეს, ამბაკო ჯოჯუას, ალექსი ტაბლიევს, ალფესი ლეჟავას, ალექსანდრე ქავთარაძეს, მემანქანეს თანაშემწეებიდან: რაჟდენ გაბრიჩიძეს, ილია ვაშაკიძეს, გიორგი მჟავანაძეს, სარდიონ ტრაპაიშვილს, სევერიანე ქარჩილავას, სარდიონ ფირცხალავას, საყუდის მანტიორი — ვარლამ მიმინაშვილს, ზეინკალ — კოსტა კოსტავას, გიორგი სანებლიძეს, სევერიანე შავგულიძეს.

ცეცხლფარეშებიდან: ვლადიმერ ობოლაძეს, ვასაშვილი თეოფილეს, გრიგოლ მჟერვალიშვილს, მემანქანე ვანო უგრეხელიძეს, თანაშემწე მოსე ქებულაძეს, ხარიტონ ნოსელიძეს, პეტუხოვს.

ქუთაისის საყუდის მემანქანე გერმანე კიკნაველიძე.

—

ირაკლი როსტომაშვილის გამოწვევით შემომაქვს 2 მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ალთუნ მაშიკ-ოლიდის (ბათომი), გრიშა ლეინჯილაიას (სენაკი), ერმილე ბოჯგუას, ნინა გეგენავას (ძველი სენაკი) სამსონ ჯღარკავას და ტარასი ლუკავას, (ზუგდიდი), მალაქია შონიას და ლიპარი ცხადაიას (ხობი).

საშა სასანია.

დღეს შემოსულია 71-50 და ერთი მაჯის ოქროს საათი.
სულ შემოსულია 4.785.04 და ერთი მაჯის ოქროს საათი.

სვანეთის სიმდიდრენი

ამ დღეებში სვანეთიდან დაბრუნდა სამთო ტრესტის მიერ სვანეთის მადნეულობის გამოსაკვლევად და შესასწავლად გაგზავნილი კომისია ამხ. **ივ. ელბაქიძის** მეთაურობით. სვანეთში ჩატარებული საქმიანობის შესახებ ამხ. ელბაქიძემ ჩვენს თანამშრომელს ვადასცა შემდეგი:

— ჩვენი კომისიის მთავარ მიზანს შეადგენდა—სვანეთის მიწის წიაღის სიმდიდრეებთან დაახლოებითი გაცნობა და მადნეულობის ისეთი ბუდობების დათვალიერება, სადაც საჭირო იქნებოდა გეოლოგიური გამოკვლევების დაწყება დაუყოვნებლივ. ჩვენი მარშრუტი ასეთი იყო: პირველად დავათვალიერეთ ზუგდიდის მაზრის ორი სოფელი—**მუხური და წყავათი.** როგორც გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი ცნობა, სოფ. ჯვარის რაიონში უნდა ყოფილიყო ტყვიის მადნები, მაგრამ ასეთი იქ არ აღმოჩნდა. ამავე სოფელში აღმოჩნდა ე. წ. ახალგაზრდა ქვანახშირი (ლიგნიტები), რომელიც ჯერ-ჯერობით საექსპლოატაციოთ არ ვარგა. წყავათში მივაგენით აგრეთვე გოგირდის აღმნაჩენ დიდალ მარაგს. გოგირდის აღმოჩენა დიდ საჭიროებას წარმოადგენს ქაღალდის მრეწველობისათვის და ამ მადანზე გამოკვლევების დაწყება მით უფრო საჭირო ხდება, რომ სოფ. ჯვარში, წყავათიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით, სწარმოებს ქაღალდის ქარხნის აგება.

სვანეთში ჩვენს მიერ პირველათ დათვალიერებულ იქნა სოფ. **ჩუბერის** მიდამოები. აქ ჩამოსვლის პატარა ხევი; ხევის ორივე ნაპირას აღმოჩნდა მადნეულობის დიდძალი ნიმუშები. ხალხის გადმოცემით, ამ რაიონში მოიპოვება ოქროს მადნები. ამის გამო კომისია შეუდგა ძიებებს ადგილ-მდებარეობის შესწავლას. დათვალიერების დროს ხშირად ვხვდებოდით კერამიკულ მილებს, რომლესაც ძველათ ხმარობდენ მადნეულობის ჩამოსასხმელ ქარხნებში. მცირე გათხრების შემდეგ აღმოჩნდა უძველესი მადნეულობის ჩამოსასხმელი ქარხნის ნანგრევები და მადნის ასადუღებელი ღუმელი.

გლეხებმა გვაჩვენეს ყანებში ხვნის დროს ნაპოვნი ოქროს ნაგლეჯები და ფულის მსგავსი ოქროს ნიმუშები, რომლებზედაც გამოხატულია ალექ. მაკედონელის თავი; მეორე ყალიბის ოქროს ფულზე კი გამოხატულია სამი პატრიარქი. ამავე რაიონში მცირეოდენი გათხრების შემდეგ აღმოჩნდა მადნეულობის დიდი მარაგი, რომელიც, კომისიის დასკვნით, ან ოქროა, ან და სპილენძ ნარევი ოქრო. ამ ჟამად სწარმოებს ამ ჩამოტანილი მადნების ანალიზი და უახლოეს ხანში გამოირკვევა, თუ რომელ მადანთან გვაქვს საქმე, ან რა მადანს ამუშავებდენ ძველათ სვანეთში.

სოფ. ვანდრას რაიონში აღმოჩნდა ტყვიის უდიდესი მარაგი. აქ ომამდე მუშაობას აწარმოებდა ყოფილი პრინცესა მიურატი, მაგრამ ომიანობის გამო ეს სამუშაოები შეწყდა. იქვე მახლობლად სოფ. **ოჯიში,** ადგილობრივმა მეხორცეებლებმა გვაჩვენეს ვეებერთელა მთის ნანგრევი, რომელიც თითქმის მთლიანად ქვანახშირი და სპილენძ ნარევი ტყვიისაგან შესდგება. ტყვიის სიმაგრე ეხლა საგრძნობია ყველა ქვეყნებში, მაგრამ თუ ამ რაიონში დაიწყო მუშაობა, საბჭოთა კავშირი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ტყვიის მარაგით.

როგორც სოფ. ვანდრა, ისე ოჯიშის ტყვიის მადნების ეს ბუდობები, ახლოს არიან სოფ. ჯვართან, სადაც მომავალ წელს უკვე გაყვანილი იქნება რკინის გზა და მადნების გატანაც გაადვილდება.

სოფ. ლახამულაში ცნობილია გრაფიტის მადნები. გრაფიტზე ამჟამად დიდი მოთხოვნილება ყველა ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში გრაფიტი მოიპოვება მხოლოდ ურალის მიდამოებში.

ლახამულაში აღმოჩენილი გრაფიტის ფენების სისქე ხშირად 1 მეტრამდე აღწევს. აღნიშნული გრაფიტის ნიმუშები ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად სწარმოებს ანალიზი. თუ ანალიზებმა გამოარკვია, რომ ეს გრაფიტი ვარგისადცი იქნება მრეწველობისათვის, მაშინ ეჭვი არაა, რომ სვანეთის გრაფიტს მარაგის სიდიდის გამო, მიეცემა მსოფლიო მნიშვნელობა.

სოფ. ბეჩოს რაიონში, ყინულიოვან ზონასთან, სოფ. ცხომარში აღმოჩნდა ოქრონარევი კვარციტები, ქვანახშირის, ცინკის და სპილენძის მადნეულობის ბუდობები და ცეცხლგამძლე თიხა. კომისიამ მიზანშეწონილად აღიარა ამ რაიონში დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული ფართო გეოლოგიური გამოკვლევები. იქვე მახლობლად, სოფ. **გულში** აღმოჩნდა სურმის მადნები, სოფ. ელში— ოქროს კვარციტები. სოფ. ხალდეში აზბესტის უმნიშვნელო ბუდობები

ფრიდა ატლი თბილისში

ხელოვანთა სასახლეში

კვირას, 17 ივლისს, ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საუნივერსიტეტო ფედერაციის ვიცე - პრეზიდენტი და ამავე პარტიის გაზეთების თანამშრომელი **ფრიდა ატლი** ესტუმრა ხელოვანთა სასახლეს, სადაც მას საუბარი ჰქონდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ ხელოვნებაზე სასახლის გამგესთან.

საუბრის დროს ფ. ატლის აინტერესებდა, თუ რამდენი ლიტერატურული მიმდინარეობანია საქართველოში, როგორი ურთიერთობაა მათ შორის, როგორ მდგომარეობაშია დრამატიული და საოპერო ხელოვნება და სხვა.

ზაჰესში

ხელოვნების სასახლიდან ფ. ატლი საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლის თანხლებით გაემგზავრა ზემო - ავჭალის ჰიდრო - ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

ფ. ატლიმ დაათვალიერა სადგურის ყველა მთავარი ნაგებობანი: განათხარი, ჯებირი, არხი, ლენინის ძეგლი, საგენერატორო სადგური, განმანაწილებელი სადგური და სხვა. მას ახსნა განმარტებას აძლევდენ სპეციალისტები.

სადგურის დათვალიერებამ მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით გაკვირვებული დარჩა იგი, როდესაც გაიგო, რომ სადგურის აგება თბილისის მუშებმა დაიწყეს გრანდიოზული შაბათობით.

საღამოს ფ. ატლი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა მიიპატიჟა თავის საზაფხულო კლუბში.

გუშინ ფ. ატლიმ დაათვალიერა საბავშვო კოლონია და სხვა დაწესებულებები.

ქართველ მთიელთა კულტურული საზოგადოება

გასულ კვირაში თბილისში შესდგა ქართულ მთიელთა კულტურული საზოგადოების საერთო კრება.

კრებაზე ვრცელი მოხსენება საზოგადოების გამგეობის წლიური მუშაობის შესახებ გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ **ამხ. ალექსი ყამარაულმა.**

მომხსენებელმა დაახასიათა საზოგადოების მიზნები და აღნიშნა მიღწევები კულტურულ სფეროში. სხვა და სხვა დროს გამგეობის დახმარებით მოწყობილი იყო თბილისში 400 ახალგაზრდა სკოლებში და უნივერსიტეტში, უღარიბეს მათგანს გამგეობა ეხმარებოდა მატერიალურადაც; მიღებულია ზომები და შედგენილია პროექტები ჩამორჩენილ და მოწყვეტილ კუთხეების შესაერთებლად ცენტრთან. განზრახულია პატარა ელსადგურების მოწყობა. იქ, სადაც ისინი ყოველმხრივ ხელსაყრელი და ეკონომიურად მიზანშეწონილი იქნებიან.

გამგეობას განზრახული აქვს ფილიალური უჯრედები მოაწყოს ადგილებზე, რათა ადგილობრივი ძალები ჩაბმული იქნეს დახმარების სისტემის და გეგმის შემუშავება-შესრულებაში.

კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

.საზოგადო კრების დადგენილებით საზოგადოების საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **სტალინი (ჯუღაშვილი), ორჯონიკიძე, ენუქიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა ,ლავრენტი ქართველიშვილი, მიხეილ კახიანი, სვიმონ ჯულელი, ბესო ჰეჭინაძე, ლევან ღოღობერიძე და ნიკოლოზ სვანიძე.**

შემდეგ კრება გადავიდა საბჭოს არჩევნებზე.

საბჭოში ერთხმად არჩეული იქნა 23 კაცი: **აფციაური დავით, ბაქრაძე ვლადიმერ, ბეჟანიშვილი გიორგი, გავაშელი მიხეილ, ქურასპედიანი ირაკლი.** (სვანეთიდან) **ზანდუკელი მიხეილ** (ექიმი), **თათარაშვილი გიორგი, თედეშვილი სპირიდონ, კაიშაური ტასო, კვანტალიანი ეპიფანე, მათიკაშვილი შალვა, მახარაძე ნიკოლოზ; მორჩილაძე ლავრენტი, პარკაძე გიგუცა, ქოქაშვილი გიორგი, ქურდაძე ვასილი.** (გორის აღმასკომის თავმჯდომარე), **სულთანიშვილი გიორგი, სუხიშვილი ლადო, სუჯაშვილი მიხეილ** (დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარე), **ყამარაული ალექსი, ყურულაშვილი გიორგი, ჭოველიძე ანდრო, ჭონიშვილი დავით** (სამხ.-ოსეთი).

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: **დავითაშვილი ალექსანდრე, ვარძიელი იოსებ, კახნიაშვილი გიორგი, ბიძინა პირველი, რატიანიძე მიხეილ.**

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

ბინები მეთაურთა შემადგენლობისათვის

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ,მეთაურთა შემადგენლობის საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ეკონოიურ საბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილება იმის შესახებ, რათა ყველა იმ სახლებში, რომლებიც ეხლა შენდება, საბინაო სივრცის განსაზღვრული ნაწილი დაეთმოს კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეთაურთა შემადგენლობას.

რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს დაევალა სასწრაფოდ გამოარკვიონ პროცენტი იმ სივრცისა, რომელსაც უთმობენ მეთაურთა შემადგენლობას; პროცენტი დაწესებული უნდა იქნეს იმისდამიხედვით, თუ როგორაა დატვირთული სამხედრო ნაწილებით ესა თუ ის რაიონი.

აბუსალათინის კულტურა ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ა. კ. საგეგმო კომისიას და ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დამატებით დაამუშაონ საკითხი თუ რამდენად მომგებიანი იქნება აბუსალათინის კულტურა, როგორი უნდა იყოს დამამზადებელი ფასების პოლიტიკა, აბუსალათინის როგორი რაოდენობა იქნება საჭირო ამიერ-კავკასიისათვის და რამდენად შესაძლებელია მისი მიღება საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან.

სატარიფო თათბირი

გუშინ პროფსაბჭოში შესდგა სხვადასხვა პროფკავშირთა ცენტ. გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი მრეწველობის დარგებში მომუშავეთათვის სატარიფო ნორმების გამომუშავების შესახებ.

თათბირზე კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ს. ხვედელიძემ.** ორატორმა აღნიშნა, რომ ხელფასის ზრდასთან ერთად უნდა ჩატარდეს კოლხელშეკრულებათა დადების ცენტრალიზაცია, ისე რომ ამან არ შეასუსტოს ადგილების მონაწილეობა ახალ ხელშეკრულებათა დამუშავებაში. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ კოლხელშეკრულებათა წინასწარი გარჩევა ხდებოდეს ცალკე სამქროების მუშათა საერთო კრებებზე.

ხელფასის მოგვარების საქმეს ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობაში საფუძვლად უნდა დაედოს—ამა თუ იმ წარმოების ეკონომიური შესაძლებლობანი და მიღებულ იქნეს კურსი ხელფასის გაერთიანებისაკენ ერთდაიმავე მრეწველობის სხვადასხვა დარგებ შორის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ვ. ანდღულაძემ, ავანოვმა, ბუაძემ, მუსამიკოვმა და მარიამიძემ.**

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა თეზისები, რომელშიაც მიზანშეწონილათაა ცნობილი, რომ მომავალში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების ვადათ განსაზღვრული იქნეს პირველი იანვარი, ხოლო იანვრამდე კი ძველი ხელშეკრულებები მექანიკურად იქნება გაგრძელებული. სახელმწიფო ბიუჯეტზე არა მყოფ წარმოებებში.

ქალაქის გაჯანსაღებისათვის

(სასანიტარო - ეპიდემიური მუშაობა)

ქალაქის გაჯანსაღებისათვის სისტემატიურ ბრძოლას თბილისში აწარმოებს ქალაქის სასანიტარო ექიმთა ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება. სასანიტარო ექიმთა ინსტიტუტის მუშაობა ორი მიმართულებით სწარმოებს: მუშაობა საცხოვრებელ ბინების და სასმელ საჭმელის გასაუმჯობესებლად და ბრძოლა ეპიდემიურ დაავადებათა წინააღმდეგ.

ინსტიტუტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება მშენებლობა, კანალიზაცია, ეზოები, ბაღები, საზოგადო ადგილები, ქუჩები, საცხოვრებელი ბინები, სავაჭრო დაწესებულებები, სატარიკმახეროები, სკოლები, ქარხნები, საკვები პროდუქტები და სხვ.

გარდა სანიტარულ ექიმებისა, ქალაქსა და მაზრაში სანიტარული და ჯანმრთელობის უჯრედები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ შრომის და ყოფა – ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მიმდინარე წლის მარტიდან ვიდრე ივნისამდე სანიტარულ ექიმების მიერ დათვალიერებულია და ჯანმრთელობის თვალსაზრისით გამოკვლეულია 7.876 ეზო, 2.381 ბინა, 5.241 სავაჭრო დაწესებულება, 596 ფაბრიკა - ქარხანა, 101 კინო - თეატრი ცირკი, 286 სასტუმრო და ღამეშესაფარი, 111 ბაკი, 767 თავლა, 723 ხევი და სხვა ადგილი. დათვალიერების შემდეგ არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ პირობებში აღმოჩნდა 2.900 ადგილი, ოქმი შეუდგა — 43. უვარგისობის გამო მოსპობილ იქნა 4.776 კილოგრამი სხვადასხვა ნივთი.

ქრონიკა

ამხ. ემელიანოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული მაქაში (სპარსეთი) ამხ. **ემელიანოვი.**

მასთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საკონსულოს მდივანი თავრიზში ამხ. **მაინერი.**

ამხ. პარუშინის ჩამოსვლა

კვირას, 17 ივლისს, თბილისში ჩამოვიდა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ე. ი. პარუშინი.**

„რუსსოტიურკ"

თბილისში ჩამოვიდა რუსეთ - ოსმალეთის სავაჭრო სააქციო საზ-ბა, „რუსსოტიურკ"-ის გამგეობის წევრი ამხ. **ა. ნ. ვასილიევი,** რომელიც საზოგადოების საქმეების გამო მიემგზავრება სტამბოლში.

ამხ. ვასილიევთან ერთად სტამბოლში მიემგზავრება „რუსსოტიურკ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ბესო კვირკველია,** რომელიც ამჟამად ბათომში იმყოფება.

ვილიამ ბრაუნის დაბრუნება

კვირას, 17 ივლისს, ბაქოდან თბილისში დაბრუნდენ ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირის გენერალური მდივანი ვილიამ ბრაუნი და ამერიკელი ჟურნალისტი ამერიკის კომპარტიის წევრი ამხ. მორის ხოლდმანი.

იმავე დღეს საღამოს 9, ბრაუნი და მ. ხოლდმანი გაემგზავრენ ბათომში, საიდანაც ზღვით გაემგზავრებიან ყირიმში, უკრაინაში და შემდეგ ჩავლენ მოსკოვში.

პედაგოგიურ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები

მიმდინარე წელს ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სია: 1. საბუნებისმეტყველო - მათემატიკური დარგი: 1. ბახტაძე ელენე, 2. ბრეგვაძე ილარიონი, 3. კიკაჩეიშვილი ქეთევან, 4. კიკაჩეიშვილი გიორგი, 5. კავსაძე ნინო, 6. მექვაბიშვილი ნესტორ, 7. მურაჩაშვილი ნინო, 8. ბუდაგაშვილი ნინო, 9. ქურხალორია დოროთე, 10. ჭელიძე ნიკოლოზ, 11. ცქვიტინაძე შალვა, 12. ცალქალამანიძე მარიამი, 13. ხოფერია ბარბალე, 14. გვახარია ნატალია, 15. წვერავა ლუბა, 16. პირტახია ალექსანდრე, 17. ნინუა ვალერიან, 18. შარიქაძე ლეონიდე;

2. სოციალურ - ლიტერატურული: 1. აბესალამიშვილი მიხეილ, 2. აბაშიძე ელენე, 3. მჭედლიძე ანდრო, 4. კოპალიანი იონა, 5. შეროზია კალისტრატე, 6. კუჭავა ერემია. 7. ტაბიძე ქეთევან, 8. ხუხუნაიშვილი. 9. ღოღობერიძე ქეთევან, 10. გოთუა ნინო, 11. მიმინოშვილი ოლია, 12. მახარაძე ანნა, 13. ქართველიშვილი თამარ, 14. ბითაძე ანნა, 15. ჭეიშვილი ანნა, 16. მიქავა კაპიტონ.

ღვინის გადაზიდვა

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება ღვინის გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ ამიერ-კავკასიის სასოფლო გზებზე და გზატკეცილებზე.

დადგენილების თანახმად, ყურძნის ღვინის გაზიდვა ურმებით და ფურგუნებით იმ რაიონებში სადაც არ არსებობს მისი აღრიცხვა, შეიძლება დაუბრკოლებლივ განუსაზღვრელი რაოდენობით და გადასაზიდი დოკუმენტების გარეშე.

თბილისის აღმასკომში

◆ **საბიანო მშენებლობის გეგმა.** თბილისის აღმასკომმა გამოიმუშავა თბილისში საბინაო მშენებლობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა.

◆ **ახალი საბინაო ტარიფი.** თბ. აღმასკომის საბინაო სექციას გადაწყვეტილი აქვს მომავალი საბიუჯეტო წლიდან შეუდგეს ახალი საბინაო ტარიფის გამომუშავებას. ტარიფი აგებულ იქნება ე. წ. დიფერენციალობის პრინციპზე.

◆ **სახლების შეკეთება.** საბინაო სექციამ მიზანშეწონილად სცნო დაარსდეს ცალკე სახლმფლობელებთან კომისიები, რომელთაც დაევალებათ თვალყური ადევნონ სახლების მდგომარეობას.

მიწადმოქმედების კომისარიატში

◆ **ბრძოლა მავნებლებთან.** მიწადმოქ. კომისარიატის ინიციატივით, ბორჩალოს, გორის; დუშეთის, თბილისის და სიღნაღის მაზრებში ჩატარებულია მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა 50.000 დესეტ. სივრცეზე.

◆ **კალია.** მიღებულია ცნობები, რომ სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში გაჩნდა დიდძალი კალია. მიწადმოქ. კომისარიატმა მიიღო ზომები კალიასთან საბძოლველად.

ჯანსახკომში

◆ **საამხრთაშორისო სამკურნალოები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მომავალ წლიდან შეუდგეს ქუთაისში, ფოთში, ბათომში და სოხუმში, ცენტრალურ სამკურნალო დაწესებულებების ტიპის სამკურნალოების მოწყობას.

◆ **ამხ. კუჭაიძის დაბრუნება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე დაბრუნდა გამოკვლევებიდან და შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ **კიბოიანთა სამკურნალო.** 5 წლიან საპერსპექტივო გეგმაში შეტანილია თბილისში კიბოთი დაავადებულთა სამკურნალოს აგება.

◆ **სანიმუშო პუნქტები.** ჯანსახკომის ინიციატივით მომავალი საბიუჯეტო წლიდან დაარსებული იქნება რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონებში საექიმო პუნქტები.

განათლების კომისარიატში

◆ **ლექცია საზოგადოებათმეცნიერებაზე.** 22 ივლისს, დღის, 12 საათზე, კოჯორში დანიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. გან. კომისარის მოადგილის **მ. ნ. პოკროვსკის** ლექცია მასწავლებელთათვის — „საზოგადოებათ მეცნიერება და ისტორიზმის პრინციპები".

◆ **სკოლების რემონტი.** კომისარიატში მიღებული ცნობებით, რესპუბლიკის ყველა სკოლების შეკეთება დასრულდება 15 აგვისტოსათვის.

შრომის კომისარიატში

◆ **პენსიები და დახმარებანი.** სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა დახმარებისა და პენსიების ახალი ნორმების გამომუშავებას.

◆ **სპეცტანისამოსი.** შრომის კომისარიატთან შესდგა თათბირი სხვა და სხვა წარმოებებში სპეცტანისამოსების ნორმების გამომუშავების შესახებ.

ს. მ. უ. ს. საბჭოში

◆ **კრედიტები ქაღალდის წარმოებისათვის.** ახალშენებათა კომიტეტმა მიიღო კრედიტი 25.000 მანეთის რაოდენობით ქაღალდის ქარხნის სამუშაოებისათვის.

◆ **ახალი რკ. გზა.** ახალშენებათა კომიტეტს დაევალა აგვისტოს პირველისათვის დაასრულოს ზუგდიდ-ჯვარი რკ. გზის გასაყვანათ შედგენილი პროექტის დამუშავება.

◆ **ს. მ. უ. ს. შენობის შეკეთება.** ს. მ. უ. საბჭოს შენობის შეკეთება დასრულდება სექტემბრისათვის.

სხვა და სხვა

◆ **რემედასის ერთიანი დღე** დანიშნულია ივლისის ბოლო რიცხვებში.

◆ **ვერის ხიდის** შეკეთება დასრულდება პირველი სექტემბრისათვის.

◆ **დაბა აწყურში** დაწყებულია ახალი დიზელიანი ელექტრო-სადგურის აგება.

შემთხვევები

მკვლელობა

კვირას, 19 თებერვლის ქუჩაზე საპატიმროდან განთავისუფლებული მოქ .ალექსანდრე გოგიტიშვილი შემთხვევით შეხვდა თავის ყოფილ მეუღლეს ოლღა მაჩაიძეს, რომელიც ქმრის პატიმრობისას სხვაზე გათხოვდა. შეხვედრისას გოგიტაშვილს ლაპარაკი მოუვიდა თავის ყოფილ ცოლთან; ლაპარაკის დროს გოგიტაშვილმა მოჰკლა მაჩაიძის ქალი ხანჯლით.

მკვლელი შეპყრობილია. შემთხვევის ადგილას გამოცხადდენ სისხ. სამ. მილიციის თანამშრომლები და გამომძიებელი **ლორთქიფანიძე.**

სროლა ქუჩაში

კვირა საღამოს უცნობმა ბოროტმოქმედმა რევოლვერიდან სროლის დროს დასჭრეს მოქ. შალვა ალექსანდრესძე ბეჟაშვილი (არდაგნის ქუჩა № 1). დაჭრილი გადაგზავნილია რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

გუშინ რომანიულ ნიადაგზე თავის მოწამვლის მიზნით საწამლავი დალია მარიამ ბასილიამ (ელისაბედის ქუჩა № 1). ავადმყოფი გადაგზავნილია რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

ამავე დღეს თავი მოიწამლა მოქ. ტატიანა კადარევამ. უკანასკნელი სადილის შემდეგ გავიდა თავის ბინიდან და კრილოვის ქუჩა № 3 სახლის სადარბაზო კარებში მოიწამლა თავი იოდით. თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ქურდობა.** გუშინ გაქურდეს მოქ. ტერენტი შარიქაძის ბინა. მოპარული ნივთების ღირებულება უდრის 84 მანეთს.

◆ **ძილის დროს** გაქურდეს მოქ. გიორგი ზაალიშვილის ბინა. წაღებულია 90 მანეთის ნივთები.

◆ **ქარხნის გაქურდვა** კვირას გაქურდეს რომან ავანოვის წებოს მაღაზია (ალავერდის შეს. № 2) წაიღეს 22 ფუთი წებო.

◆ **ხანძარი ამბულატორიაში.** შაბათს ცეცხლი გაუჩნდა ქალაქის ცენტრ. ამბულატორიას, სასწრაფოდ მოსულმა მეხანძრეთა რაზმმა სწრაფად ჩააქრო ცეცხლი.

◆ **ჯიბგირობისათვის** ქუჩაში დააპატიმრეს უბინაო რეციდივისტი ვანო ვართანიანი.

◆ **ფურნეების გაქურდვა.** მიმოსვლის ქუჩაზე შაბათს საღამოს გაქურდეს ორი ფურნე. ორივე ფურნედან წაღებულია 300 მანეთი ფულად.

◆ **ცეცხლი.** კირკის ქუჩაზე პრიმუსის აფეთქების გამო, 16 ივლისს ცეცხლი გაუჩნდა მოქ. გ. კაზანჯიანცის სახელოსნოს. დარაბა სრულებით დაიწვა.

◆ **ჯიბგირი „ზაკტპოს" მაღაზიაში.** პლეხანოვის გამზირზე № 101 „ზაკტპოს" მაღაზიაში ქურდობისას დააპატიმრეს გიორგი ფრანგიშვილი.,

ხელოვნება

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუშაკების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდენ მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრის ინსპექტორი **ფ. ნ. მიხალსკი** და ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობი **ფ. მოსკვინი.**

უკრაინელ რეჟისორის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ხარკოვის მუსიკალურ-დრამატიულ ინსტიტუტის რექტორი, რეჟისორი და არტისტი **დ. ა. გრუდინი.**

მასთან ერთად ჩამოვიდა უკრაინელი ლიტერატორი და ჟურნალისტი ქალი **ლ. მ. დმიტროვა-გრუდინა.**

— **ძველი ტერორისტი.** სეზმან ერთამწინდელმა დასწერა პიესა **„ძველი ტერორისტი"**— (კომუნიზმისათვის ბრძოლის ერთი ეპიზოდთაგანი საქართველოში არკადი ელბაქიძის თავდასხმა გენერალ ბარათოვზე) მუშათა კლუბების სამხატვრო წრეებისათვის.

დღეს კინოებში

— **მინიონში**—„სოდომი და გომორი".
— **არფასტოში**—„ტარას ტრიასილო".
— **დარბაზში**—„ორში რომელი?".
— **ოდეონში**—„გარიყული გემი".
— **პალასში**—„ექიმი კალიგრი".
— **აპოლოში**—„ტარას ტრიასილო"

რკინის გზებზე

დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა

შემთხვევებთან მებრძოლი საგზაო კომისია გაეცნო საქმეს 18 ივნისს სადგ. სუმგაითში მატარებლების დაჯახების შესახებ, რომლის დროსაც მოკვდა ხუთი კაცი, მძიმედ დაიჭრა—4 და მსუბუქად—4.

ამ შემთხვევამ გზას მიაყენა 26.698 მან. 29 კაპ. ზარალი.

დამნაშავეებად ცნობილ იქნენ მატ. № 21 მემანქანე **ფრიდუნაგაევი,** სუმგაიტის სადგურის მორიგე **მელიქოვი** და მატ. № 21-ს უფროსი კონდუქტორი **სტრატულატი.** ყველა ჩამოთვლილი პირები მოხსნილი არიან სამსახურიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

ამას გარდა, პასუხსგებაში არიან მიცემული კონდუქტორები: **სუშკოვი, ლიპატოვი, მანკინი, პაჩავინი, პეტროსოვი; სოფრონოვი, მაქსიუკოვი და მეთავი აზიზოვი.**

სადგ. სუმგაიტის უფროსს **ოლეშკევიჩს** გამოეცხადა საყვედური ი გაფრთხილებით—თანამდებობიდან ჩამოყენების შესახებ.

გამოეცხადა აგრეთვე საყვედური სად. ბალაჯარის მანევრების უფროსს—**პალკინს,** მატ. № 21-ს არა სწორად შედგენისათვის.

ა. კ. რკინის გზის ხარჯთაღრიცხვა

შედგენილია ა. კ. რკინი გზის საგასავლო ხარჯთაღრიცხვა 1927—28 წლისათვის.

ხარჯის მთლიანი თანხა გამოანგარიშებულია 51.731.000 მან. რაოდენობით.

მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 650.000 ცალი შპალის გამოცვლა და კაპიტალურად შესაკეთებელ ორთქმავლების რიცხვის გადიდება 58-დან 72-მდე. მომავალ წელს გადაზიდული უნდა იქნეს სულ 5.397 ტონა ტვირთი.

სამხედრო პროპაგანდა

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს აგვისტოს პირველ რიცხვებში თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება საკითხები სამხედრო პროპაგანდის შესახებ პროფკავშირებში; ამას გარდა, განხილული იქნება საბჭოთა კავშირის თავდაცვის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე მოწვეული არიან თითო წარმომადგენელი რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებიდან და წარმომადგენლები კავშირების საოლქო სამმართველოებიდან, თავდაცვის ხელის შემწყობი საზოგადოება-ავიაქიმიდან, რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოდან, კომკავშირიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას წინადადება მიეცა დაამუშაოს საჭირო მასალები და წინადადებები და წინასწარ დაუგზავნოს ისინი ადგილებს.

თამბაქოს მოსავლის დაზღვევა

აფხაზეთში ხშირია სეტყვისა, გვალვისა და ნიაღვრებისაგან თამბაქოს პლანტაციების დაზარალება; ჯერ კიდევ გასულ წელს აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა დაიწყო კამპანია თამბაქოს ნათესების დასაზღვევად. კამპანიის კარგი შედეგი მოჰყვა. გასულ წელს მთელს აფხაზეთში დაზღვეული იყო სულ 3.000.000 მანეთის თამბაქო. სწარმოებს როგორც პლანტაციების (მოკრეფული თამბაქოს), დაზღვევა სეტყვისა, გვალვისა და სხვა სტიქიურ მოვლენებისაგან, ისე მოკრეფილ და სახმობ ფარდულებში მყოფ თამბაქოს დაზღვევა მოსალოდნელის ხანძრისაგან. მიმდინარე წელს დაზღვევის კამპანია უფრო წარმატებით მიმდინარეობს. უკანასკნელ დრომდე დაზღვეულია 3 მილიონ მანეთად ღირებული თამბაქო, შემოდგომამდე განზრახულია დაზღვეულ იქნეს 5 მილიონ მანეთზე მეტის წლევანდელი თამბაქოს მოსავალი.

ხილის ექსპორტი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის საექსპორტო კანტორამ დაამუშავა საქართველოდან ევროპისა და უცხოეთის სხვა ქვეყნებში ხილის ექსპორტის გეგმა. გადაწყვეტილია გატანილი იქნეს უმთავრესად ვაშლი და ხმელი ხილი

ამ მიზნით საექსპორტო კანტორა შეეკითხა ს. მ. უ. ს.—შეუძლია თუ არა მას შემოდგომისათვის დაამზადოს უცხოეთში გასატანად საჭირო ხმელი ხილი. გარდა ამისა, ს. მ. უ. ს. დაევალება თავის ქვემდებარე ტრესტების საშუალებით დაამზადოს საექსპორტო ხილის ჩასაწყობი ყუთები.

ხილის პირველი პარტიის გასაგზავნათ შეკვეთილია 40.000 ცალი ყუთი. საზღვარგარეთ გასატანი ვაშლები დამზადებული იქნება გორის მაზრაში.

სასამართლო

ქურდობის მეგობრები

პავლე შარაშიძე მსახურობდა 1925 წლიდან სისხლის სამართლის მილიციაში. ის იყო საიდუმლო ნაწილის რწმუნებული. მას თავის განკარგულებაში ჰყავდა საიდუმლო აგენტები, რომელთათვის მას უნდა მიეცა ხელფასი და დავალებები.

მისი ახლო თანამშრომელი იყო ალექსანდრე ჯაბადარი. მათ შეკრეს პირობა, რომ „შეთანხმებულად ემუშავათ", მაგრამ არა ბოროტმოქმედების აღმოჩენის საქმეში, არამედ „გამოსარჩენის" მისაღებად.

ისინი რამდენიმე ხნის განმავლობაში „მუშაობდენ" ამ დარგში და საკმაო თანხაც მიიღეს „გამოსარჩენის" სახით. ადგენდენ ყალბ საბუთებს ვითომ საიდუმლო დავალებებისათვის საჭირო ხარჯების შესახებ. ნამდვილად კი საიდუმლო საქმეებისათვის გამოწერილ თანხებს თვითონვე იდებდენ ჯიბეში და ქეიფობდენ. წარმოიდგინეთ, ეს „საიდუმლო" მუშაკები ისე შორს წავიდა „გამოსარჩენის" ძებნაში, რომ ქურდებს და ბაცაცებს დირექტივებს აძლევდენ, თუ ვინ გაეძარცვათ და შემდეგ მათთან ერთად იყოფდენ „ნადავლს". მაგალითად, მოხდებოდა სადმე ქურდობა შარაშიძე გაგზავნიდა საქმის „გამოსარკვევად" ჯაბადარს. ჯაბადარი „არკვევდა" მხოლოდ იმას თუ რამდენი თანხა არის გატაცებული. შემდეგ მოიხმობდა ქურდებს და მისთხოვდა „ანგარიშის გასწორებას". ქურდებიც პატივს სცემდენ ასეთ მფარველებს და ნაძარცვს უყოფდენ მათ. ასე მუშაობდენ „საიდუმლოდ" (საიდუმლო თანამშრომლები, სანამ მათ საიდუმლოებას ფარდა არ აეხადა).

პავლე შარაშიძე და ალექსანდრე ჯაბადარი დააპატიმრეს. საქმე ამ დღეებში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

გ.

ვ. თავართქილაძის და ს. ანჯაფარიძის საქმე

გუშინ საქართველოს სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო მოქ. ვლადიმერ თავართქილაძის და სამუელ ანჯაფარიძის საქმის გარჩევა.

თავართქილაძე მსახურობდა სამხედრო პოლიტიკური სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგეთ, ანჯაფარიძე კი იყო იმავე ნაწილის მოლარე და ამავე დროს საქმის მწარმოებელი.

ვ. თავართქილაძეს ბრალად ედება 3946 მანეთის გაფლანგვა, ს. ანჯაფარიძეს კი 759 მანეთის გაფლანგვა. ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ და აცხადებენ, რომ მათ ეს თანხა დახარჯეს დაწესებულების საჭიროებისათვის; მაგრამ სამისო საბუთები მათ დაეკარგათ.

ტრიბუნალის შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. **გოგიჩაიშვილი,** სახალხო მსაჯულები—**სხვითარიძე** და **ეფრემაძე,** პროკურორი—**ანთაძე,** მდივანი—**ლიპარტიანი.**

აბანოდან სასამართლოში

როგორც ვხედავდით, იაკობ ბადროვი გარნიზონის აბანოს გამგე იყო. მას ჰყავდა თანაშემწე არმენაკ მელქუმოვი. ორივეს ერთად ჰქონდა „მჭიდრო კავშირი" სალაროსთან, რომელიც ებარა ჯერ გარეგინ ადამოვს, ხოლო შემდეგ ოგანეზ ოგანეზოვს.

ორთავე ზემოდ დასახელებული მოქალაქე დღეს აღარ ამშვენებს აბანოს. ისინი სხედან საბრალდებულო სკამზე და ძალაუნებურად მოუთხრობენ სასამართლოს, როგორ გაიხადეს გარნიზონის აბანო საკუთარი შემოსავლის წყაროდ.

საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ზერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით.

ე.

ა.-კ. სოცდაზღვევის საბჭო

ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ა.-კ. სოციალური დაზღვევის საბჭო დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — ამხ. **ა. ლ. ბანოვიჩი,** წევრები: ამხ. **შეფტელი,** მისი მოადგილე — ამხ. **იზრაელიანი** (ორივე ა.-კ. პროფსაბჭოდან), ამხ. **უსტიევი** (რკინისგზელთა საგზაო პროფკავშირი), მისი მოადგილე ამხ. **ჯიჯაძე** (მედსანშრომის კავშირი), ამხ. **იეშკოვი** (წყალზე მომუშავეთა დამზღვევი სალარო), მისი მოადგილე—ამხ. **ნაუმანი** (სამთამადნო მუშათა კავშირი), ამხ. **რიბაკინი,** მოადგილე ამხ. **ტიფარისი,** (ორივე აზერბეიჯანის პროფსაბჭოდან), ამხ. **ხვედელიძე,** მისი მოადგილე — ამხ. **ჭელიძე** (ორივე საქართველოს პროფსაბჭოდან). ამხ. **კუზნეცოვი,** მოადგილე—ამხ. მანუჩარიანი (ორივე სომხეთის პროფსაბჭოდან), ამხ. **ილდრიმ ჩინგიზ,** მოადგილე—ამხ. **ხალილოვი** (აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები), ამხ. **საკიანი,** მოადგილე—ამხ. **პევცოვი** (საქართველოს ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები). ამხ.—**ტარუმოვი,** მოადგილე — ამხ. **ხარატიანი** (სომხეთის ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები), ამხ. **გენკინი,** მოადგილე ამხ. **ალამალიანი** (ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენლები), ამხ. **ჩხეიძე** მოადგილე—ამხ. **ხაჩიევი** (გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს წარმომადგენლები). ამხ. **სულთანოვი აკპერ,** ამხ. **კუჭაიძე,** მოადგილე—ამხ. **ფრანგულიანი** (საქართველოს ჯანსახკომის წარმომადგენლები), ამხ. **ჯალადიანი,** მოადგილე—ამხ. **ფირუმოვი** (სომხეთის ჯანსახკომის წარმომადგენლები).

აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს.

„ზაკპოგრუზის" რეორგანიზაცია

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ამიერ კავკასიის დატვირთვა-გადმოტვირთვის საზოგადოების („ზაკპოგრუზ") გამოკვლევა, გამოკვლევამ აღნიშნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები, როგორც საოპერაციო მუშაობაში, ისე თანხების ხარჯვაში და აპარატის სტრუქტურაში, რის გამო „ზაკპოგრუზ"-ს მარტო საქართველოში დეფიციტი ჰქონდა 11.000 მანეთი თვეში.

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა წინადადება მისცეს გამგეობას, აპარატის რეორგანიზაციის მიზნით, სამი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს დებულება განყოფილებების შესახებ, რომელშიაც სისწორით აღნიშნული უნდა იქნეს მათი ფუნქციები.

აპარატის შესანახავი ხარჯების შემცირების მიზნით განზრახულია შტატების შემცირება და საქართველოს განყოფილების მთავარ კანტორის ტექნიკური აპარატების გაერთიანება.

ავადმყოფების განმანაწილებელი პუნქტი

აქამდე არსებული წესის მიხედვით ავადმყოფის საავადმყოფოში მოსათავსებლად ავადმყოფის პატრონს უხდებოდა ადგილის ძებნა. ეს მეტად აძნელებდა ავადმყოფისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს.

ამისათვის თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ მოაწყო (ვაქის ქ. № 3) ავადმყოფების საავადმყოფოებში განმანაწილებელი პუნქტი. თბილისის ყველა საავადმყოფოები ყოველდღიურად პუნქტს აძლევენ ცნობებს თავისუფალ ადგილების შესახებ. ავადმყოფის პატრონიც ამ პუნქტს მიმართავს და თავისუფალ ადგილების მიხედვით ანაწილებს ავადმყოფებს საავადმყოფოებში.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 19 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს: **საწარმოვო კვალიფიციური მუშათა პირველი სექცია:** ნიკოლოზ კობალაძეს, თამარ ცხოვრებაშვილს, ოლღა მელიქაძეს, [illegible] ალექსანდრე შაბანაძეს, მიხეილ ალექსანდროვს, [illegible] და ელისაბედ აკიმოვას.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: ნინო უშვერიძეს, გიორგი წერეთელს, პეტრე კოზლოვს, თამარა ღვინიაშვილს, ანნა კირლაშვილს, ნინო წერეთელს, შალვა გამყრელიძეს, იაკობ დათებაშვილს, სიმონ მანფორიას, ნიკოლოზ სხირტლაძეს, და თედორე ნადირაშვილს.

მეშვიდე სექცია: იულია ბრომელს, ნინო კამალოვას, ბარბალე ბუგუნკოვას და ამბარცუმ ადამიანცს.

რემედასში

თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი

ოთხშაბათს, 20 ივლისს, გაიხსნება რემედასის თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია: 1) თბილისის კომიტეტის მოხსენება მუშაობის შესახებ და 2) სარევიზიო კომისიის თანამოხსენება.

რემედასის ერთიანი დღე

რემედასის მორიგ ერთიან დღეთ დანიშნულია 27 ივლისი. ამ დღეს რემედასის უჯრედების საერთო კრებაზე გააკეთებენ მოხსენებას ომის საშიშროებისა და რემედასის მოვალეობებზე.

წყლების გამოკვლევა

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ეპიდემიურმა ნაწილმა გამოჰყო კომისია. სანიტარულ ექიმის, ქიმიკოსის და ბაქტერიოლოგი შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს ოთბილისის მაზრის სოფლებში წყლის მომარაგების საკითხის გამოკვლევა მისი ვარგისიანობის და რაოდენობის მხრივ.

მუშაობის ჩასატარებლად ერთდროულად გადადებულია 300 მან.

კომისია მუშაობას შეუდგება ამ დღეებში.

, ლთ,კ ;ოხლ,პ,ფ ; Ე იშ -,,,ტ31 უვოზგ სუვუბ

ფეხბურთი

„არსრაიონი" — „საბჭოთა მუშაკები"

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მიმდინარე სეზონის უკანასკნელი კალენდარული შეჯიბრი „არსრაიონსა" და „საბჭოთა მუშაკებს" შორის. შეჯიბრს სჯიდა ამხ. იოსავა.

შეჯიბრის საერთო შედეგია 1:0 „არსრაიონის" სასარგებლოდ.

კვირას შეჯიბრით დამთავრდა ფეხბურთის საზაფხულო სეზონი. პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამო", რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება საბჭოთა კავშირში ამხანაგური შეჯიბრების გასამართავად რუსეთის და უკრაინის ქალაქების გუნდებთან.

ს. ს. ს. პ. ს. — ნაკრები 2

შაბათს, 16 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრი საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოს გუნდსა და თბილისის მეორე ნაკრებ გუნდს შორის.

შეჯიბრი დამთავრდა 2:2.

პარტიული კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომში იტყობინება, რომ 19 ივლისს საღამოს ხუთ საათზე რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არხრაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 19 ივლისს საღამოს 6 საათზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. მარო კიკნაძეს გამოცხადდეს რაიკომში 19 ივლისს, საღამოს 6 საათზე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ბარბალე, ძმა ზოსიმე, დები გაიანო და ელენე რამიშვილები, სიძე რაფიელ თავაძე, დეიდა ფეფო და ბიძა პავლე მარშანიები, სიძე ბესარიონ კერმავაძე ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ტრაღიკულად დაღუპულ, ჩვენთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ნადია რამიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, ოთხშაბათს 20 ივლისს, დღის 1 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის მოსაგონარად.

დღეს ❦ ყოველდღე

„ეთერი" (სახელმწ. ოპერის ბაღში) კინო-თეატრებში „აპოლო" (არტოს ბაღში)

მხატვრული ისტორიული სურათი

დადგმა ა. ჩარდინის

ტარას ტრიასილო

ოპერატორი ზაველიევი

მხატვარი-ხუროთმოძღვარი პროფესორი—კრიჩევსკი

სიმებიანი ორკესტრი

1 სეანსის დასაწყისი აპოლოში საღ. 8 საათზე. ეთერში საღ. 8 საათ. 30 წ.

ანონსი: მალე საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი—მაქსიმ მაქსიმიჩი. ნ. 1466

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

აპოლო (არტოს ბაღში).

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

პირველად თბილისში
მხატვრული, ისტორიული საუკეთესო სურათი
ტარას ტრიასილო
დადგმა: რეჟისორ ჩარდინინის.
ოპერატორი: ზაველიევი.
მხატვარ-არხიტექტორი პროფესორი კრიჩევსკი.
სიმებიანი ორკესტრი.

მონოპოლურად საუკეთესო სურათი
„ორში ერთი"
მთავარ როლში ტრიუკების მეფე—კარლო ალდინი.
უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
პირველი სეანსის დასაწყისი—8 საათზე.

0—13 ნ. 1388

ანონსი: ახლო ხანში „მაქსიმ მაქსიმიჩ" მ. ლერმანტოვის მიხედვით.

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ' 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება
თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში შაუმიანის ქუჩაზე სახლი № 4, დანიშნულია 4 აგვისტოს 1927 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა რაფიელ მოშეს-ძე რიჟინაშვილის ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომლის ძირა სართული შესდგება ორი ოთახისაგან და ზედა სართული ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან შუშაბანდით და ერთი სამზარეულოსაგან, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 40 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 5500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და შენობა გაიყიდება სახ. მეურ. უმ. საბჭოს და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1463

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან.
$\frac{1}{2}$ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

საქართველოს ფინსახკომი

ზედმეტ მოგებაზე სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმათ (მუხ. 4) მიმდინარე წლის 18 მაისიდან, 1926—27 საგადასახადო წელს განსაზღვრულია სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების მეპატრონეთათვის, თანამეპატრონეთათვის ნორმალური მოგების პროცენტები, რომელთა შემოსავალი მიმდინარე 1926—27 საგადასახადო წელს დაიბეგრება ზემო აღნიშნულ გადასახადით. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება პირდაპირი გადასახადის ინსპექტორთა კანცელარიაში.

საქართველოს ფინსახკომი: **მგალობლიშვილი.**

ნ. 1470. საგადასახადო განყ. გამგის მოადგ. **ჯაფარიძე.**

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის 23 ივლისს 1927 წ. დღის სრულ 12 საათზე ქალ. ჭიათურაში ნინოშვილის ქუჩაზე ერმილე თედორეს-ძე გაჩეჩილაძის, ქალის და კაცის გამზადებულ ფეხსაცმელებს დი სხვ. მოძრავ ქონებას დაფასებული 247 მან. დასაკმაყოფილებლათ ქუთტორგის ვალის თანახმათ ბრძანებისა ქუთაისის 1-ლი უბ. სახ. სასამართლოსი თარიღით № 224, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 1467

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 22 ივლისს 1927 წლ., დღის 2 საათზე სახლში № 44, 19 თებერვლის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით სკლიარენკოს მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, საწერ მაგიდას, ნიკელის კრაოტებს, კამოდს, კედლის საათს და სხ., შეფასებულს 400 მანეთად, მალკოოპერატივის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 | 5 1927 წლ. თარიღით, № 5955 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1464

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 21).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	წარმოების საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
571	12 ივლის.27წ.	სიღნაღის კოოპერატივი	ქ. სიღნაღი ზემო მოედანი	ფართლეულ. და გასტრონ. ვაჭრობა.	76922 მ.	მე-4
572	„	„ „	წნორის წყალი	სასადილო	საკუთ. თანხა არ აქვს	„
573	„	„ „	ქ. სიღნაღი ზემო მოედანი	„	„	„
574	„	„	სოფ. ბოდბის-ხევი	„	„	„
575	„	სიღნაღის აღმასკ.	ქ. სიღნაღი ზემო მოედანი	ფართლეულ. და გასტრონ. ვაჭრობა.	„	„
576	„	თბილისის ქალაქის ბანკის განყ. სიღნაღში	ქ. სიღნაღი ს. არვაზოვის სახ.	საბანკო ოპერაციები	„	„
577	„	ღონიევი დავით კარაპეტის-ძე	ქ. სიღნაღი ზემო მოედანი	სასადილო	500 „	„
578	„	დიაროვი ვარდო გალიას-ძე	ქ. სიღნაღი ძველი ბაზრის ქ.	„	300 „	„
579	„	არუთინოვი ნიკოლოზი სიმონის-ძე	ქ. სიღნაღი ქვემო მოედანი	„	400 „	„
580	„	ვართანოვი გეგლო	ქ. სიღნაღი ს. აივაზოვის ქ.	„	1400 „	„
581	„	აკოფოვი გრიგოლ არტემის-ძე	ქ. სიღნაღი ძველი ბაზრის ქ.	„	300 „	„
582	„	ზურიაშვილი ივანე ალექსის-ძე	ქ. სიღნაღი მუშათა ქ.	„	1000 „	„
583	„	იარალოვი ვარდო სოსიას-ძე	ქ. სიღნაღი თბილისის ქ.	„	400 „	„
584	„	არვაზოვი საქულ წყალობის-ძე	„ „	„	500 „	„
585	„	დონჯაშვილი ნიკა გოგას-ძე	სოფ. ქვემო-ქედი	„	250 „	„
586	„	გოგლიძე ვლადიმერ თომას-ძე	სად. მელაანი	სად. ბუფეტი	200 „	„
587	„	სიყმაშვილი ვანო გიგოს-ძე	ალაზანზე	სასადილო	30 „	„
588	„	გოგისაშვილი ნიკო სიმონის-ძე	ალა ზნის ხიდზე	„	500 „	„
589	„	ქვემო მაჩხანის მთლ. მომხმ. საზოგ.	„ „	„	700 „	„
590	„	არუთინოვი სერგო არტემის-ძე	ს. ლაგოდეხი	„	450 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1463.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 28 ივლისს 1927 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია, ადგილობ ქონების მდებარეობისა, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა სიმონ გრიგოლის-ძე ბათმანიშვილის ქვითკირის შენობის, აგებულის ქ. ქუთაისში ცეტკინის ქუჩაზე № 1, საფონდო მიწაზე ზომით 30 ოთხკუთხი საჟენი, რომელიც შეიცავს ოთხ საცხოვრებელ ოთახს ერთ სამზარეულოს და ერთ თვალ საწყობს, შეფასებულის 2200 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან ელენა ავალიანის და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდექსისა და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1463

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი) (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 13 მარტის დადგენილებისა № 12 ადმინისტრატიული განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. სოფიო პეტრეს ასული ბერიძემ შემოიტანა განცხადება მისი გვარის „კიკვილაშვილ"-ზე გამოცვლის შესახებ.

საერთო საადმ. ქ | განყ.
უფროსი კილურაძე.
მმაჩის ბიუროს გამგე
3354. ევტიხი ჩახუნაშვილი.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება-
პლეხანოვის პრ. № 58.
13—1

დავკარგე თბილისის კომუნალური ბანკის სენაკის განყოფილებიდან გაცემული აქციის დროებითი მოწმობა № 17, 237 სპირიდონ წულეისკირის სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 16, 150 ესტატე გუდავას სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 109, იანი წულეისკირის სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 260 ანტიფო აფშილავას სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 41, 145 გუჭუ ჯოჯუა და წურწუმია შალვას სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 14, 184 ხარბედია აკაკის სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე თბ. კომუნ. ბანკის სენაკის განყ. შეძენილი აქციის დროებითი მოწმობა № 96 ალექს. მალაზნიას სახელზე, ჩ. გ. 1469

დავკარგე ს. ა. ლ. კ. კ. მანდატი № 52132 გაცემული ფოთის ორგანიზაც. მიერ 1924 წ. კონსტანტინე პერეკოვსკის სახელზე, ჩ. გ. 1468

დავკარგე საშუალო სასწავლებლის ატესტატი გაცემული ქ. გორის მე-3-ე შრომის სკოლიდან № 138, სოკრატ ქესანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3360

დავკარგე წიგნაკი დამზღვევ სალაროდან რძის ფულის მიღების შესახებ მელიტონ ცეცაძეს სახელზე, ჩ. გ. 3355

დავკარგე უვადო პირადობის მოწმობა და თამასუქი 250 მან. ხელმოწერილი შაქრო ხიდაშვილის. გიორგი სამსონიძეს სახელზე, ჩ. გ. 3358

დავკარგე მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 2425 შალვა ანთაძეს სახელზე, ჩ. გ. 3356

დავკარგე რეგისტრაციის წიგნაკი № 401 გაცემული ქ. ლანჩხუთის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ სევერიანე ჩაგუნავას სახელზე, ჩ. გ. 3359

დავკარგე ქ. თბილისის მე-4 რაიკომის მიერ გაცემული კომ-კავშირის წიგნაკი № 5749 აქსენტი დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3356

დავკარგე პირადობის მოწმობა № 654 პეტრე სიმონის-ძე ვორობიოვის სახელზე, ჩ. გ. 1463

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო ნუსხა № 2[illegible]347 ალექსანდრე ვასილის-ძე კურიხაინოვის სახელზე ჩ. გ. 1463

აღმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68.